დენი - მკაცრი შეზღუდვით A2

სამოქალაქო საზოგადოების მეორედ მოსვლა A8

"საოჯახო ტოტო" - ცხრილები B5-B7

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ორშაბათი, 22 მარტი, 2004 წელი. №68 (617) ფასი 50 თეთრი

სვლა აჭარის ხიდზე

ნიკა იმნაიშვილი

გასულ კვირას განვითარებული მოვლენები საქართველოს ახალგაზრდა ხელისუფლების და თვით ახალი ქართული სახელმწიფოს პროექტის (სახელმწიფოს მათეული კონცეფციის) სერიოზულ გამოცდად იქცა.

დღემდე ნოემბრის ლიბერალური რევოლუციის შემოქმედები მიზნის მიღწევას წვეთი სისხლის დაუღვრელად ახერხებდნენ. თუმცა, საამისოდ მათ ხშირად მართლაც "ბეწვის ხიდზე" უწევდათ გავლა.

მაგალითად, 22 ნოემბერს, როდესაც მოსახლეობა ასლან აბაშიძის "სპეცნაზელებით" სავსე პარლამენტის შენობაში შეიჭრა, ერთი გასროლა იყო საკმარისი, რათა მოვლენებს სულ სხვა შეფერილობა შეეძინათ, - თუმცა შედეგი უდავოდ იდენტური იქნებოდა ქვეყნისთვის, მაგრამ არა კონკრეტული პერსონალიებისთვის.

გაგრძელება A3 გვერდზე

რეჟიმის მცველი - ნიღაბი.

რუსი ჟურნალისტების „დიდი გასეირნება" აჭარაში

კარგი მასპინძლობა იყო, მაგრამ არ გვტოვებდა მძევლობის შეგრძნება

რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

ბათუმიდან მოსკოვში დაბრუნდნენ რუსი ჟურნალისტები - ისინი, ვინც 14 მარტს, ღამით, აბაშიძემ უკანონო რეისისას მძევლებად ჩაისვა. როგორ და რა ვითარებაში გაფრინდნენ ისინი საქართველოში? – ამის შესახებ "24 საათს" უამბო ერთ-ერთი გავლენიანი რუსული გაზეთის კორესპონდენტმა. მის გვარს, მისივე თხოვნით, არ ვასახელებთ.

"ინტერფაქსიდან რედაქციაში მივბრუნდი, კორესპონდენციის დასაწერად. მითხრეს, რომ რედაქტორი მიბარებდა. გაემზადეთ შენ და ფოტოკორესპონდენტი, ბათუმში ხართ მივლინებულიო, - მითხრა და გამაფრთხილა, რომ ეს ინფორმაცია გაფრენამდე არ გამეხმაურებინა. ვნუკოვოში ბათუმის რეისის მგზავრები ძალზე ხმაურობდნენ. რამდენიმეს გავესაუბრე. სააკაშვილზე იყვნენ გაბრაზებულნი.

გაგრძელება A5 გვერდზე

ეკონომიკური სანქციების სამი დღე - შედეგები და გაკვეთილები

აბაშიძე კვლავ აბსურდულ განცხადებებს აკეთებს

თამარ ხორბალაძე

გასულ კვირას ყველა გზა და ყველა თემა საქართველოში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკამდე და ასლან აბაშიძემდე მიდიოდა. გასულმა კვირამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ახალ მსოფლიოში ეკონომიკურ ბერკეტებზე უფრო ქმედითი ბერკეტები, პრაქტიკულად, არ არსებობს. გასულმა კვირამ საქართველოს დაანახა, რომ ავტონომიის ლიდერი აბსოლუტურად ყველაფერზე წამსვლელია, და თითქმის ერთადერთი არგუმენტი, რომელიც მას ძალიან კარგად ესმის, ეკონომიკური არგუმენტი გახლავთ.

ცენტრს რეგიონი ეკონომიკურ "ბლოკადაში" სულ სამი დღე ჰყავდა.

ამ სამმა დღემ საკმაოდ საინტერესო გაკვეთილები ჩაუტარა როგორც რეგიონის, ისე ცენტრის ხელმძღვანელობას:

რეგიონმა მშვენივრად დაინახა, რომ ცენტრს ხელეწიფება როგორც სარფის საბაჟოს ჩაკეტვა, ისე - ბათუმის პორტის გაჩერება. სანქციების ამოქმედების პირველ დღესვე ბათუმის პორტის ხელმძღვანელი, მინიმუმ, 50 000-დოლარიან ზარალზე საუბრობდა და იმაზე, რომ საჯარიმო სანქციები გაცილებით დიდი იქნებოდა პორტისთვის და მთლიანად ქვეყნისთვის.

აჭარის საბაჟო-საგადასახადო სამსახურების ხელმძღვანელობა კი გაოგნებული გახლდათ იმის გამო, რომ პრეზიდენტის ერთმა სიტყვამ სარფის საბაჟოზე ტვირთები ერთი ხელის მოსმით გააქრო. თუმცა, რეალურად, ტვირთების მოძრაობაზე პრეზიდენტის სიტყვაზე არანაკლები გავლენა იქონია იმან, რომ ჩოლოქი თავად ასლან აბაშიძემ ჩაკეტა და სწორედ მან შექმნა რეგიონში გარემო, რომლის წყალობითაც ტვირთების მოძრაობა აჭარის მასშტაბით საშიში გახდა.

გაგრძელება A4 გვერდზე

ქუთაისის საკრებულოში მომხდარი ინციდენტი სამი პოზიცია

ინგა ალავიძე

ქუთაისის რაიონულმა სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის, "ახალი მემარჯვენეების" წევრის დავით ბენიძის დაპატიმრების ბრძანება გასცა. გარდა ამისა, სამართალდამცველებმა დავით ბენიძე ძებნილად გამოაცხადეს. ქუთაისის პროკურორის გელა გოგლიჩიძის ინფორმაციით, პროკურატურამ სასამართლოს რამდენიმე შუამდგომლობით მიმართა.

- ბატონო გელა, "ახალი მემარჯვენეების" ლიდერები აცხადებენ, რომ ბენიძის კაბინეტისა და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკა უკანონოდ ჩატარდა.

- სასამართლოს გუშინ რამდენიმე შუამდგომლობით მივმართეთ და ერთ-ერთ მათგანში საუბარი ჩხრეკის ჩატარების პროცედურაზე იყო. მოსამართლემ ეს საგამოძიებო მოქმედება კანონიერად მიიჩნია, რადგან გაიზიარა ჩვენი პოზიცია, რომლის მიხედვითაც, ჩხრეკა ჩატარდა გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, რადგან არსებობდა საშიშროება, რომ მტკიცებულებები განადგურდებოდა. გარდა ამისა, მოსამართლემ სხვა შუამდგომლობებიც დააკმაყოფილა, დავით ბენიძეს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა და მასზე ძებნა გამოცხადდა. გარდა ამისა, დააკმაყოფილა ჩვენი მოთხოვნა და ბენიძე, რომელიც ეკონომიკურ დანაშაულშია ბრალდებული, საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადააყენა.

- ცნობილია, რომ დავით ბენიძის კაბინეტიდან ნარკოტიკული საშუალება ამოიღეთ. თუ წაუყენებთ მას კიდევ ერთ ბრალდებას?

- ცოტა ხნის წინ შემატყობინეს ექსპერტიზის დასკვნა, ეს არის ნარკოტიკული საშუალება "სუბოტექსი", შესაბამისად, დავით ბენიძეს ახალი ბრალდება წაეყენება – ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვისთვის. ექსპერტიზის დასკვნით, "სუბოტექსი" ადამიანის ორგანიზმში მოქმედების კვალს არ ტოვებს, ანუ, თუ ადამიანი ამ პრეპარატის ზემოქმედების ქვეშაა, მისი კვალი არც სისხლში და არც შარდში არ აღმოჩნდება. როგორც ცნობილია, ცოტა ხნის წინ დავით ბენიძეს ჩაუტარდა ნარკოლოგიური შემოწმება და მის ორგანიზმში ნარკოტიკული ნივთიერების კვალი არ აღმოჩნდა.

- საქმე აღიძრა საკრებულოში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებითაც.

- საქმე ისაა, რომ ჩხრეკის მიმდინარეობისას, ბენიძის კაბინეტში შემოიჭრა დეპუტატთა ჯგუფი. მათ შემოანგრიეს კარი და მოხდა ინციდენტიც. თანაც, ამ მომენტით ისარგებლა ბენიძემ და პოლიციელს, რომელსაც ხელბორკილით ჰყავდა დაბმული, ხელიდან დაუსხლტდა.

გაგრძელება A7 გვერდზე

პოლიტიკა

მაღალმთიანი რაიონები არჩევნების ჩასატარებლად მზად არიან

"მართალია, არის პატარა ხარვეზები, მაგრამ მთლიანობაში, ამ რაიონების საარჩევნო ადმინისტრაციებმა საარჩევნო კოდექსის ყველა ძირითადი მოთხოვნა დაიცვეს," – აცხადებს თბილისში დაბრუნებული ზურაბ ჭიაბერაშვილი.

A3

უცხოეთი

ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტი - ისტორიული მტრობა თუ კონკურენცია?

ინდოეთი და პაკისტანი ურთიერთობებს ჯერ მხოლოდ კრიკეტის მოედანზე არკვევენ. კრიკეტი სპორტისათვის, თუ სპორტი პოლიტიკისათვის? პაკისტანში ჩასულ ინდოელ კრიკეტის მოთამაშეებს ტურნირის ორგანიზატორებმა გულთბილი მიღება მოუწყვეს. მიუხედავად იმისა, რომ თავად სპორტსმენები კონცენტრაციას მხოლოდ თამაშზე აკეთებენ, ეს შეხვედრა მაინც ისტორიულია.

A5

საზოგადოება

ოთხ წელიწადში საჰენსიო-სახელფასო დავალიანებები აღარ იარსებებს

რამდენიმე კვირის წინათ დამტკიცებული სამთავრობო პროგრამა, რომელიც 2004-2009 წლებზეა გათვლილი და ეკონომიკის ზრდასა და გრძელვადიან სტაბილურობას გვპირდება, ოთხი წლის შემდეგ სოციალური ხარჯების ნახევარ მილიარდ დოლარამდე გაზრდასა და სოციალურ სფეროში არსებული დავალიანებებისა და ლტოლვილთა შემწეობების მთლიანად დაფარვას ითვალისწინებს.

A6

სამართალი

მაღალჩინოსნებს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდეს

ორი მაღალჩინოსანი – ფინანსთა სამინისტროს აქციზური მარკების სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი ბეროზაშვილი და საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ლევან კალანდაძე გუშინ მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოდან გაძლიერებული ბადრაგით მეხუთე საპყრობილეში გადაიყვანეს.

A7

ამინდი

თბილისი	17	
ქუთაისი	18	
ბათუმი	18	
სოხუმი	17	
ფოთი	17	
თელავი	15	
ზუგდიდი	18	
გორი	14	
ახმეტა	16	
ჭიათურა	14	
გაგრა	17	
სამტრედია	17	

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.0000
ევრო	2.4757
გირვანქა სტერლ.	3.6630
რუბლი	0.0702

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პოლიტიკა

B1 ომბუდსმენი B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 - B7 "საოჯახო ტოტო" B8 სხვადასხვა

სალომე ზურაბიშვილს ორმაგი მოქალაქეობა მიენიჭა

ინტერპრესნიუსი

პრეზიდენტი ხელს აწერს დოკუმენტს, რომლითაც სალომე ზურაბიშვილს ორმაგი მოქალაქეობა ენიჭება.

20 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის მიხედვითაც საფრანგეთის მოქალაქეს სალომე ზურაბიშვილს საქართველოს მოქალაქის სტატუსი მიენიჭა. დღეიდან სალომე ზურაბიშვილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობას შეასრულებს.

მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ სალომე ზურაბიშვილი პირველი უცხოელია, რომელიც ორმაგი მოქალაქეობით ისარგებლებს.

თავად სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ უწინარესად, იგი შეისწავლის აქაურობას და გაეცნობა თანამშრომლებს, მათი მუშაობის სტილს. მან, ასევე, აღნიშნა, რომ მისი უმთავრესი მიზანია საქართველო ძლიერი სახელმწიფო გახდეს, ფეხზე დადგეს და ევროპასთან ინტეგრაცია განხორციელდეს. სალომე ზურაბიშვილის თქმით, დღევანდელ დღეს მოვლენები იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ ესეც სწრაფად მოხდება. ახალი მინისტრი დავალებებს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტისაგან მიიღებს, რომელმაც, თავის მხრივ, მას მოქმედების სრული თავისუფლება მისცა.

ხვალიდან საქართველოს საგარეო სამინისტრო საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის შენობაში დაიდებს ბინას.

სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური

თურქეთის მთავრობა საქართველოს პრეზიდენტს სრულ თანადგომას უცხადებს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 20 მარტს თურქეთის რესპუბლიკის დელეგაციას შეხვდა. მხარეებმა ილაპარაკეს საქართველოსა და თურქეთს შორის პოლიტიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე და, ასევე, აჭარაში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების შესახებ. როგორც თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა იაშირ იაქიშმა აღნიშნა, თურქეთის მხარე მოხარულია, რომ საქართველოს ხელისუფლება ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებისა და განმტკიცებისათვის იბრძვის.

- ჩვენ გვსურს, რომ მთელ საქართველოში იყოს სტაბილურობა და არ დაირღვეს მისი ტერიტორიული მთლიანობა, - განაცხადა იაშირ იაქიშმა. - ეს ჩვენს ინტერესებსაც მოიცავს. აჭარა, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონები, საქართველოს განუყოფელი ნაწილია. თურქეთის რესპუბლიკა მზად არის დაეხმაროს მეგობარ ქვეყანას, თუ ამას აუცილებლობა მოითხოვს.

საქართველოს პრეზიდენტმა დელეგაციის წევრებს რეგიონში შექმნილი მდგომარეობა მოკლედ გააცნო და ავტონომიის მეთაურთან შეხვედრისას მიღწეულ შეთანხმებაზე ილაპარაკა. მან აღნიშნა, რომ აუცილებელია ცენტრალურ ხელისუფლებას იქ არსებული სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტებიდან მუდმივად ჰქონდეს ინფორმაცია და შეეძლოს რეგიონში კონტროლის დაწესება. დელეგაციის წევრები კმაყოფილებით აღნიშნავდნენ, რომ ცენტრსა და რეგიონს შორის არსებული უთანხმოება მოგვარდა და შეთანხმებასაც მიაღწიეს. კერძოდ განაცხადეს, რომ ეთანხმებიან საქართველოს პრეზიდენტის კურსს და სრულ თანადგომას უცხადებენ მას. მიხეილ სააკაშვილმა ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ საქართველოსა და თურქეთს მეგობრული დამოკიდებულება აქვთ. მისი თქმით, თურქეთი არაერთხელ დახმარებია საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საკითხებში და ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს.

ამას გარდა საუბარი შეეხო პარლამენტის მომავალი არჩევნების თემას. მიხეილ სააკაშვილმა მის მნიშნელობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ აუცილებელია სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები მთელ ქვეყანაში გაიმართოს.

სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური

მინისტრების ხელფასების ბედი მალე გაირკვევა

საქართველოს მთავრობა განვითარების და რეფორმების ფონდიდან კიდევ ერთ ხელფასს მიიღებს. როგორც ფონდის დირექტორმა კონსტანტინე კუბლაშვილმა განაცხადა, პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ყოველთვიურად, ხელფასის გარდა, თითოეული - 1500 დოლარს, ხოლო პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, უშიშროების საბჭოს მდივანი, მინისტრთა კაბინეტის წევრები და გენერალური პროკურორი - 1200 დოლარს მიიღებენ.

"2 მილიონი, რომელიც უკვე გადარიცხულია ფონდის ანგარიშზე, საქართველომ გრანტის სახით მიიღო, ამიტომ ხელფასები ფონდიდან არ დაიბეგრება," - განაცხადა კუბლაშვილმა. მისი სიტყვებით, ფონდის პირობების თანახმად, სახელმწიფოს პირველი პირების გარდა, ხელფასი 5 ათას სახელმწიფო ჩინოვნიკს გადაერიცხება. **"პრიორიტეტი ძალოვან სტრუქტურებს ენიჭება,"** - დააზუსტა განვითარების და რეფორმების ფონდის დირექტორმა.

"წლის განმავლობაში ფონდი უცხოელი დონორების ხარჯზე დაფინანსდება. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფონდში 13 მილიონი ლარი გადაირიცხება," - განაცხადა კუბლაშვილმა.

"ფონდის შექმნის მთავარი მიზანი, ხელისუფლების მაღალ ეშელონებში კორუფციასთან ბრძოლაა. რაც მეტს მიიღებენ სახელმწიფო ჩინოვნიკები, მით ნაკლებად იქნება მათთვის ქრთამის აღება მიმზიდველი," - განაცხადა ფონდის დირექტორმა.

შეგახსენებთ, რომ თავის დროზე, ფონდის შექმნისათვის, ამერიკელმა ფინანსისტმა ჯორჯ სოროსმა და გაერო-ს განვითარების პროგრამამ თითო მილიონი დოლარი გამოყვეს.

დიანა ჩაჩუა

დააკავეს კრიმინალური დაჯგუფების წევრები

იმერეთის შს მთავარი სამმართველოსა და ვანის პოლიციის თანამშრომლებმა ვანის რაიონში ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სპეცოპერაციისას დააკავეს ქურდობისა და ყაჩაღობისთვის ძებნილი რვა პიროვნება.

ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, დაკავებულთა საცხოვრებელი სახლებიდან ამოღებულია დიდძალი იარაღი, საბრძოლო მასალები, ნარკოტიკული ნივთიერებები და ნიღბები. ერთ-ერთ დაკავებულს ბონდო თუთაშვილს სახლში მოპარული ტრაქტორიც აღმოაჩნდა.

დაკავებული რვა პიროვნებიდან ექვსი - წარსულში ნასამართლევია. რვავე პიროვნება იმერეთის სამხარეო პოლიციაში გადაიყვანეს.

დაკავების ოპერაცია ჩატარდა თბილისშიც. სამართალდამცველებმა დააკავეს მოსკოვის გამზირზე მცხოვრები, 30 წლის კონსტანტინე აბაშიძე, მე-9 სამხედრო დასახლებაში მცხოვრები, 35 წლის დავით ჯავახია და იმავე დასახლებაში მცხოვრები, 32 წლის ნინო ჯავახია, რომლებმაც 16-დან 18 მარტამდე ნინო ჯავახიას ბინაში უკანონოდ თავისუფლება აღუკვეთეს გურჯაანის რაიონის სოფელ ჭანდარაში მცხოვრებ, 39 წლის მიხეილ შიოშვილს და მის ახლობლებს მძევლის გასათავისუფლებლად სოლიდური გამოსასყიდი - ფულადი თანხა მოსთხოვეს.

მედია-ნიუსი

ქუთაისის საკრებულოს ყოფილ თავმჯდომარეს კვლავ ეძებენ

იმერელი სამართალდამცველები უშედეგოდ ეძებენ ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარეს დავით ბენიძეს, რომელიც საკუთარი სამუშაო კაბინეტიდან გაუჩინარდა.

ქუთაისის პროკურატურამ ბენიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე 342-ე მუხლის მეორე ნაწილით, სამსახურებრივი გულგრილობის კვალიფიკაციით აღძრა. პროკურატურა ბენიძეს 4 წლის წინ, მუნიციპალური მართვის სამსახურის უფროსად მუშაობისას 322 ათასი ლარის გაფლანგვას ედავება.

ჯერჯერობით, არ არის დადგენილი, არის თუ არა ბენიძის კაბინეტის ჩხრეკის დროს, საკრებულოს თავმჯდომარის სამუშაო მაგიდის უჯრიდან ამოღებული ნივთიერება ნარკოტიკი.

შეგახსენებთ, რომ ბენიძე მის სამუშაო კაბინეტში მიმდინარე ჩხრეკისას კარის შემტვრევის და მასში "ახალი მემარჯვენეების" შეჭრის დროს გაუჩინარდა. მომხდართან დაკავშირებით უკვე დაიკითხნენ დავით გამყრელიძე, დავით საგანელიძე, ქუთაისის საკრებულოს წევრი ვოვა ასათიანი და სხვა პირები, რომელთაც სამართალდამცველთათვის წინააღმდეგობის გაწევა და საგამოძიებო საქმიანობისთვის ხელის შეშლაში ედებათ ბრალი.

24 საათი

მეტროპოლიტენში დაცვა გაძლიერებულია

პარასკევს თბილისის მეტროპოლიტენში მოწამლული ორი ქალი საავადმყოფოდან უკვე გამოწერეს და ისინი თავს კარგად გრძნობენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკის ტოქსიკორეანიმაციის განყოფილების ექიმთა ცნობით, ორივე პაციენტის გამოკვლევამ აჩვენა, რომ ისინი უცნობი ცრემლსადენი გაზით იყვნენ მოწამლული.

ამ ორი შემთხვევის გარდა, მსგავსი დიაგნოზით საავადმყოფოსთვის არავის მიუმართავს.

ტოქსიკოლოგები აცხადებენ, რომ მსგავსი მომწამლავი გაზი ლეგალურად არ იყიდება, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ მისი რეალიზაცია არაოფიციალურად ხორციელდებოდეს.

ამჯერად მეტროპოლიტენში მდგომარეობა სტაბილურია.

რეჟიმის დარგში მეტროპოლიტენის დირექტორის თამაზ თეთრაძის განცხადებით, მეტროპოლიტენი, როგორც სარეჟიმო ობიექტი, ყოველთვის გაძლიერებული დაცვის ქვეშ იმყოფება. თუმცა, მომხდარის შემდეგ გადაწყდა, რომ დაცვის პოლიციის თანამშრომლები ყველა მატარებელში გადანაწილდება.

მეტროს ადმინისტრაციისთვის უცნობია, როგორ მოხვდა მომწამლავი გაზი მეტროს ვაგონში, თუმცა არ გამორიცხავენ, რომ ამ გაზით დატენილი "ბალონჩიკი" ერთ-ერთ მგზავრს ხელში ეკავა.

მედია-ნიუსი

კონსტანტინე გამსახურდია იმერეთის რეგიონში წინასაარჩევნო შეხვედრებს მართავს

გუშინ ზესტაფონის რაიონში პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლების" ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია ჩავიდა, სადაც მან იმერეთში საარჩევნო კამპანიის დაწყების შესახებ ოფიციალურად გამოაცხადა. გუშინვე გამსახურდია ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში თავის მხარდამჭერებს შეხვდა. "ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას მიერ დაწყებულ საქმეს, რამაც დამოუკიდებლობა მოგვიტანა, ახლა შენარჩუნება და განმტკიცება სჭირდება. ვფიქრობ, ეს საქმე ჩვენმა გუნდმა უნდა გააკეთოს," - განაცხადა ზესტაფონში მყოფმა კონსტანტინე გამსახურდიამ. შეხვედრის დასრულების შემდეგ, "თავისუფლების" ლიდერი თერჯოლის რაიონში ჩავიდა. კონსტანტინე გამსახურდია დღეს საარჩევნო შეხვედრებს ქუთაისში გამართავს, სადაც მხარდამჭერებს საპროგრამო თეზისებს წარუდგენს.

ინტერ-პრესი

თამაზ დიასამიძეს ბათუმში ქვემეხების განლაგების მიმართულება არ მოსწონს

გაერთიანებული ოპოზიციის "ჩვენი აჭარის" წარმომადგენლის თამაზ დიასამიძის განცხადებით, ქალაქ ბათუმში სამი საზენიტო ქვემეხი დგას. როგორც დიასამიძემ განაცხადა, ერთ-ერთი - უნივერსიტეტთან, ზღვის სანაპიროზე, მეორე – ცენტრში, შუქურასთან, ხოლო მესამე - სტადიონის უკან, სანაპიროზეა განლაგებული. "ქვემეხების ლულები ზღვისკენ არის მიმართული, რაც მოსალოდნელი დესანტის მოგერიების მიზნით ხორციელდება," - განაცხადა დიასამიძემ. მისივე თქმით, აჭარაში განიარაღების პროცესი არ მიმდინარეობს, რადგან შეიარაღებული ფორმირებები ასლან აბაშიძემ "მიმალა".

ინტერ-პრესი

დენი - მკაცრი შეზღუდვით

ენერგეტიკაში ვითარების გამოსწორებამდე სამი დღე რჩება. ამ ვადაში იგეგმება რუსეთ-საქართველოს მაკავშირებელი 500-კილოვოლტიანი ხაზის "კავკასიონის" აღდგენა, 110-კილოვოლტიან "სალხინოზე" მრიცხველის დადგმა და რუსეთიდან დენის იმპორტის განახლება. თუმცა, დენი ჭარბად მაინც არ იქნება. ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა, დენის ძირითადმა დისტრიბუტორმა რეგიონებში "გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" (გსეკ) და ელექტროქსელების ოპერატორმა "სახელმწიფო ელექტროსისტემამ" გუშინ საქართველოს რაიონებისათვის დენის მიწოდების ერთობლივი გრაფიკები დააწესეს.

წყალსაცავებში წყლის დონის კლება ენერგეტიკოსებს გრაფიკების სულ უფრო და უფრო გამკაცრებისკენ უბიძგებს. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალეკო ხეთაგურმა განაცხადა, ახალი გრაფიკები ოპტიმალურია და შედგენილია არსებული ენერგორესურსების გათვალისწინებით.

გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილემ დევიდ სორნტონმა დააკონკრეტა, რომ გრაფიკების შედგენისას მათ უპირატესობა ქვეყნის დიდი რაიონებისათვის ელექტრომომარაგებას მიანიჭეს, რადგან დიდი ქალაქებისთვის დენის მიწოდების დიდი ხნით შეწყვეტა მათი სასმელი წყლის გარეშე დატოვებასაც ნიშნავს.

შეთანხმებისამებრ, მკაცრი გრაფიკების დაცვა "სახელმწიფო ელექტროსისტემამ" უნდა უზრუნველყოს. თუმცა, ეს გართულდება, თუ მოსახლეობა დენის გამორთვას გააპროტესტებს და ქვესადგურებში შეიჭრება. ამიტომ, მინისტრის მოადგილე მოსახლეობას სთხოვს, "შექმნილ ენერგოკრიზისს გაგებით მოეკიდოს და ქვესადგურებში უკანონო შეჭრისაგან თავი შეიკავოს", ვინაიდან დაწესებული გრაფიკების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია, ელექტროენერგიის მიწოდება მთელ საქართველოს შეუწყდეს.



ენერგოსისტემა კვლავ კრიზისულ რეჟიმში მუშაობს.

ამა თუ იმ ქვესადგურის გრაფიკგარეშე ჩართვის შემთხვევაში, დენის მოხმარება არსებულ სიმძლავრეს გადააჭარბებს, რაც ე.წ. "სისტემურ ავარიას", ანუ მთელი ენერგოსისტემის ავარიულ გამორთვას გამოიწვევს. ასეთი გამორთვები კი ძვირადღირებულ ენერგოდანადგარებს დაზიანების საფრთხის წინაშე აყენებს.

რაც შეეხება თბილისს, ის ელექტროენერგიით შედარებით უკეთესად მომარაგდება, თუმცა, სიმძლავრეების დეფიციტის გამო, გრაფიკების დაცვა "თელასაც" მოუწევს.

იმ შემთხვევაში კი, თუ ენერგეტიკოსებმა "სალხინოზე" მრიცხველის დადგმის პროცედურა მალე დაასრულეს, შესაძლოა, ენერგოკრიზისს ამ კვირის დასაწყისშივე ეშველოს.

ნიკა მარიამიძე

აჭარაში კვლავ დაძაბული სიტუაციაა

პრეზიდენტ სააკაშვილსა და აჭარის ლიდერს ასლან აბაშიძეს შორის 18 მარტს ბათუმში მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის ჯემალ გოგიტიძის ძმა ემირო გოგიტიძე და სამჯერ ნასამართლევი ვაჟა მჟავანაძე გაერთიანებული ოპოზიციური მოძრაობა "ჩვენი აჭარის" აქტივისტებზე ზეწოლას განაგრძობენ და ფიზიკური განადგურებით ემუქრებიან.

"ჩვენი აჭარის" ბათუმის ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერის ჯუმბერ ჭყონიას განცხადებით, ქობულეთში ყოფნისას, მას ავტომატით შეიარაღებული ემირო გოგიტიძე და კრიმინალური წარსულის მქონე ვაჟა მჟავანაძე დაადგნენ თავს და ოპოზიციური საქმიანობისთვის თავის დანებება მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ფიზიკური განადგურებით დაემუქრნენ. ჯუმბერ ჭყონია დარწმუნებულია, რომ ემირო გოგიტიძე და ვაჟა მჟავანაძე აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის ჯემალ გოგიტიძის მხარდაჭერითა და უშუალო დავალებით მოქმედებენ. მისივე ინფორმაციით, "ჩვენი აჭარის" აქტივისტს ტარიელ ინაშვილს ემირ გოგიტიძემ და ვაჟა მჟავანაძემ გუშინ ქობულეთში ტანსაცმელი შემოახიეს და მისგანაც პოლიტიკური საქმიანობის შეწყვეტა მოითხოვეს. ჯუმბერ ჭყონიას მტკიცებით, როგორც ვაჟა მჟავანაძე, ასევე მისი მეგობარი ემირო გოგიტიძე, ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების გარდა, ნარკობიზნესში არიან შემჩნეულები.

მისი განმარტებით, 4 წლის განმავლობაში ქობულეთის სამძებროს უფროსის მოადგილედ მუშაობისას, მას ვაჟა მჟავანაძე ნარკოტიკების მოხმარებისა და გაყიდვის ფაქტებზე ჰყავდა დაკავებული, მაგრამ გავლენიანი მფარველების ჩარევის შემდეგ იგი გაათავისუფლეს.

ჭყონია არჩევნების დასახელებულ პირთა მხრიდან ფიზიკური განადგურების მიზნით თავდასხმას არ გამორიცხავს და აცხადებს, რომ მას ყოფილმა თანამშრომლებმა მიაწოდეს ინფორმაცია შესაბამისი ორგანოების მიერ მისი ლიკვიდაციის გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

ინტერ-პრესი

მიხეილ სააკაშვილი: "ვამაყობ ჩვენი აზერბაიჯანელებით"

პრეზიდენტის მასპინძლობის მუსიკალური გაფორმება.

21 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მარნეულის საჰაერო-საავიაციო სამხედრო ბაზა მოინახულა. ქვეყნის პირველი პირი ბაზის პირად შემადგენლობას შეხვდა და ქართული სამხედრო ავიაციის საჭირბოროტო საკითხებზე ისაუბრა. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, **"ყველა მფრინავს და ტექნიკური პერსონალის წარმომადგენლებს 100-დან 200 ლარამდე მოემატა ხელფასები. უახლოეს მომავალში გაორმაგდება სავერტმფრენო პარკი. ჩვენ შევიძენთ სამხედრო ვერტმფრენებს და საქართველოს ეყოლება თანამედროვე, ძლიერი საჰაერო ძალები, რათა საჭიროების შემთხვევაში მტერს საკადრისი პასუხი გავცეთ. ჩვენ ვამაყობთ თქვენით და პირობას გაძლევთ, რომ მთავრობის ზრუნვა არ მოგაკლდებათ. სამხედრო სამსახური პრესტიჟული უნდა გახდეს."** მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, აპრილის ბოლომდე საქართველოს არმია ახალი სამხედრო ფორმებით შეიმოსება. პრეზიდენტმა სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად სამხედრო ბაზის სასადილოში ისადილა, შემდგომ კი სამხედროთა ოჯახები მოინახულა და სოციალური პრობლემების მოგვარება აღუთქვა.

საჰაერო-სამხედრო ბაზის მონახულების შემდეგ, მიხეილ სააკაშვილი მარნეულის მოსახლეობას შეხვდა და "ნოვრუზ ბაირამის" დღესასწაული მიულოცა. ხალხმრავალ შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა: **"ეს არის თქვენი სამშობლო. მე ვარ თქვენი კეთილდღეობის გარანტი და ჩვენი საქართველოს მომავალი ყველამ ერთად უნდა ავაშენოთ. ერთად ვიბრძოლოთ ქვეყნის გაძლიერებისათვის, რათა ჩვენი შვილები ძლიერ საქართველოში გაიზარდონ. ქვეყნის მთავარი საყრდენი თქვენ და თქვენი ოჯახები ხართ. მე ვამაყობ ჩვენი აზერბაიჯანელებით. ჩვენ ერთად გვექნება დიდი მომავალი."**

შეხვედრის დასასრულს ადგილობრივი მოსახლეობის სახელით მიხეილ სააკაშვილს საჩუქრად ნაციონალური მუსიკალური საკრავი გადასცეს.

სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური

ორი სიტყვით

თბილისი. მემარჯვენე ოპოზიციამ სამდღიანი წინასაარჩევნო კამპანია გუშინ სამეგრელოს რეგიონების მონახულებით დაასრულა. მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერები დავით გამყრელიძე, გოგი თოფაძე და ზურაბ ტყემალაძე ფოთში ამომრჩევლებს შეხვდნენ. "მრეწველებმა და ახლებმა", ფოთის ამომრჩევლებთან შეხვედრისას, ახალ ხელისუფლებას საკადრო პოლიტიკა და პოლიტიკური ნიშნით დამნაშავეობასთან ბრძოლის მეთოდები დაუწუნეს, თუმცა თოფაძემ მიხელ სააკაშვილს "შორსმჭვრეტელი და უალტერნატივო პრეზიდენტი" უწოდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდების პარლამენტი ახალი ინიციატივით გამოდის და კანონში „სამხედრო სავალდებულო სამსახურის შესახებ“ ცვლილებების შეტანას ითხოვს. ცვლილებები შეეხება დამატებითი სამხედრო განათლების მიღებას იმ წვევამდელთათვის, რომლებმაც გაწვევის ერთი წლით გადავადების გამო შესაბამისი თანხა (200 ლარი) გადაიხადეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სახელისუფლებო პარტია “ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატების” საარჩევნო სიის ლიდერის მაია ნადირაძის აზრით, ოპოზიცია “ცუდ საარჩევნო კამპანიას ატარებს”.

როგორც მაია ნადირაძემ პრაიმ-ნიუსს განუცხადა, ერთი მხრივ, ზოგიერთი ოპოზიციური პარტია საერთოდ არ ატარებს საარჩევნო კამპანიას, მეორე ნაწილი კი იმეორებს “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ძველი კამპანიის მეთოდს.

როცა პარტია სხვა პოლიტიკური ორგანიზაციის საარჩევნო კამპანიას იმეორებს ეს წამგებიანია ამ პარტიისთვის, - თქვა ნადირაძემ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

ბათუმი. ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა რეგისტრაციის ვადის რამდენიმე დღით გაგრძელებას ითხოვს. რეგისტრაციის პროცესი 20 მარტს შესაბამისი ბლანკების არარსებობის გამო შეწყდა. როგორც საოლქო კომისიის თავმჯდომარემ ედნარ შამილიშვილმა განაცხადა, 24 ათასი სარეგისტრაციო ბლანკი თბილისიდან ბათუმში გუშინ დილით უკვე გაიგზავნა. 57-ვე საარჩევნო უბანზე მათი დარიგება გარკვეულ დროს წაიღებს და როგორც შამილიშვილი აღნიშნავს, ამომრჩეველთა რეგისტრაციის გაგრძელება, ფაქტობრივად, შეუძლებელი იქნება, რადგან ვადა 21 მარტის 18 საათზე იწურება. მისივე ინფორმაციით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უკვე შესულია ოფიციალური თხოვნა ვადების გაგრძელებაზე და შესაბამისი გადაწყვეტილება ცესკო-ს დღევანდელ სხდომაზე უნდა გამოიტანონ. ბოლო მონაცემებით, ბათუმის საარჩევნო ოლქში 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებისთვის რეგისტრაცია 88 ათასი ამომრჩევლიდან, დაახლოებით, 26 ათასმა უკვე გაიარა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ზუგდიდი. ზუგდიდის პოლიციამ სოფელ ინგირში დააკავა ავტომანქანა, რომელიც 15 ტონამდე კონტრაბანდული ბენზინით იყო დატვირთული. ის აფხაზეთიდან მოძრაობდა და მას ვინმე გაბრავა მართავდა. ბენზინი სრულ კონფისკაციას ექვემდებარება. მისი ღირებულება, 15 ათასი ლარი, ბიუჯეტში უნდა ჩაირიცხოს. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

მაღალმთიანი რაიონები არჩევნების ჩასატარებლად მზად არიან

საპარლამენტო არჩევნებამდე ზუსტად ერთი კვირით ადრე ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ჩადის. **"ეს რაიონები პრობლემური არასდროს ყოფილა. ამბროლაურში, ონში, ცაგერსა და ლენტეხში საკმაოდ ორგანიზებულად ხვდებიან არჩევნებს. მართალია, არის პატარა ხარვეზები, მაგრამ მთლიანობაში, ამ რაიონების საარჩევნო ადმინისტრაციებმა საარჩევნო კოდექსის ყველა ძირითადი მოთხოვნა დაიცვეს. ყველა უბანზე, სადაც ვიყავი, გამოკრულია ამომრჩეველთა სიები"**, – აცხადებს თბილისში დაბრუნებული ზურაბ ჭიაბერაშვილი.

აქ ამომრჩევლებმა წინასაარჩევნო რეგისტრაცია ჯერ კიდევ ოთხ იანვრამდე, ანუ საპრეზიდენტო არჩევნებამდე გაიარეს. შესაბამისად, დღესდღეობით საარჩევნო უბნებს ბევრმა აღარც მიაკითხა. ამის მიუხედავად, ოთხივე რაიონის საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებმა "24 საათთან" საუბრისას განაცხადეს, რომ მოსახლეობის აქტივობა 28 მარტს საკმაოდ მაღალი იქნება.

თუმცა, 28 მარტი 4 იანვრისგან აშკარად განსხვავებული იქნება, რადგან ამ რაიონებში არჩევნებში გამარჯვებაზე პრეტენზიას რამდენიმე პარტია აცხადებს. ბუნებრივია, ფავორიტი "ნაციონალური მოძრაობაა", თუმცა, რაჭაში და, განსაკუთრებით ონში, არცთუ სუსტი პოზიციები აქვთ საარჩევნო ბლოკ "მრეწველები - ახალ მემარჯვენეებს". მით უფრო, რომ ორ ნოემბერს, მაჟორიტარულ არჩევნებში აქ "ახალი მემარჯვენეების" გენერალურმა მდივანმა დავით საგანელიძემ გაიმარჯვა. თანაც, აქვე დავძენთ, რომ წინასაარჩევნო ბრძოლა აწ უკვე ყოფილი სახელისუფლებო ბლოკის მაჟორიტარ კანდიდატთან საკმაოდ დაძაბული გამოდგა და, რომ არა მოსახლეობის მხარდაჭერა, დავით საგანელიძე ადგილობრივ სახელისუფლებო მანქანას ნამდვილად ვერ მოუგებდა.

ამ რაიონებში კვლავ საკუთარი სტაბილური ელექტორატი ჰყავთ "ეროვნულ-დემოკრატებს", "აღორძინებას", "ლეიბორისტულ პარტიას". რაჭაში და ლეჩხუმში მხარდამჭერები გამოუჩნდნენ სულ ახლახან დაფუძნებულ პოლიტიკურ მოძრაობა "თავისუფლებასაც", რომლის თავმჯდომარე საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ვაჟი კონსტანტინე გამსახურდიაა.

ზურაბ ჭიაბერაშვილი ერთ-ერთ უბანზე გამოკრულ სიებს ათვალიერებს.

უნდა ითქვას, რომ სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობა საკმაოდ ერთგული აღმოჩნდა იმ პარტიებისადმი, რომლებსაც მხარს "ვარდების რევოლუციამდეც" უჭერდა. ასე მაგალითად, "24 საათთან" საუბრისას "ლეიბორისტებისა" და "აღორძინების" გულშემატკივრებმა განაცხადეს, რომ საკუთარ პოლიტიკურ შეხედულებებს არ იცვლიან და კვლავ ამ პარტიების გვერდით დგანან, მაგრამ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მაინც საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტის გულშემატკივარია და სჯერა, რომ საქართველოს მთავრობა მთისადმი განსაკუთრებულ ინტერესს და ზრუნვას ახლა მაინც გამოიჩენს.

უნდა ითქვას, რომ ამ ისედაც რთულ მაღალმთიან რაიონებში დღეს სოციალური ფონი უკიდურესად მძიმეა. მოსახლეობას ელემენტარული სოციალური პირობები არ აქვს. შესაბამისად, ისინი იძულებულნი ხდებიან, ოჯახებიანად ბარში ჩამოსახლდნენ. თუმცა, ამავე დროს, მოსახლეობა აცხადებს, რომ სჯერა დღევანდელი ხელისუფლების და, თუკი მათ ელემენტარული დაინტერესება მაინც იგრძნეს, მზად არიან, პრეზიდენტსა და მის გუნდს გვერდში დაუდგნენ.

24 საათი

ევროკომისარმა აჭარა ინახულა

ლელა მჭედლიძე

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ალვარო ჯილ რობლესის ვიზიტი დღეს დასრულდება. სტრასბურგში გამგზავრებამდე მან, სავარაუდოდ, პარლამენტის თავმჯდომარესთან, ნინო ბურჯანაძესთანაც უნდა ისაუბროს. თავისი ხანმოკლე ვიზიტის განმავლობაში კომისარმა უკვე მოასწრო პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრა (ორჯერ), პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან საუბარი და ბათუმში, აჭარის ავტონომიის ლიდერ ასლან აბაშიძესთან ჩასვლა. ბათუმში მას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კახა სიხარულიძე ახლდა. აბაშიძესთან ევროსაბჭოს კომისარს, დაახლოებით, თერთმეტსაათიანი საუბარი ჰქონდა, როგორც თავად აღნიშნავს - საკმაოდ საინტერესო. დიალოგის ძირითადი თემა, ცენტრისა და რეგიონის ურთიერთობის გარდა, ტრადიციულად, ადამიანის უფლებები და მომავალი საპარლამენტო არჩევნები იყო.

რობლესმა აბაშიძეს საგანგებო მდგომარეობის გაუქმება და მომავალი არჩევნების დემოკრატიულად ჩასატარებლად, ავტონომიის ხელისუფლების მხრიდან მაქსიმალური მონდომება და ძალისხმევა ურჩია. ამისათვის, ისევ რობლესის წინადადებით, აბაშიძემ აჭარელ ამომრჩეველს, არჩევნების პასიურ თუ აქტიურ მონაწილეებს, მეტი თავისუფლება უნდა მისცეს, კანონით მინიჭებული უფლებები მაქსიმალურად დაიცვას. რობლესის აზრით, მნიშვნელოვან როლს, ამ თვალსაზრისით, ევროპის საბჭოს ეგიდით აჭარაში ჩასული დამკვირვებლებიც შეასრულებენ. ევროსაბჭოს კომისარმა აბაშიძეს ამ დამკვირვებლებისთვის ხელის შეწყობა სთხოვა.

აბაშიძე მზად არის, საგანგებო მდგომარეობა გააუქმოს, ოღონდ - ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან "საზღვაო ბანკისათვის" ლიცენზიის აღდგენის სანაცვლოდ. ამ "ულტიმატუმის" შესახებ პრეზიდენტ სააკაშვილს, წესით, პრესით უნდა შეეტყო და არა ბათუმიდან დაბრუნებული რობლესისგან. სააკაშვილთან გამართული მეორე შეხვედრის შემდეგ, რობლესმა ხაზგასმით განაცხადა, რომ მისი ვიზიტის მიზანი აბაშიძის დანაბარების სააკაშვილისთვის გადაცემა ნამდვილად არ ყოფილა. მას სულ სხვა მისია ჰქონდა, კონკრეტულად - ცენტრსა და რეგიონს შორის უფრო აქტიური დიალოგი საკენ (განსაკუთრებით, არჩევნების შემდგომ პერიოდში) მოწოდება, ადამიანის უფლებების დაცვის თუ დარღვევის თვალსაზრისით, ინფორმაციის მოსმენა და ა.შ. სტრასბურგში გამგზავრებამდე, რობლესი დარწმუნდა, რომ ბოლო პერიოდში აჭარაში დაკავებული ხალხის საქმის განხილვას რეგიონის ხელისუფლება საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან ერთად აპირებს.

სვლა აჭარის ხიდზე

ვირველი გვერდიდან

საბედნიეროდ, მაშინ სროლა ვერავინ გაბედა, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის, ერთი მხრივ, მედიას, მეორე მხრივ, რევოლუციის ლიდერთა მტკიცე და "უკანმოუხედავ" მოქმედებას.

რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, რაც უფრო ფრთხილად იმოქმედებდნენ მაშინ (და ამჟამადაც) ლიდერები, მით უფრო მეტი შანსი იყო სისხლისღვრისა, ვინაიდან მეორე მხარე ამას უეჭველად სისუსტის გამოვლინებად ჩათვლიდა.

მაშასადამე, საქართველოს ახალი ხელისუფლების მეთოდია "ბენვის ხიდზე სვლა გამაწონასწორებელი ღერძის გარეშე" – ისე, რომ ყველას რჩებოდეს შთაბეჭდილება, თითქოს მათ იციან ის, რაც არ იცის მოწინააღმდეგემ და შეუძლიათ ბევრად მეტი, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

იმავე მეთოდოლოგიამ იმუშავა "აჭარის კრიზისის" შემთხვევაშიც: სისხლი არ დაიღვარა სწორედ და მხოლოდ იმიტომ, რომ ბათუმში შენიშნეს - თბილისი უკან არ დაიხევდა და გადაწყვეტილებას ბოლომდე მიიყვანდა. ამ ვითარებაში "გასროლა" კიდევ უფრო დიდ პასუხისმგებლობას უკავშირდებოდა და რაკი ასლან აბაშიძემ თავზე ეს პასუხისმგებლობა ვერ აიღო, - მის ნაცვლად არავინ აპირებდა, იგი ეკისრა.

ასეთია ნებისმიერი ავტორიტარიზმის კიდევ ერთი, ძალიან უცნაური პარადოქსი: ეს სისტემა მთლიანად "მიბმულია" კონკრეტულ პიროვნებაზე და მისი ნების გარეშე ვერ ფუნქციონირებს. ასლან აბაშიძეს კი საქართველოს პრეზიდენტის ნების სიმტკიცეში ეჭვი არ შეპარვია – ამან გადაარჩინა აჭარა და მთელი საქართველო სისხლისღვრას. ისევე, როგორც სახელისუფლებო სამეულის გარეგნულად ემოციურმა, მაგრამ შინაარსობრივად საკმაოდ რაციონალურმა მოქმედებამ. მაგალითად, მივაქციოთ ყურადღება, რომ ხელისუფლებას არ აუმოქმედებია (დროზე ადრე ამის საჭიროება არ იყო) არც ერთი ფაქტორი, რაც ავტონომიის მმართველ დაჯგუფებას სასარგებლოდ შეეძლო გამოეყენებინა: მაგალითად, მთავარი მოვლენების დროს ავტონომიაში არ გამოჩენილან ასლან აბაშიძის ძირითადი ოპონენტები – ისინი ფოთში იმყოფებოდნენ "ყოველი შემთხვევისთვის", რაც თავდაპირველი გეგმით იქნებოდა გათვალისწინებული.

გარდა ამისა, "პრესინგი" არ ითვალისწინებდა ამჯერად ასლან აბაშიძის მომწყვდევას გამოუვალ ჩიხში, სადაც მას უკანდახევისა და კომპრომისად გაფორმებული კაპიტულაციის საშუალება არ ექნებოდა: ესეც პოლიტიკური ტექნოლოგიის ზუსტი ინსტრუმენტი იყო - კრიტიკულ მომენტში ძალიან სერიოზული როლი შეასრულა ზურაბ ჟვანიას გამოსვლამ, რომელიც, როგორც ყოველთვის, ზუსტად ესადაგებოდა შექმნილ ვითარებას: პრემიერ-მინისტრმა ასლან აბაშიძეს დროულად შეახსენა თათარსტანის პრეზიდენტის, მინტიმირ შაიმიევის მაგალითი, "ვინც ერთ დროს სეპარატისტად ითვლებოდა, შემდგომ კი მიიღო მოსკოვის შემოთავაზებული თამაშის წესები და კვლავინდებურად მართავს თავის ავტონომიას".

ანალოგია ხელოვნური სულაც არ არის – მით უმეტეს, იმ პოლიტიკურ კონტექსტში, რომელშიც იგი ჩაეწერა: თათრეთის ვითარებისაგან განსხვავებით, აჭარლები ჭეშმარიტი ქართველები არიან, მაგრამ რაც შეეხება ხელისუფლებას, ორივე ამ წარმონაქმნის ხელისუფლება ცენტრთან მიმართებაში, დაახლოებით, ერთსა და იმავე ტექნოლოგიას იყენებდა.

ზურაბ ჟვანიას განცხადება იყო სიგნალი (და იგი სწორად იქნა აღქმული აჭარის ელიტის მიერ), რომ თბილისი არ აპირებს მისი ავტონომიურობის ხელყოფას, თუ აღიარებული იქნება თამაშის საერთო წესები. მათ შორის, რასაკვირველია, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ავტოკრატიული რეჟიმის მოშლა და უფრო პლურალისტური გარემოს ჩამოყალიბება, რასაც "ადამიანის უფლებათა" ფასეულობის ერთგულებასთან ერთად, სავსებით პრაგმატული დანიშნულება აქვს: პლურალისტურ გარემოში რეგიონის მმართველს ყოველთვის ბევრად მეტად უჭირს სეპარატისტული პროექტების განხორციელება, ვიდრე ავტოკრატიული რეჟიმის დროს.

რაც შეეხება საბოლოოდ მიღწეულ შედეგს: როგორც ჩანს, თბილისი არ არის წინააღმდეგი, აჭარაში აკრეფილი გადასახადების ნაწილი დარჩეს ავტონომიაში. მით უმეტეს, რომ ეს თანხები ისედაც ბრუნდება რესპუბლიკაში, - ცენტრალური ბიუჯეტის სახარჯო ნაწილის შესასრულებლად. მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ დანარჩენი უკლებლივ გადმოირიცხება ცენტრში და (რაც მთავარია) ადგილობრივ ხელისუფლებას აღარ ექნება საშუალება, დაარღვიოს საბაჟო ტარიფების ერთიანი სისტემა: ბათუმისა და სარფის საბაჟოზე დღემდე წესდებოდა ხელოვნურად დაწეული საბაჟო ტარიფები, - ტვირთის ამ მიმართულებით მოსაზიდად. შესაბამისად, თბილისი ვერ აკონტროლებდა, დაახლოებით, ქვეყნის ბიუჯეტის 30 პროცენტის ტოლფას ფინანსურ ნაკადებს, რასაც "დაგემოვნებით" ხარჯავდა ადგილობრივი ოლიგარქია.

პრეზიდენტის წარმომადგენლის დანიშვნა ორივე სტრატეგიულ პუნქტში უეჭველად იმას გულისხმობს, რომ თანხების კვლავ შეყოვნების ან საბაჟო ტარიფთა სფეროში მორიგი თვითნებობის შემთხვევაში, თბილისს მზად აქვს ტვირთნაკადთა "გადამისამართების" სქემა, რაც მცირე ხნით, მაგრამ უკვე წარმატებით აპრობირებულია.

ბაბუინთა შემოდგომა

აჭარის მმართველი ოლიგარქისათვის მისი კუთვნილი და კანონიერი ადგილის "მიჩენა" არა მხოლოდ საქართველოს კონკრეტული ხელისუფლების (უპირველესად პრეზიდენტის), არამედ მთელი ქვეყნის ძალიან სერიოზული წარმატებაა - იქნებ პირველი ნამდვილი გამარჯვებაც მთელი ამ წლების განმავლობაში.

უკვე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური რესურსის თვალსაზრისით, ქვეყანამ როგორც იქნა, პირველად 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ, მოიპოვა, მართლაც, ძლიერი და ქმედითი ხელისუფლება, რომელსაც ეს პოლიტიკური რესურსი (უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე "ნდობის კრედიტი" - აქ მხოლოდ ნდობაში არ არის საქმე) აძლევს საშუალებას, იმოქმედოს იმდენად რადიკალურად და გადადგას ისეთი ნაბიჯები, რასაც ვერც ერთი წინა ხელისუფლება ვერ გაბედავდა.

ბათუმში მიღწეული კომპრომისი კი სერიოზული "მესიჯია" აჭარის მმართველი ელიტისათვის, რომ მან (და უპირველესად სწორედ მან), მისივე ინტერესებიდან გამომდინარე, აქტიურად უნდა იფიქროს ასლან აბაშიძის ალტერნატივაზე.

აჭარის მრავალწლიანი მმართველი უდავოდ უკვე გუშინდელი დღეა, მაგრამ მისი ფენომენის საბოლოოდ ამოსაწურად აჭარის ელიტას თბილისმა ორმხრივად მისაღები "მოდუს ვივენდი" უნდა შესთავაზოს.

თუკი ყველანი ვთანხმდებით, რომ აჭარის ავტონომიური სტატუსის ეჭვქვეშ დაყენება (პირველ რიგში, საგარეო ფაქტორების გამო) კონტრპროდუქტიულია, მაშინ ქართული ისტებლიშმენტი იმაზეც უნდა შეთანხმდეს, რომ აქ ახალი "ბალანსის"(!) გამომუშავება გარდაუვალია. ეს ცნება, რამდენად დისკრედიტირებულიც უნდა იყოს, უბრალოდ, აუცილებელია, ვინაიდან, ბოლოს და ბოლოს, პოლიტიკა ინტერესთა თანხვედრისა და წონასწორობის ხელოვნებაა.

მაგრამ, ისევ და ისევ, "ახალი ბალანსის"(სტრატეგიული კომპრომისის) განუყოფელ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს აჭარაში სიტყვის თავისუფლების, პლურალისტური გარემოს ჩამოყალიბების და პოლიტიკურად "მრავალშემადგენლიანი" სახელისუფლებო ორგანოების ფუნქციონირების სავსებით პრაგმატული მოთხოვნა.

სინამდვილეში, ბოლო დრომდე, ასლან აბაშიძე არა მხოლოდ თავისი ოჯახის, არამედ აჭარის ელიტის ინტერესებსაც გამოხატავდა. აქ ინტერესთა გარკვეული კონფლიქტის შექმნა ადრე თუ გვიან აუცილებლად გამოიღებს "სასიკეთო" შედეგს, ანუ აჭარის ტერიტორიაზე გამავალ ფინანსურ ნაკადებზე რეალური კონტროლის საბოლოოდ დაკარგვის შედეგად, ასლან აბაშიძის წარსულ საუკუნეებში დაბრუნება (ალბათ, შევარდნაძისაგან განსხვავებით, რომელმაც მე-20 საუკუნე იკმარა, - განსახილველ შემთხვევაში შუა საუკუნეები უნდა ვიგულისხმოთ) გარდაუვალი გახდება.

თვით "პატრიარქს" ეს ძალიან კარგად ესმის, - ამიტომაც ცდილობს, მოგონილი საბაბით წინააღმდეგობა გაუწიოს პრეზიდენტის წარმომადგენელთა დანიშვნას და ამ ინსტიტუტის სრული ძალით ამოქმედებას.

ოღონდ, "თბილისში" ხელისუფლების შემდგომი კონსოლიდაციისა და პრინციპული ხაზის გაგრძელების პირობებში ეს მცდელობაც სრულიად ფუჭი იქნება. ყველაფერთან ერთად, მომხდარი იმასაც ადასტურებს, რამდენად ანაქრონისტულია ჩლუნგად ტრადიციონალისტური მცდელობა(აქ კონკრეტულ პარტიაზე, რა თქმა უნდა, არა გვაქვს საუბარი) ისტორიულად დრომოჭმულ სისტემათა ექსტრაპოლაციისა თანამედროვე გარემოში: ქართველებს "ველოსიპედის გამოგონება" ნამდვილად არ გვჭირდება: ხელისუფლება უნდა იცვლებოდეს!!! ეს უბრალო, მაგრამ, იმავდროულად გენიალური დემოკრატიული დებულება თავის თავში მთელ სახელმწიფოებრივ ფილოსოფიას მოიცავს. ის, ვინც მას არ ეთანხმება, - თავს ყულფში ჰყოფს, რადგან ათწლეულების განმავლობაში დაგროვილი სოციალური უკმაყოფილების ზვავს ელობება. პროტესტული სეგმენტი კი სოციუმში არ დაილევა. ამან შეიწირა წინა "პატრიარქიც". სინამდვილეში, იგი მხოლოდ დრომ დაამარცხა.

ასლან აბაშიძემ აჭარის მმართველი ოლიგარქია და თუნდაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, პარტიკულარისტული მეთოდებით, სულაც "ოქროში რომ ჩასვას", პროტესტული სოციუმის დამშვიდების ერთადერთი საშუალება ხელისუფლების პერიოდული ცვლილებაა, რასაც ავტორიტარი ვერასდროს ვერაფერს დაუპირისპირებს: აქ პროდუქტიული კონტრმეთოდი უბრალოდ არ არსებობს: სახელისუფლებო პატრიარქთა "შემოდგომის" გარდაუვალობა ბუნების კანონებზე არანაკლებ მრისხანე და შეუვალია.

თუ აჭარის ელიტა ამას არ დაეთანხმება და ალტერნატიული სისტემის დაფუძნების აუცილებლობას არ აღიარებს, - იგი მუდამ წაგებული დარჩება და ყოველთვის იძულებული იქნება, თავისი ინტერესები კონკრეტული გვარის ინტერესებს ანაცვალოს.

მთავარია, მან საკუთარი ინტერესები გააცნობიეროს, რაც უკვე აღარ არის იდენტური აბაშიძეთა ინტერესებთან. თბილისი კი ყოველნაირად უნდა დაეხმაროს მას ამ "გაცნობიერების პროცესში".

რუსული ტეხილი

აჭარის მოვლენებთან დაკავშირებით, საქართველოს "გულითადი მეგობრები", რუსი პოლიტოლოგები და ჟურნალისტები, ასევე კრემლთან დაახლოებული პოლიტტექნოლოგები, ანდრანიკ მიგრანიანიდან დაწყებული – გლებ პავლოვსკიმდე, "ნირწამხდარნი" აღიარებენ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა რეგიონულ პრობლემათა გადაწყვეტისას პირველი გამარჯვება მოიპოვა.

ამასთან დაკავშირებით, ოფიციალური მოსკოვი ცოტა არ იყოს ორჭოფულ ვითარებაში აღმოჩნდა: მან ყველაფერი გააკეთა, რათა საქმე სისხლისღვრამდე მისულიყო. ამაზე მეტყველებს ბათუმის მოტომსროლელთა დივიზიაში განხორციელებული პროვოკაციული "როტაცია", შემდგომ კი, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს და ბათუმში "მასთან ჩასული" იური ლუჟკოვის ანტიქართული განცხადებები.

მივაქციოთ ყურადღება: რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავდაპირველად აღნიშნა, რომ იური ლუჟკოვს ოფიციალური მანდატი არ გააჩნდა და ბათუმში კერძო ვიზიტით იმყოფებოდა, ხოლო როცა მდგომარეობა განიმუხტა და სისხლი არ დაიღვარა, - იმავე სმოლენსკის მოედანმა საგანგებო განცხადებით მადლობაც გადაუხადა მოსკოვის მერს, ვინც (თურმე) "ხელი შეუწყო კონფლიქტის მშვიდობიან ამოწურვას".

სინამდვილეში, მოსკოვის "კეთილისმყოფელი როლი" აჭარის კრიზისში არათუ ნულის ტოლი იყო, არამედ(ვიმეორებ) მან ყველაფერი გააკეთა, რათა სისხლი დაღვრილიყო, მაგრამ რაკი არ გამოუვიდა, - შემდგომ უკვე მიზანშეწონილად ჩათვალა ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა (მთელი მსოფლიოსათვის), თითქოს სწორედ მისმა ჩარევამ განაპირობა მშვიდობიანი შედეგი.

ამის გათვალისწინებით, მიხეილ სააკაშვილი აბსოლუტურად სწორად მოიქცა, როცა უარი თქვა(იგორ ივანოვის თხოვნის მიუხედავად), შეხვედროდა ლუჟკოვს.

შეხვედრის ფაქტის დაფიქსირება მოსკოვს ისევ და ისევ იმისათვის სჭირდებოდა, რათა ლუჟკოვის მეშვეობით თავისი გეოპოლიტიკური პრიორიტეტი დაედასტურებინა.

ანუ, სხვაგვარად თუ ვიტყვით, აჭარაში სისხლი თუ არ დაიღვარა, არ დაიღვარა არა მოსკოვის წყალობით, არამედ პირიქით, - მისი პროვოკაციული მოქმედების საწინააღმდეგოდ.

მაშასადამე, პრეზიდენტის, პრემიერისა და პარლამენტის თავმჯდომარის კონსოლიდირებული ძალისხმევის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება, რაკი არ არსებობს არავითარი საფუძველი მტკიცებისა, თითქოს მათ წარმატებას რუსეთის მეშვეობით, მისი წყალობით მიაღწიეს.

რაც განაპირობებს გასული კვირის ძირითად ტენდენციას: საქართველო იძენს არც თუ უშეცდომო, მაგრამ ქმედით ხელისუფლებას, რომელსაც რთული პოლიტიკური პროექტების განხორციელების უნარი შესწევს.

ეკონომიკური სანქციების სამი დღე - შედეგები და გაკვეთილები

ვირველი გვერდიდან

რეგიონის ჩაკეტვამ, ცხადია, შეზღუდა არაკანონიერი ტვირთების მოძრაობაც, რაც არანაკლებ მტკივნეული გახლდათ აჭარის ხელისუფლებისთვის, რომელიც დღეს ამ არაკანონიერ "ბიზნესზე" დგას.

ამასთან ერთად, ცენტრმა გარკვეული ნაბიჯები გადადგა საბანკო სფეროს მიმართულებით, მათ შორის - ლიცენზია შეუჩერა საზღვაო ბანკს, რომელიც რეგიონის ხელმძღვანელობის თანხების ძირითადი "გამტარია".

ცხადია, ეს ყველაფერი საკმაოდ სერიოზული არგუმენტი აღმოჩნდა რეგიონისთვის მოლაპარაკების მაგიდასთან დასაჯდომად.

თუმცა, ფაქტია ისიც, რომ გარკვეული დისკომფორტი ცენტრსაც შეექმნა - პირველ რიგში, თბილისმა მხოლოდ სანქციების პირველ დღეს აღმოაჩინა, რომ ვალეს გამშვები პუნქტის მისადგომებთან თურქეთში ხიდი ისეთ მდგომარეობაშია და მათზე მოძრაობა ასევე გაძნელებულია. როგორც ხიდის, ისე გზების რეაბილიტაცია "პოსტ-ფაქტუმ" დაწყო.

მხოლოდ სანქციების გამოცხადების შემდეგ "აღმოჩნდა" ისიც, რომ ცენტრს არ გააჩნდა აჭარაში პენსიების დარიგების ბერკეტები, რაც ისედაც გაძვირებული ბაზრის ამარა დატოვებული აჭარის მოსახლეობისთვის სერიოზული დარტყმა გახლდათ.

"აღმოჩნდა", რომ ფოთის პორტს არ ჰქონდა არც ამ დღეებში მოსალოდნელი თხევადი ტვირთის დასამუშავებლად საკმარისი სიმძლავრეები...

თუმცა, ცხადია, რეგიონთან შედარებით, ცენტრისთვის შექმნილი "დისკომფორტი" მაინც უმნიშვნელო გახლდათ, მით უმეტეს უმნიშვნელო იყო იგი იარაღის ჟღარუნით გამოწვეულ შესაძლო შედეგებთან შედარებით.

საერთოდ, ცენტრში უყვართ იმის გამეორება, რომ აჭარის ეკონომიკური "ბლოკადის" შედეგად მთლიანად ქვეყანას განსაკუთრებული პრობლემები იმ მარტივი მიზეზის გამო არ შექმნია, რომ რეგიონი ცენტრში თანხებს, პრაქტიკულად, ისედაც არ რიცხავდა და რეგიონის ეკონომიკის ანუ შემოსავალგასავლის გაკონტროლების რეალური ბერკეტები ცენტრს ისედაც არ ჰქონდა.

შეგახსენებთ: 2000 წლიდან 2004 წლის 1 იანვრამდე აჭარას ცენტრის მიმართ საბიუჯეტო დავალიანების სახით 173 მილიონი ლარი დაუგროვდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეს დავალიანება დაგროვილია აჭარის მიერ ოფიციალურად დაფიქსირებული შემოსავლების შესაბამისად, თუმცა - რეგიონის რეალური შემოსავლის დაფიქსირების საშუალება დღემდე ცენტრს არ ჰქონია.

მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ცენტრი აჭარის მიერ წარმოდგენილ მონაცემებს "სჯერდებოდა", მიმდინარე წლის მარტისთვის სამ თვეში ცენტრალურ ბიუჯეტს რეგიონიდან 7 მილიონ ლარზე მეტი დააკლდა, ხოლო "გადმორიცხვების" პროცესის დაწყებად კი წელს ის შეფასდა, რომ იანვარში აჭარამ ცენტრს 1,2 მილიონი ლარი გადმოურიცხა, თებერვალში კი - 1,8 მილიონი ლარი.

გადაწყვეტილება, რომლითაც გასულ კვირას ცენტრი-რეგიონის დაპირისპირება განიმუხტა, იდეაში სწორედ ამ კონტროლის აღდგენას გულისხმობდა. ამასთან, ცენტრი ამ ნაბიჯით რეგიონში სხვადასხვა ტვირთების მოძრაობის გაკონტროლებას ცდილობს. თუმცა, რეგიონში, სადაც ყველა საკვანძო ადგილზე ძველი "მგლები" არიან, პრეზიდენტის წარმომადგენლებად ორი მეტისმეტად ახალგაზრდა, ძირითადად, წინასაარჩევნო მუშტი-კრივში თავგამოჩენილი კადრის დანიშვნამ გარკვეული ეჭვები გააჩინა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეძლებენ ეს კადრები ქვეყნისთვის მეტად სერიოზული მიზნების შესრულებას? თუ, რა თქმა უნდა, მიზანი კონტრაბანდის და, ზოგადად, ტვირთბრუნვის რეალურად გაკონტროლებაა და საქმე გარკვეულ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებასთან ან უბრალო მოლარეობასთან არ გვაქვს. ერთი რამ ცხადია - ეს კადრები უშუალოდ ვანო მერაბიშვილის გარემოცვიდან, განსაკუთრებული პარტიული ერთგულების ნიშნით იქნა შერჩეული.

ცხადია ისიც, რომ თუ რეალური კონტროლის დაწესება მოხერხდა, ამან პირველ რიგში ცენტრალურ ბიუჯეტში აჭარის მიერ შეტანილ თანხებზე, ან, როგორც მინიმუმ, შესატან თანხებზე უნდა იმოქმედოს და ამ თანხების ოდენობა ერთიორად უნდა გაიზარდოს. ამის გაკონტროლება საკმაოდ მარტივია - დღემდე აჭარას ცენტრალურ ბიუჯეტში თვეში 5 მილიონ ლარამდე უნდა გადმოერიცხა.

და კიდევ - ფაქტია, რომ ასლან აბაშიძემ ცენტრის ძირითად მოთხოვნად სწორედ პორტში და საბაჟოზე კონტროლის დაწესება აღიქვა და მისი მხრიდან საკმაოდ მწვავე რეაქცია მოჰყვა აჭარაში ევროსაბჭოს ექსპერტების გუშინდელ ვიზიტს, რომელთაც მას უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღება მოსთხოვეს. ამის საპირწონედ აბაშიძემ, არც მეტი, არც ნაკლები - ფოთის პორტში და ვალეს საბაჟოზე საკუთარი წარმომადგენლის დასმა მოითხოვა და ამ აბსურდული განცხადებით მორიგი გამოწვევა ესროლა ცენტრს. სხვათა შორის, ამასთან ერთად იგი საზღვაო ბანკისთვის ლიცენზიის აღდგენასაც მოითხოვს.

ორი სიტყვით

თბილისი. ევროკავშირი საქართველოს სტანდარტების საერთაშორისო ფონდის შექმნაში ეხმარება. პროექტი, რომელსაც საქსტანდარტთან ერთად ტენდერში გამარჯვებული გერმანიის სტანდარტიზაციის ეროვნული ინსტიტუტი ახორციელებს, წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს. ფონდიდან საჭირო ინფორმაციას მიიღებენ როგორც მეწარმეები, ისე ეკონომისტები. ის ხელს შეუწყობს სტანდარტიზაციის მოწესრიგებას. ფონდში განთავსებული იქნება 24 ქვეყნის 850 ათასამდე სტანდარტი. პროექტისთვის ევროკავშირმა 250 ათასი დოლარი გამოყო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გაერო-ს გლობალური ფონდი საქართველოს მთავრობასთან მალარიასთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამას 800 ათასი დოლარით იმ შემთხვევაში დააფინანსებს, თუ პროგრამით გამოყოფილი თანხები არ დაიბეგრება. თუ პროგრამა დროულად არ ამოქმედდა, მედიკამენტების და შხამქიმიკატების მარაგი, რომელიც ამჟამად მალარიასთან ბრძოლისთვისაა მობილიზებული, ზაფხულისთვის ამოიწურება. პროგრამის კოორდინატორის მერაბ იოსავას ცნობით, უკრაინაში პროგრამის განხორციელება გლობალურმა ფონდმა იმიტომ შეწყვიტა, რომ იქ გრანტის თანხები იბეგრებოდა. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტმა გრანტის გადასახადებისგან გათავისუფლების საკითხი დროულად უნდა გადაწყვიტოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ფინანსთა სამინისტრომ საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ თებერვალში მოხმარებული დენის საფასური დაფარა. სახაზინო სამსახურმა ამისთვის 230 400 ლარი გაიღო. გასული კვირის ბოლოს ხაზინიდან სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში კუთვნილი თანხა – 241 200 ლარი მიიღო სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ: სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტმა – 208 000 ლარი და აგროქიმიური ნიადაგის ნაყოფიერების სამსახურმა – 33 200 ლარი. ამავე პროგრამის ფარგლებში 2700 ლარი სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა მიიღო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. 29-31 მარტს ბრიუსელში, ევროკომისიის საკონფერენციო დარბაზში, ინოგეიტის პროგრამის ფარგლებში ენერგეტიკის მინისტრთა შეხვედრა გაიმართება, სადაც ევროპისა და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ენერგეტიკის მინისტრები ინოგეიტის პროგრამის პერსპექტივებსა და ბუნებრივი აირის საკითხებზე იმსჯელებენ. მონაწილეობას საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ალეკო ხეთაგურის თქმით, ის შეხვედრაზე საქართველოში ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენის მდგომარეობაზე გააკეთებს მოხსენებას და შეეცდება, მისი რეაბილიტაციით ინვესტორები დააინტერესოს. გაზსადენის რეაბილიტაციას, რომელიც საქართველოს გავლით სომხეთს რუსული გაზით ამარაგებს, 35 მილიონი ევრო სჭირდება და მისი რეაბილიტაციით "გაზპრომიც" დაინტერესებულია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ყაზბეგი. ორ კვირაზე მეტია, ყაზბეგის რაიონს ელექტროენერგია არ მიეწოდება. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ხაზზე, რომლის საშუალებითაც რაიონი მარაგდება, წაცეცულია ორი ანძა, ხოლო სამი – გაძარცულია. მას შემდეგ, რაც აღდგენითი სამუშაოებისთვის "აერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" "სახელმწიფო ელექტროსისტემას" 17,5 ათასი ლარი გადაურიცხა, "ელექტროსისტემა" ხაზის აღდგენას შეუდგა. სავარაუდოდ, რაიონი დენს 23 მარტისთვის მიიღებს. **24 საათი**

"ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ

24 მარტს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:
სოფელ ტაბახმელის(ნაწილობრივ) მაცხოვრებლებს.

24 მარტს, 11.00-დან 16.00-სთ-მდე:
31-ე ქარხნის დასახლების, სამრეწველო დასახლების, მოსკოვის გამზირის 4 კვარტლის, მოსკოვის გამზირის(ნაწილობრივ), ბოგდან ხმელნიცკის(ნაწილობრივ) ქუჩის მაცხოვრებლებს.

24 მარტს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:
ცქიტიშვილის, კახიანის, კისისხევის, მიხეილ მესხის, მუშათა, ნოსტეს, ქებურიას, უიარაღოს, ურიდიას, წაღვერის, წრომის, ძმობის ქუჩების მაცხოვრებლებს.

24 მარტს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:
გორდის, თოდრიას ქუჩების მაცხოვრებლებს.

24 მარტს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:
ასკურავას, ჩოხატაურის, ჩხიკვაძის, ცოტნე დადიანის(ნაწილობრივ), ლალიონის, მანჯგალაძის, მიხეილ მესხის, მიქატაძის, ნოვოროსიისკის, ქებურიას, სურგულაძის, ურიდიას, ხიმშიაშვილის ქუჩების მაცხოვრებლებს.

კონსულტანტი ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის დარგში

ბრითიშ პეტროლეუმის მილსადენების პროექტებისთვის, ბრითიშ პეტროლეუმის ხელმძღვანელობის ზედამხედველობით, IRA Ltd ეძებს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირს, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის (HSE) დარგში კონსულტანტის თანამდებობის დასაკავებლად. იგი იქნება მესამე მხარის კონტრაქტორი ბრითიშ პეტროლეუმის მილსადენის პროექტისთვის საქართველოში, რომელიც იმუშავებს ბრითიშ პტროლეუმის ხელმძღვანელობის ზედამხედველობით.

სამუშაოს აღწერა:
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საოპერაციო HSE კონსულტანტი გარემო ანგარიშვალდებული იქნება უსაფრთხოების უფროსი კონსულტანტის მიმართ. მისი როლი შეიცვლება, პროექტის წინსვლასთან ერთად და შესაბამის პირს შეექმნება კარიერის განვითარების შესაძლებლობები. როლი შეიძლება შეიცვალოს წინასაექსპლუატაციო ეტაპიდან საექსპლუატაციო ეტაპზე გადასვლის დროს.

HSE კონსულტანტი უზრუნველყოფს კონსულტაციებს და მხარდაჭერას სამუშაო ძალებისთვის, რათა მათ გამოიყენონ უსაფრთხო მუშაობის პრაქტიკა, როგორებიცაა "ბრითიშ პეტროლეუმის უსაფრთხოების ოქროს წესები" და "მუშაობის უსაფრთხო სისტემები". ახდენს ყველა ობიექტის საქმიანობის მონიტორინგს და კონსულტაციას უწევს ზედამხედველებს, როდესაც ადგილი აქვს უსაფრთხოების კარგი პრაქტიკის დარღვევის შემთხვევებს.

როლები და პასუხისმგებლობები
ძირითადად როლები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

წინასაექსპლუატაციო ეტაპზე:
- დაესწროს საგეგმო შეხვედრებს და საუბრებს, სამუშაოს დაწყებამდე, რათა მონაწილეობა მიიღოს ღონისძიებების რისკის შეფასებაში და განისაზღვროს ყველა საფრთხე და მიღებულ იქნას სათანადო ზომები რისკის შემცირებისთვის.
- განახორციელოს მიმდინარე მუშაობის მონიტორინგი, რათა დაეხმაროს თანამშრომლებს უსაფრთხო მუშაობის პრაქტიკის, სახელდობრ, უსაფრთხოებიოს სავალდებულო ოქროს წესების დარღვევის შემთხვევების განსაზღვრაში
- კონსულტაციები გაუწიოს სამუშაო ძალებს, გაძლიერებული უსაფრთხოების შემოწმებასა (ASA) და უსაფრთხოების ტრენინგის პროგრამაში (STOP) მონაწილეობის მისაღებად, რათა განვითარდეს უსაფრთხოების დაცვის კულტურა.
- წეროს ანგარიშები, გააანალიზოს ASA-ს და STOP-ის ბარათები, რათა დაეხმაროს ზედამხედველებს უსაფრთხოების სწორი ქმედებების ხელშეწყობისა და საჭიროებისამებრ მაკორექტირებელი ქმედებების მხარდაჭერის საქმეში.
- ჩაატაროს გაზის ტესტები, როგორც ამას სამუშაოს ნებართვის პროცედურები მოითხოვს (PTW)
- განახორციელოს სამუშაოს ნებართვის პროცედურების (PTW) ეფექტიანობისა და სწორად გამოყენების მონიტორინგი.
- განახორციელოს სამუშაო ძალების ტრენინგის საპასპორტო სისტემის მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ მათ ჩაუტარდებათ შეთანხმებული და მათი სამუშაოს შესაბამისი ტრენინგები
- გაუწიოს დახმარება ინციდენტებისა და დაძაბული სიტუაციების გამოკვლევისას
- განახორციელოს უსაფრთხო მგზავრობისა და მოგზაურობის მენეჯმენტის გეგმის პროგრამის მონიტორინგი
- გაუწიოს გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის კონსულტანტებს დახმარება, ატმოსფეროსა და მიწაზე გამოტყორცნების მონიტორინგის საქმეში და კონსულტაციები გაწიოს ობიექტების ზედამხედველებს, როდესაც მუშაობის პარამეტრები მიუღებელია.
- საწიროებისამებრ დახმარება გაწიოს ობიექტის ზედამხედველს დაღვრილი ნავთობის დასუფთავების საქმეში
- მონაწილეობა მიიღოს ექსპლუატაციაში გაშვებამდე ჩატარებულ ინსპექციებში, რათა განამტკიცოს დანადგარებისა და ოპერატორების მზადყოფნის საიმედოობა.

კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:
- უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების სფეროში მუშაობის გამოცდილება (იდეალურია 2 წლის გამოცდილება ამ სფეროში)
- ჰქონდეს ურთიერთობის კარგი უნარი
- კარგად შეეძლოს კომპიუტერზე მუშაობა (Microsoft office)
- შეეძლოს მუშაობა, როგორც ჯგუფის წევრს
- სასურველია განათლება ტექნიკურ სფეროში
- კარგად ფლობდეს ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებს.
- საჭიროა საქართველოს მოქალაქეობა

როგორ შეიტანოთ განაცხადი / დამატებითი ინფორმაცია
თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ გაქვთ სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება ამ როლის შესრულებისთვის, გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი ბიოგრაფია (CV) და შეავსით შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელიც შეგიძლიათ მიიღოთ ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე. განცხადებების მიღების ბოლო ვადაა სამშაბათი, 13 აპრილი, 2004 წ.
საქართველოს მოქალაქეობა აუცილებელია.

განხილული იქნება ყველა განაცხადი, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ყველა კანდიდატს მიიწვევენ გასაუბრებაზე და შესთავაზებენ სამუშაოს.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია
BP Georgia
საბურთალოს ქ. N38
თბილისი, საქართველო.

შესყიდვების სპეციალისტი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენის ექსპლოატაციის და მშენებლობის პროექტების მიზნებისათვის და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს შესყიდვების სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად. შესყიდვების სპეციალისტი წარმოადგენს საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

სამუშაოს აღწერა:
შესყიდვების სპეციალისტის პასუხისმგებლობის სფეროში შედის საქონლის და მასალების შესყიდვის კონტრაქტების გაფორმება, ხოლო ძირითად მოვალეობას შეადგენს შესყიდვების ზოგადი ადმინისტრირება. შესყიდვების სპეციალისტს მოეთხოვება უზრუნველყოს, რომ კომპანია "ბი-პი"-ს სახელით განხორციელებული შესყიდვები შესრულდეს ეთიკური ნორმების სრული დაცვით, ჯანსაღი ბიზნეს-პრაქტიკის გამოყენებით, ხარისხის, საერთო ღირებულების, მოწოდების პირობების, საიმედოობის, უსაფრთხოების ტექნიკის და გარემოს დაცვის, აგრეთვე შესაბამისი წესების და ნორმების მოთხოვნების შესრულების პირობებში, რომელიც ჩამოყალიბებულია "ბი-პი"-ს ბროშურაში - "ჩვენი პრინციპები" ("What We Stand For").

მოვალეობები და პასუხისმგებლობები:
შესყიდვებთან დაკავშირებული კონკრეტული მოვალეობები მოიცავს შემდეგს:
- მოთხოვნების დამუშავება მარაგების რეგულარული, არა-სასწრაფო შესყიდვის თაობაზე. კონკრეტულ ფუნქციებში შედის:
- საერთაშორისო და ადგილობრივი მომწოდებლების მოძებნა, სატენდერო სიის შედგენა (საჭიროების შემთხვევაში) და ფასიანი წინადადებების მოთხოვნის გამოქვეყნება;
- ფასიანი წინადადებების მიღება და შეფასება, კონტრაქტის გაფორმების რეკომენდაციის გაცემა;
- ძირითადი "მიწოდების შეკვეთების" მომზადება;
- შეკვეთის გაფორმების შემდგომი მენეჯმენტი, მათ შორის, ტექნიკური და კომერციული საკითხების გადაწყვეტის ოპერატიული კოორდინირება; და "მიწოდების შეკვეთების" და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების სათანადო აღრიცხვიანობის წარმოება.

კონტრაქტების გაფორმების ნაწილში კონკრეტული მოვალეობები მოიცავს შემდეგს:
- "მომსახურების შეკვეთის" მომზადება რეგულარულ, არა-სასწრაფო მომსახურებაზე;
- ჩარჩო-ხელშეკრულებების მომზადება;
- სხვა ძირითადი კონტრაქტების მომზადება;
- კონტრაქტის გაფორმების შემდგომი ადმინისტრირება;
- კონტრაქტების და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების სათანადო აღრიცხვიანობის წარმოება.

პასუხისმგებლობათა სფეროში შედის ისეთი საკითხების უზრუნველყოფა, როგორიცაა:
- დამკვეთის მოთხოვნების და გრაფიკების დაცვა;
- პროფესიონალური და ეთიკური ბიზნეს-პრაქტიკის წესების მუდმივად დაცვა;
- დამოწმების და შესაბამისი სახელმძღვანელოებით დაწესებული კონტროლის სხვა მექანიზმების შესრულება;
- ხარისხის, საერთო ღირებულების, მოწოდების პირობების, საიმედოობის, უსაფრთხოების ტექნიკის და საქართველოს სხვა შესაბამისი კანონმდებლობის და ნორმატივების სათანადოდ დაცვა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში;
- შეკვეთის ინიციატორის ინფორმირება შეკვეთასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;
- საჭიროების შემთხვევაში, უფრო გამოცდილი კოლეგებისაგან კონსულტაციის მიღება.

გამოცდილება და განათლება:
კანდიდატს უნდა გააჩნდეს უმაღლესი განათლების დიპლომი. აუცილებელია კონტრაქტების და შესყიდვების სპეციალობით მუშაობის მინიმუმ 2-წლის სტაჟი. უაღრესად სასურველია ინგლისურად ზეპირმეტყველების და გამართული წერითი მეტყველების უნარი. სასურველია რუსული ენის თავისუფლად ფლობის უნარი. ადამიანებზე ზემოქმედების დადებითი უნარის ფლობა აუცილებელია. უპირატესობა ენიჭება დასავლურ ორგანიზაციაში მუშაობის გამოცდილებას. კანდიდატს მოეთხოვება დატვირთული სამუშაოსთვის თავის გართმევის უნარი - სამუშაოს ხარისხის, სიზუსტის და დროის ჩარჩოების დაცვის პირობებში.
აუცილებელია კომპიუტერული პროგრამების - Microsoft Word და Excel - სრულყოფილი ფლობა და კომპიუტერთან მუშაობის ძირითადი უნარ-ჩვევები.
კანდიდატისთვის საჭირო ტექნიკური უნარ-ჩვევები, ზოგადად, მდგომარეობს შემდეგში:
შესყიდვების ძირითადი წესების გამართული ცოდნა სამუშაო დონეზე;
ამ ცოდნის გამოყენებით, რეგულარულ შეკვეთებთან დაკავშირებული შესყიდვების დოკუმენტების მომზადება და გამოცემა;
შეკვეთების დოკუმენტების ეფექტური განკარგვა და შეკვეთის შემდგომი ოპერაციების შესრულება, მინიმალური ზედამხედველობის პირობებში.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **ორშაბათი, 2004 წლის 29 მარტი, 18 საათი**.
კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
"ბი-პი საქართველო", საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

რიჩარდ კლარკი ბუშს ბრალს სდებს

მასშტაბური დემონსტრაციები მსოფლიოში

“ამერიკა ტერორიზმისაგან დღეს უფრო ნაკლებადაა დაცული, ვიდრე იგი ბუშის ადმინისტრაციამდე იყო,” – ამბობს ტერორიზმის საკითხებში ერთ-ერთი წამყვანი ამერიკელი ექსპერტი და პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი რიჩარდ კლარკი ამერიკული სამაუწყებლო კომპანია “სი-ბი-ესი”-სთვის მიცემულ ინტერვიუში. კლარკი ირწმუნება, რომ ბუშს შესაძლო ტერაქტების შესახებ ხშირად აფრთხილებდნენ და მისმა ადმინისტრაციამ ეს გაფრთხილებები, უბრალოდ, უგულებელყო: **“თვეების განმავლობაში ამ ინფორმაციის უგულებელყოფა ხდებოდა და ეს მაშინ, როცა ჩვენ 11 სექტემბრის ტერაქტის წინააღმდეგ რაიმეს გაკეთება ჯერ კიდევ შეგვეძლო.”** კლარკის თქმით, პრეზიდენტს, რომლის დროსაც მსგავსი რამ მოხდა, მეორე ვადით არჩევის მორალური უფლება არა აქვს. რიჩარდ კლარკი სამსახურიდან შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტის შექმნის შემდეგ, სტრუქტურული ცვლილებების საბაბით დაითხოვეს.

რიჩარდ კლარკი ჯორჯ ბუშს ბრალდებას სდებს.

კლარკის წიგნი, რომელიც ტერორიზმთან ბრძოლისა და აშშ-ს უსაფრთხოების საკითხებს ეხება, გაყიდვაში აშშ-ში უახლოეს დღეებში გამოვა. კლარკი მიიჩნევს, რომ “ალ-ქაიდასა” და “თალიბანის” წინააღმდეგ ბუშისეული პოლიტიკა არაადეკვატური და არათანმიმდევრული იყო და ასეთადვე რჩება, რაც ამერიკის უსაფრთხოებას უთხრის ძირს. კლარკი, რომელიც ბუშამდე კიდევ სამი პრეზიდენტის მრჩეველი იყო, მიიჩნევს, რომ ვაშინგტონს ჯერ კიდევ 11 სექტემბრამდე უნდა დაეწყო “ალ-ქაიდას” ქსელისა და ავღანეთში ტერორისტული ბანაკების ლიკვიდაცია. მისი თქმით, 11 სექტემბრის შემდეგ სრულიად გაუგებარი იყო აქცენტის ერაყზე გადატანა.

კლარკი ამბობს, რომ ერაყზე თავდასხმის გეგმას ბუშის გარემოცვა ჯერ კიდევ 11 სექტემბრის შემდეგ, ავღანეთის ომამდე განიხილავდა: **“ერთ-ერთი თათბირის დროს თავდაცვის მდივანი რამსფელდი ამბობდა, რომ ერაყისთვის უნდა დაგვერტყა, რაზეც მე და სხვები ვპასუხობდით, რომ “ალ-ქაიდა” არა ერაყში, არამედ ავღანეთში იყო. რამსფელდი კი ირწმუნებოდა, რომ ავღანეთში “კარგი” სამიზნე ცოტაა, ხოლო ერაყში - ბევრი. თავიდან ვიფიქრე, რომ რამსფელდი ხუმრობდა.”** კლარკის თქმით, ერაყის ომის გეგმა ჯერ კიდევ 11 სექტემბერს განიხილებოდა. როგორც ყოფილი მრჩეველი აცხადებს, სადაზვერვო წყაროები და ანალიზის შედეგები აჩვენებდა, რომ “ალ-ქაიდასა” და ერაყს შორის კავშირი, უბრალოდ, არ არსებობდა. თუმცა, კლარკს უკვირს, რომ თეთრ სახლს ეს არგუმენტები საერთოდ არ აინტერესებდა. **“პრეზიდენტი თითქმის გვაიძულებდა, რომ 11 სექტემბერი ერაყთან დაგვეკავშირებინა,”** – ამბობს კლარკი

“სი-ბი-ეს”-ს აღნიშნულ თემაზე იანვარში კიდევ ერთმა ყოფილმა ჩინოვნიკმა მისცა ინტერვიუ. ინტერვიუში ფინანსთა ყოფილი მდივანი პოლ ო'ნილი ამბობდა, რომ ბუშის ადმინისტრაციას ერაყელი დიქტატორის დამხობა პრეზიდენტად არჩევის პირველივე დღიდანვე სურდა. ო'ნილის თქმით, მასობრივი განადგურების იარაღი ერაყში არ არსებობდა და იგი მხოლოდ ომის დაწყების საბაბად იქნა გამოყენებული. ო'ნილი თანამდებობიდან 2002 წლის ბოლოს გაათავისუფლეს.

სამშვიდობო დემონსტრაციები.

მსგავს ბრალდებებს აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, კონდოლიზა რაისი უარყოფს. იგი ამბობს, რომ ანტიტერორისტულ პოლიტიკაში ბუშის ადმინისტრაცია 11 სექტემბრის მოვლენებამდე წინამორბედი ბილ კლინტონის სტრატეგიას აგრძელებდა და მხოლოდ ნიუ-იორკის ტრაგედიის შემდეგ შეიმუშავა საკუთარი ხედვა. ბუშის მრჩეველმა დასძინა, რომ 11 სექტემბერი პრეზიდენტისათვის მხოლოდ 230-ე სამუშაო დღე იყო და მას ამ მოკლე დროში საკუთარი პოლიტიკის შემუშავება არ შეეძლო. **“”ალ-ქაიდას” ქსელის განადგურება 11 სექტემბრამდეც რომ დაგვეწყო, ჩვენი შეფასებებით, ეს პროცესი მაინც 4-5 წელი გაგრძელდებოდა. ანუ ამით 11 სექტემბრის თავიდან აცილება ვერ მოხერხდებოდა,”** – თქვა კონდოლიზა რაისმა. რაისის პოზიციას უერთდება აშშ-ს უშიშროების საბჭოს რიგით მეორე პირი – სტივენ ჰედლი. იგი ამბობს, რომ პრეზიდენტი ყველა სახის სადაზვერვო ინფორმაციას დიდი გულისყურით ეკიდებოდა, შესაბამისი უწყებებისაგან მუდმივ სიფხიზლესა და ახალი ანტიტერორისტული სტრატეგიის შემუშავებას მოითხოვდა. **“სხვათა შორის, პრეზიდენტი ამერიკის ტერიტორიაზე თავდასხმის ვარიანტსაც აქცევდა ყურადღებას და გვეუბნებოდა, რომ ფხიზლად ვყოფილიყავით და ამ კუთხით რამე ინფორმაცია არ გამოგვპარვოდა,”** – ამბობს ჰედლი. თეთრ სახლში მიაჩნიათ, რომ კლარკის გამოსვლა და წიგნი ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატის, ჯონ კერის წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია.

თეთრი სახლი, ჯერჯერობით, არაფერს ამბობს კლარკის ბრალდებების მეორე ნაწილზე - ერაყის ომზე. გასულ შაბათ-კვირას ერაყის ომის წლისთავი მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში დემონსტრაციებით აღნიშნეს. აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, იტალიაში, ესპანეთში, გერმანიაში, რუსეთში, იაპონიაში ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მილიონზე მეტი დემონსტრანტი ომის წინააღმდეგ გამოვიდა. ყველაზე გრანდიოზული გამოსვლა მოეწყო რომში, სადაც მშვიდობის ლოზუნგით ქუჩაში 100 ათასი ადამიანი შეიკრიბა. **“ბუში - ნომერ პირველი ტერორისტი”**, **“მშვიდობა მსოფლიოს”**, **“სიმართლის დროა”** – ასეთი იყო დემონსტრანტების ლოზუნგებზე გამოხატული პოზიცია. სან-ფრანცისკოში, ნიუ-იორკსა და ჩიკაგოში მოსახლეობა მთავრობისაგან ერაყის ომის შესახებ სიმართლეს ითხოვდა.

ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტი - ისტორიული მტრობა თუ კონკურენცია?

ინდოეთი და პაკისტანი ურთიერთობებს ჯერ მხოლოდ კრიკეტის მოედანზე არკვევენ. კრიკეტი სპორტისათვის, თუ სპორტი პოლიტიკისათვის? პაკისტანში ჩასულ ინდოელ კრიკეტის მოთამაშეებს ტურნირის ორგანიზატორებმა გულთბილი მიღება მოუწყვეს. მიუხედავად იმისა, რომ თავად სპორტსმენები კონცენტრაციას მხოლოდ თამაშზე აკეთებენ, ეს შეხვედრა მაინც ისტორიულია.

ლაშა გიორგიძე

2001 წლის შემდეგ გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობა, ატომური დაპირისპირება და, რაც ყველაზე მთავარია, ქაშმირის ნახევარსაუკუნოვანი გადაუჭრელი პრობლება, რასაც ათობით ათასი ადამიანი შეეწირა - ეს არის ინდოეთ-პაკისტანის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოების, ურთიერთობის მონაპოვარი. იანვარში ქვეყნის პირველი პირების შეხვედრის შემდეგ ესტაფეტა სპორტსმენებს გადაეცათ.

1947 წლიდან, რაც ინდოეთი და პაკისტანი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადდა, ქაშმირსაც მიეცა საშუალება, დამოუკიდებელი სუბიექტი გამხდარიყო, თუმცა, სამხედრო დახმარებისა და რეფერენდუმის ჩატარების იმედით, ინდოეთს შეუერთდა. ისლამაბადი თავიდანვე აცხადებდა პრეტენზიას ამ რეგიონზე, ქაშმირში მუსლიმი მოსახლეობის უმრავლესობის მიზეზით. დაპირისპირება კი ომში გადაიზარდა. პაკისტანი ყოველთვის ეთანხმებოდა რეგიონში რეფერენდუმის ჩატარებას, რაც ბაერო-ს რეზოლუციაშიც კი აღინიშნა, მაგრამ იგი დღემდე შეუსრულებელია. უფრო მეტიც, დელი წინააღმდეგია, ამ თემაზე საერთაშორისო დებატები გაიმართოს და ამის დასტურად 1972 წლის შეთანხმება მოჰყავს, სადაც აღნიშნულია, რომ პრობლემა მხოლოდ ორმხრივი შეთანხმების ფონზე უნდა მოგვარდეს. ქაშმირის საკითხთან დაკავშირებით, ერთადერთი, რაშიც ორივე მხარე თანხმდება, არის ის, რომ ეს რეგიონი არ შეიძლება დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდეს. სადემარკაციო ხაზი საკუთრივ ქაშმირში უკანასკნელად 1972 წელს გაივლო, რის მიხედვითაც, ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი ინდოეთის ადმინისტრაციას უნდა დაექვემდებაროს, ხოლო ჩრდილო-დასავლეთი - პაკისტანს. მართალია, გაერო-ს ჩარევას ამ კონფლიქტში არანაირი შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფი ინდოეთსა და პაკისტანში (UNMOGIP) დღესაც ახორციელებს კონტროლს გამყოფ ხაზზე.

პაკისტანის პრეზიდენტი ფერვეზ მუშარაფი და ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ათალ ბეჰარ ვაჯპაი.

ქაშმირის პრობლემა მსოფლიოს ყველაზე რთულად მოსაგვარებელ საკითხებს მიეკუთვნება. ჯერ კიდევ 1998 წელს ინდოეთმაც და პაკისტანმაც თავი ატომური იარაღის მფლობელად გამოაცხადა, რამაც კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ მხარეები მოლაპარაკებაზე კი არა, შეიარაღებაზე ფიქრობდნენ.

ურთიერთობა კიდევ უფრო დაძაბა 2002 წლის შეიარაღებულმა თავდასხმამ ინდოეთის პარლამენტზე, რასაც დელი ყოველთვის პაკისტანის მთავრობას აბრალებდა. ამას მოჰყვა ორივე მხრიდან შეიარაღებული ნაწილების განლაგება საზღვარზე, ხოლო დანარჩენი მსოფლიო დადგა ატომური დაპირისპირების პრობლემის წინაშე. რელიგია ამ დაპირისპირებაშიც ერთ-ერთი ძირითადი ასპექტია. თავის დროზე ინდოეთს სწორედ მუსლიმური ნაწილი გამოეყო და შეიქმნა პაკისტანის რესპუბლიკა. იგივე ნიადაგზე გაგრძელდა ქაშმირის სეპარატიზმი.

როდესაც საუბარია რაიმე დაპირისპირებაზე, მით უმეტეს - შეიარაღებულ კონფლიქტზე, პირველ პლანზე დგება მხარეების სამხედრო ბალანსი. მხოლოდ რიცხვებით რომ ვილაპარაკოთ, მოსახლეობის რაოდენობით, ეკონომიკური სიძლიერით, სამხედრო კადრებით და შეიარაღებით, არ შეიძლება ამ ორ ქვეყანას შორის რაიმე ბალანსი არსებობდეს. არსებულ მდგომარეობას უფრო "დისბალანსი" შეიძლება ეწოდოს, სადაც უპირატესობას აშკარად ინდოეთი ფლობს. ამ ქვეყნების სამხედრო ამბიციები სხვადასხვა მიზეზებითა და მიზნებითაა ნაკარნახევი. ინდოეთი საკუთარ თავს მომავალ რეგიონულ ცენტრად წარმოიდგენს, სადაც სამხედრო შეიარაღება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ბუნებრივია, ასეთ პირობებში იგი ხედავს პოტენციურ მტრებს და ეძებს მოკავშირეებს რეგიონში. მის სახელმწიფო პროგრამაში გათვალისწინებულია 95 მილიარდი 15 წლის განმავლობაში, რაც მთლიანად სხვადასხვა იარაღის დახვეწის პროგრამებს მოხმარდება.

სამხრეთ აზიაში ჰეგემონის ამბიციები (თუ მთლიანად აზიაში არა) აქვს ჩინეთსაც, თუმცა მათი ღია დაპირისპირება არც ერთი მხარისათვის არ იქნება სასარგებლო. რაც შეეხება პაკისტანს, მისი პოზიცია აბსოლუტურად განსხვავებულია. ამ ქვეყნისათვის შეიარაღება ნაკარნახევია თავდაცვითი მიზნებით და, შესაბამისად, ნებისმიერი ახალი სამხედრო აღჭურვილობა მხოლოდ პოტენციური მტრების შეკავებას ემსახურება.

ინდოეთისათვის უმთავრესი პარტნიორი სამხედრო სფეროში რუსეთია. 2001 წლის ივნისში რატიფიცირებული დოკუმენტით გათვალისწინებულია, რომ ინდოეთმა რუსეთისგან 10 წლის განმავლობაში 10 მილიარდი დოლარის ოდენობის იარაღი და სხვა სამხედრო ტექნიკა უნდა შეიძინოს. ინდოეთი ყველაზე მეტად რუსეთის საჰაერო თავდაცვითი სისტემებითაა დაინტერესებული. ოფიციალური დელი აღიარებს კიდეც, რომ მისი შორეული მიზანი საკუთარი ანტი-ბალისტიკური სისტემის შექმნაა. ინდოეთისათვის ასევე მნიშვნელოვანია სამხედრო-ტექნიკური ურთიერთობის შენარჩუნება ისრაელთან, რომელსაც ბევრად უფრო თანამედროვე და სრულყოფილი იარაღი აქვს. ინდოეთის ასეთი შეიარაღება და სამხედრო სფეროში სხვა ქვეყნებთან პარტნიორობა აშშ-სათვის კარგად არის ცნობილი. ვაშინგტონში იციან, რომ ნებისმიერი მოთხოვნა ამ ქვეყნისადმი შეიარაღების შემცირების შესახებ, უშედეგო იქნება. მალე შეიძლება აბსოლუტურად განსხვავებული რეალობის წინაშე დავდგეთ, თუკი აშშ ინდოეთს სტრატეგიულ პარტნიორად გამოაცხადებს. თუმცა, მათ შორის დღემდე რჩება ატომური იარაღის პრობლემა.

მაშინ, როდესაც ინდოეთი და რუსეთი სამხედრო თანამშრომლობას წარმატებით განაგრძობენ, ჩინეთი პაკისტანთან ცდილობს საერთო ენის გამონაძებნას. ჩინეთის გარდა, პაკისტანს სამხედრო თანამშრომლობა აქვს საფრანგეთთან და უკრაინასთან. ყველა მცდელობის მიუხედავად, ერთადერთ საიმედო საშუალებად, რასაც ისლამაბადი ინდოეთის აგრესიის შესაჩერებლად ფლობს, ატომური იარაღი რჩება.

ბოლო თვეებში განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ ურთიერთობები ინდოეთსა და პაკისტანს შორის მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. უკვე შეიძლება დიპლომატიურ მოლაპარაკებებზე და კონსენსუსზე საუბარი მას შემდეგ, რაც ერთმანეთს ორივე ქვეყნის პირველი პირები შეხვდნენ. პაკისტანის პრეზიდენტმა ფერვეზ მუშარაფიმ და ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ათალ ბეჰარი ვაჯპაიმ შეხვედრის შემდეგ განაცხადეს: **"ასეთი მოლაპარაკებები ორმხრივი საკითხების მშვიდობიან მოგვარებამდე მიგვიყვანს."**

ანალიტიკოსთა თქმით, ასეთი ურთიერთობის ერთ-ერთი საფუძველი იყო ფერვეზ მუშარაფის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი მზადაა, "გვერდზე გადადგეს" მთავარი მოთხოვნა, ქაშმირში რეფერენდუმის ჩატარებაზე. პრეზიდენტის ასეთ განცხადებას არც ინდოეთის პრემიერ-მინისტრი "ჩამორჩა" და პრეტენზიები პაკისტანის საზღვრიდან შემომავალი ტერორისტების შესახებ ღიად არ განაცხადა. ამის მიუხედავად, მან პრეზიდენტ მუშარაფისაგან მაინც მიიღო პირობა, რომ პაკისტანი მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ტერორისტების არსებობას არ დაუშვებს.

ინდოეთ-პაკისტანის წინასწარ შეთანხმებაში, რომელიც 2004 წლის 18 თებერვალს მიიღეს - ქვეყნის პირველი პირების შეხვედრის შემდეგ, ნათქვამია, რომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ "ორმხრივი საკითხების მშვიდობიანად მოგვარებისათვის, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური განვითარებისათვის, მათი ხალხისა და მომავალი თაობებისათვის". იქვე აღინიშნა, თუ რა სფეროებში და როდის უნდა განახლდეს თანამშრომლობა, რაც რეალურ საფუძველს იძლევა ამ ორ ქვეყანას შორის მშვიდობიანი ურთიერთობისათვის. მართალია, ქაშმირის პრობლემა გადასაჭრელ საკითხებს შორის ყოველთვის პირველ პლანზე დგას, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ინდოეთისა და პაკისტანის თანამშრომლობა ისეთ სფეროებში, როგორიცაა ტერორიზმის, ტრეფიკინგისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლა. მათი სამომავლო ურთიერთობა, წინასწარი შეთანხმების მიხედვით, მოიცავს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარებას, გაცვლითი პროგრამების შექმნას სხვადასხვა სფეროში. მართალია, ჯერჯერობით, ეს ყველაფერი ქაღალდზეა, მაგრამ მისი განხორციელების შემთხვევაში, ადვილი შესაძლებელია, მტრული ურთიერთობა მეგობრობასა და პარტნიორობაში გადაიზარდოს.

მომდევნო შეხვედრა ორი ქვეყნის საგარეო უწყების ხელმძღვანელებს შორის 2004 წლის აგვისტოში შედგება, რაც კიდევ ერთხელ აჩვენებს - ისლამაბადსა და დელიში ერთდროულად გააიაზრეს, რომ სამხედრო შეტაკებებით (თუნდაც, სამხედრო წარმატებებით), ქაშმირის პრობლემის მოგვარება შეუძლებელია და ერთადერთი გზა დიალოგია.

ამას დადებითად აფასებს თვით ქაშმირის სეპარატისტული ჯგუფის ხელმძღვანელი აბას ანსარი, თუმცა იქვე აცხადებს:

"ჩვენ მივესალმებით ინდოეთისა და პაკისტანის ოფიციალური პირების შეხვედრას, მაგრამ ქაშმირის მოსახლეობის მონაწილეობის გარეშე, რაიმე წარმატებაზე საუბარი შეუძლებელია."

აშშ სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი აზიური ტურნეს ფარგლებში ეწვია ინდოეთსაც და პაკისტანსაც. გარდა იმისა, რომ პაუელმა ღიად განაცხადა აშშ-ს სურვილზე, ჰქონდეს სამხედრო თანამშრომლობა ინდოეთთან, სახელმწიფო მდივანმა "გულდაწყვეტილი" არც პაკისტანის მთავრობა დატოვა და ის "არა-ნატოს წევრ მთავარ სტრატეგიულ მოკავშირედ" გამოაცხადა. ასეთი სტატუსით უკვე სარგებლობს ისრაელი, იორდანია და ეგვიპტე. ვაშინგტონის მხარდაჭერა კი ისლამაბადს, ინდოეთთან კონკურენციისათვის, უმთავრეს იმედად რჩება.

რუსი ჟურნალისტების „დიდი გასეირნება” აჭარაში

პირველი გვერდიდან

ჟურნალისტები ერთად მოგვაგროვა ტყავის კეპიანმა პირმა. მე მგონი, აბაშიძის პრესმდივანი იყო. რუსულად ცუდად ლაპარაკობდა. მოვიდნენ პირველი, მეორე არხისა და “ნტვ”-ს გადამღები ჯგუფებიც. ნერვიულობა დავიწყეთ, იმიტომ, რომ ვიცოდით, რაც ხდებოდა თბილისში. ვიზები არავის უთხოვია. ჩანდა, რომ წინასწარ იყო ჩვენი საზღვარზე გატარება შეთანხმებული. იყო ჩვენი სიაც. პასპორტების შემოწმების შემდეგ ორი მიკროავტობუსით თვითმფრინავამდე მიგვიყვანეს. სალონის პირველი კლასიდან ხმაც კი არ გამოდიოდა და ფარდებიც მჭიდროდ იყო ჩამოფარებული. ჩვენთან ერთად რუსი დეპუტატები და ორი გენერალი რომ იყვნენ თვითმფრინავში, ფაქტია. ისინი შემთხვევით შენიშნა ერთმა ოპერატორმა.

ფრენა ენით აუწერელ ნერვოზულ გარემოში მიმდინარეობდა. თბილისამდე ბევრჯერ მიფრენია. ახლა ზუსტად ოთხი საათი ვიფრინეთ. რაღაც მომენტში მომეჩვენა, რომ ორი წრეც დავარტყით. დაბლა სიშავე იყო, ალბათ ზღვაზე მივფრინავდით. როცა ამ სიშავეში, ძალიან ახლოს, გემები გამოჩნდნენ, სალონში ისტერიკა დაიწყო - გვეგონა, ზღვაში ვვარდებოდით. სტიუარდესამაც არაფერი იცოდა. სამზარეულო განყოფილებაში იჯდა მოკუნტული. მე მგონი. მუცელი სტკიოდა. გოგოებმა რაღაც ტაბლეტები მისცეს. იგი საერთოდ არ იღიმებოდა, გაუთავებლად პირჯვარს იწერდა. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს გვერდით რაღაც სამხედრო თვითმფრინავიც მოფრინავდა. ბიჭებმა თქვეს, ორი “სუ” მოგვყვებაო. ჩამოგდება უნდოდათ ჩვენი თუ გვაცილებდნენ, მიდი და გაიგე. ჩემს თავს ვაგინებდი, რატომ დავთანხმდი ამ მივლინებას-მეთქი.

ბათუმის აეროპორტიდან ცენტრში მდებარე სასტუმროში მივედით. უკვე ღამის ოთხი საათი იყო. გვითხრეს, რომ ბირიფინგი იქნებოდა. თითქმის არ გვძინებია. დილამდე არაფერი მომხდარა. ბათუმის ქუჩებში თავისუფლად ვერ დავდიოდით. მოგვიჩინეს დაცვა, რომელიც ხელს უფრო გვიშლიდა, ვიდრე გვეხმარებოდა. ეს იყო ნამდვილი ფრონტისპირა ქალაქი საშინელების მოლოდინით - ტანკები, ავტომატიანი მოსახლეობა, ბარიკადები... ხალხი ისე იყო დაშინებული, დიქტოფონის დანახვაზე ზურგს გვაქცევდა. ქალაქი ექვს საათზე კვდებოდა. ზღვაზე გასვლა აგვიკრძალეს. ვისხედით ნომრებში და ვბრაზობდით.

კარგი მასპინძლობა იყო, მაგრამ არ გვტოვებდა მძევლობის შეგრძნება.”

რუსული პრესის დაიჯესტი

"როსიისკაია გაზეტა" (რუსეთის მთავრობის ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო), 16/03/04

"მოდით, მთავარზე ვისაუბროთ. არ არსებობს კონფლიქტი სრულიად საქართველოსა და მის შემადგენელ ნაწილს აჭარას შორის. ეს საქართველოს გუშინდელი პოლიტიკოსების დანატოვარია. როდესაც ბათუმში, ისევე როგორც თბილისში, გაიმარჯვებს საღი პოლიტიკური აზროვნება, კონფლიქტის ფესვებიც ამოიძირკვება."

"კომერსანტი", 15/03/04

"კავკასიაში მიმდინარე კონფლიქტებს ახასიათებს თავისებურებანი. ჩვენ, კავკასიელები, როგორც ცნობილია, ვტრაბახობთ მეგობრობის ნიჭით. დიახაც, ჩვენ მართლა შეგვწევს მეგობრობის უნიკალური, თვითგანწირვამდე მისული უნარი, მაგრამ დაპირისპირებაც ისეთი ვიცით, როგორც არავინ. კავკასიელთა შორის კონფლიქტების შედეგები ძალიან მტკივნეული, მძაფრი და ხანგრძლივია. ამიტომაც, საქართველოს ლიდერები ასჯერ უნდა დაფიქრდნენ გადაწყვეტილების მიღებამდე. კავკასიაში ამბობენ - კარის მეზობელი შორეულ ნათესავზე ძვირფასიაო. კავკასიაში სტაბილურობით, უპირველეს ყოვლისა, დაინტერესებული უნდა იყოს რუსეთი, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში საფრთხე თავად მას ემუქრება."

"კომერსანტი", 19/03/04

"თუკი მიხეილ სააკაშვილი შეძლებს შემოიმტკიცოს აჭარა, რაც ვერ გააკეთა მისმა წინამორბედმა, სავარაუდოა, რომ, ადრე თუ გვიან, იგი დაიმორჩილებს დანარჩენ საქართველოსაც."

"ნოვაია გაზეტა", 19/03/04

"სრულიად გასაგებია, რაში დასჭირდა აბაშიძეს ესოდენ გახმაურებული პროვოკაცია. მას, როგორც ჩანს, ეშინია, რომ ვლადიმირ პუტინი მის ზურგს უკან გაურიგდება მიხეილ სააკაშვილს, რის შედეგადაც, აჭარის თავადს წაართმევენ ბათუმის საბაჟოს, განბაჟების უკანონო შემოსავლების გარეშე კი იგი ვერ შეძლებს დააფინანსოს ბოევიკები. მაშინ აბაშიძეს ორი გზაღა რჩება - ან წავიდეს მოსკოვში და დასჯერდეს დაგროვილ სახსრებს, ან დაუჭიროს მიხეილ სააკაშვილს.

მაგრამ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ რატომღა მიიტანა გულთან ახლოს დაბერებული თავადის პრობლემები? საინტერესოა მიზეზი იმისა, თუ რატომ დაინახა ჩვენი წამყვანი პოლიტიკოსების უდიდესმა ნაწილმა ბათუმის ბურუსში არარსებული ქართული ტანკები და სპეცნაზი."

"რუსკი კურიერი", 20/04/03

"როგორც კი გახდა ცხადი, რომ აბაშიძე სააკაშვილს დანებდა, მოსკოვმა საჩქაროდ შეაქო წარმატებები. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რომელიც რამდენიმე დღით ადრე გამოვიდა ორი კრიტიკული განცხადებით საქართველოს ხელისუფლების სეპარატისტული რესპუბლიკის ხელმძღვანელობაზე ზემოქმედების მეთოდების გამო, გუშინ გამოუშვა კიდევ ერთი დოკუმენტი იმავე თემაზე, ამჟამად მიღწეულის სრული მხარდაჭერის ტექსტით.

მოსალოდნელია, რომ სააკაშვილის ბათუმში მიღწეული წარმატება იქონიებს მოსკოვისთვის სხვა საკმაოდ სერიოზულ შედეგებს. იგი მნიშვნელოვნად შეზღუდავს მოსკოვის მანევრს რუსეთის ბაზების გაყვანასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებზე, ისევე - როგორც მოსკოვის მიერ დანარჩენი ორი სეპარატისტული ავტონომიის - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მხარდაჭერას."

"იზვესტია", 18/03/04

"რუსეთს არასოდეს არ გააჩნდა და დღესაც არ გააჩნია გარკვეული პოზიცია საქართველოს მიმართ. მთელი მისი პოლიტიკა ქაოსური და ფრაგმენტულია. სწორედ ამის დასტურია აჭარაში განვითარებული მოვლენები. რუსეთი, ერთი მხრივ, აცხადებს, რომ მისთვის ყველაზე მთავარია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მეორე მხრივ კი, მოსკოვში დემონსტრაციულად მასპინძლობენ ასლან აბაშიძეს."

მშობლიურ პარლამენტში დაბრუნებას ვაპირებ

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის დირექტორი ლადო ჭიპაშვილი პარლამენტში დაბრუნებას აპირებს. მასთან საუბარი სწორედ ამ საკითხით დავიწყეთ და პენსიების გაზრდის თემით გავაგრძელეთ.

ნონა მაისურაძე

- საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, ფონდში ცვლილებებია მოსალოდნელი. როგორც შევიტყვეთ, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის დატოვებას აპირებთ.

- ეს რეალობაა. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ ნაციონალური მოძრაობის პარტიულ სიაში ვარ და 28 მარტს კენჭს ვიყრი საპარლამენტო არჩევნებში. როგორც კი გაიმართება საქართველოს პარლამენტის პირველი სხდომა და ჩემი, როგორც პარლამენტის წევრის უფლებამოსილება ცნობილი გახდება, ავტომატურად შევწყვეტ ფონდის გენერალური დირექტორის მოვალეობის შესრულებას. ეს აპრილის მეორე ნახევრისთვისაა მოსალოდნელი. მშობლიურ პარლამენტში დაბრუნებას ვაპირებ, საიდანაც უფრო მეტის გაკეთებას შევძლებ იმ სფეროსთვის, რომელსაც ვემსახურები.

- რა ღონისძიებები გაატარეთ ფონდში, რომელსაც წარმატებულად მიიჩნევთ?

- უპირველესი ის არის, რომ ჩვენ შევძელით კორუფციის მასშტაბების მინიმუმამდე დაყვანა. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ფონდის მაღალ ეშელონებში კორუფცია აღარ არსებობს. ფინანსური წესრიგი დავამყარეთ ხარჯებისა და შემოსავლების კუთხით. სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ვალდებულებები სრულდება, ყველა მიმდინარე ხარჯი ფინანსდება 100%-ით. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სამკურნალო დაწესებულებების დაფინანსება მიმდინარეობს ავტომატურ რეჟიმში. კლინიკის ხელმძღვანელებს აღარ უწევთ თხოვნა და ძალისხმევა თანხის დროულ გადარიცხვასთან დაკავშირებით. ვამზადებთ გეგმას ფონდის რესტრუქტურიზაციისა და რეორგანიზაციის მიზნით. თანამშრომელთა ოპტიმიზაციით მოხდება ფონდის გამგეობაში დარჩენილი მუშაკების ხელფასების მკვეთრი ზრდა. ჩვენ დამსახურებად ვთვლით იმასაც, რომ შევქმენით პენსიების მატების რეალური საფუძველი. მომავალი თვიდან ვიწყებთ ჯანდაცვის სფეროში არსებული მრავალმილიონიანი დავალიანების დაფარვას - ანუ სამედიცინო დაწესებულებები, რომლებიც თვეობით ვერ იღებდნენ მათ მიერ გამომუშავებულ თანხას, სულს მოითქვამენ და განვითარების საშუალება მიეცემათ.

- თქვენი ფონდიდან წასვლის შემდეგ ვის მიიჩნევთ რეალურ კანდიდატად ამ თანამდებობაზე?

- ეს საკითხი ხელისუფლების გადასაწყვეტია. თუ აზრს მკითხავენ, რამდენიმე პიროვნებას რეკომენდაციას გავუწევ, მაგრამ ამჯერად პასუხისგან თავს შევიკავებ. მთავარი ის არის, რომ მოვამზადეთ კარგი საფუძველი, რათა მომავალმა ხელმძღვანელმა ფონდზე დაკისრებული ფუნქცია სრულყოფილად შეასრულოს.

- ბატონო ლადო, რით გაახარებთ პენსიონერებს მარტის თვეში?

- ამ დღეებში პენსიების დასაფინანსებლად 6 მილიონი ლარის ოდენობის

ვახო ბესელია (ფოტო)

ლადო ჭიპაშვილი.

თანხა გადავრიცხეთ მთელი საქართველოს მასშტაბით. ეს უპრეცედენტო მოვლენაა, რადგან ფონდის პრაქტიკაში არ ყოფილა შემთხვევა 15 რიცხვში მიმდინარე თვის პენსიები დაფინანსებული ყოფილიყო. საჭიროა 3-4 დღე, რათა, საბანკო სექტორის გავლით, თანხა თითოეულ პენსიონერამდე მივიდეს. 19-20 მარტიდან პენსიონერები კუთვნილ ფულს მიიღებენ, ხოლო 25 მარტისთვის საქართველოს მასშტაბით დასრულებული იქნება მარტის თვის პენსიების დარიგება. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება ასრულებს მოსახლეობისთვის მიცემულ დაპირებას, დროულად აიღონ კუთვნილი თანხა.

- იქვე მეორე დაპირებაც იყო - პენსიის მომატება, რაც, როგორც ცნობილია, აპრილიდან არის გათვალისწინებული.

- სრული სიმართლეა. აპრილიდან ყველა პენსიონერი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აიღებს 17 ლარს, ხოლო თუ თბილისის ხელისუფლება შეინარჩუნებს 3-ლარიან დანამატს, თბილისელი პენსიონერები აიღებენ 20 ლარს. ეს რაც შეეხება აპრილის თვეს, მაისიდან კი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პენსიონერები მიიღებენ 18 ლარს, ხოლო თბილისში, შესაბამისად - 21 ლარს, ანუ მაისში მიიღებენ ერთი ლარით მეტს. მოსახლეობამ არ იფიქროს, რომ თბილისს განსაკუთრებულად ვაფინანსებთ ან ფონდი პრივილეგიებს აწესებს თბილისელებისთვის. ზოგიერთი ადგილობრივი ორგანოს გადაწყვეტილებით, მის ტერიტორიაზე მცხოვრებ პენსიონერს ადგილობრივი ბიუჯეტიდან (ადგილობრივად მობილიზებული თანხებიდან) ეძლევა გარკვეული დანამატი. სწორედ ასეთი დანამატია 3 ლარი, რომელიც თბილისის ბიუჯეტმა გამოყო პენსიონერებისთვის.

- თუმცა, პენსიის ზრდა დავალიანების დაფარვის მექანიზმით ხორციელდება.

- ჩვენ ვაცხადებთ, რომ მომავალში პენსიონერები აღარ მიიღებენ ჩვენ მიერ დადგენილ თანხაზე - 18 ლარზე ნაკლებს. როგორც კი თითოეული პენსიონერისთვის დასრულდება საპენსიო დავალიანების დაფარვა, ავტომატურად დაიწყება მომატებული პენსიის დარიგება და პენსიონერები სტაბილურად მიიღებენ გაზრდილ პენსიებს. გეტყვით იმასაც, რომ 18 ლარი არ არის საბოლოო ციფრი. ამ წლის ბოლოსთვის დაგეგმილია, პენსიის მინიმალური ზღვარი 20-21 ლარით განისაზღვროს. ასე გაგრძელდება მანამდე, ვიდრე არ შესრულდება ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო დაპირება, რომელიც ძალაშია - პენსიის გაორმაგება, მისი დიფერენციაცია სტაჟისა და დამსახურების მიხედვით.

- ანუ ის კანონები, რაც წინა ხელმძღვანელობამ მიიღო, ამოქმედდება?

- კანონები აუცილებლად ამოქმედდება, თუმცა - გარკვეული ცვლილებებით. ამ კანონებში იყო ჯანსაღი საწყისი, რაც უნდა შევინარჩუნოთ; ხარვეზებს კი აღმოვფხვრით.

- თუ ადრე პენსიის დროული დაფინანსებაც კი ჭირდა, საიდან გამოინახა სახსრები მისი გაზრდისთვის?

- აღნიშნული თანხები გამოიძებნა ქვეყანაში კონტრაბანდის მინიმუმამდე დაყვანით, საბიუჯეტო გადასახადების მობილიზებით, მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრით, რაც გამოხატული იყო ცენტრალურ ბიუჯეტში სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდის სახსრების გადადინებით.

ოთხ წელიწადში საპენსიო-სახელფასო დავალიანებები აღარ იარსებებს

ოპტიმიზმი თუ რეალობა

რამდენიმე კვირის წინათ დამტკიცებული სამთავრობო პროგრამა, რომელიც 2004-2009 წლებზეა გათვლილი და ეკონომიკის ზრდასა და გრძელვადიან სტაბილურობას გვპირდება, ოთხი წლის შემდეგ სოციალური ხარჯების ნახევარ მილიარდ დოლარამდე გაზრდასა და სოციალურ სფეროში არსებული დავალიანებებისა და ლტოლვილთა შემწეობების მთლიანად დაფარვას ითვალისწინებს. ფინანსთა მინისტრის მოადგილის ვასიკო გიგოლაშვილის განმარტებით, მთავრობის დაპირება განუხორციელებელი ოცნება სულაც არ გახლავთ და მას რეალური გათვლები უმაგრებს ზურგს.

ნანა ქადაგიძვილი

1998-99 წლებიდან დღემდე საპენსიო დავალიანების მთლიანი ოდენობა 120 მილიონია. სახელფასო დავალიანება კი 60 მილიონამდე აღწევს, აქედან პედაგოგების სახელფასო დავალიანება - 20 მილიონი. ამას ემატება ჯანდაცვითი პროგრამების 50-მილიონიანი დავალიანება და ლტოლვილთა ორი თვის დაუფინანსებელი შემწეობები - შვიდი მილიონი ლარი. აღნიშნული დავალიანებების ძირითადი ნაწილი 1999-2000 წლებზე მოდის, დარჩენილ ნაწილს კი მიმდინარე დავალიანებები შეადგენს. გამონაკლისი მხოლოდ ჯანდაცვითი პროგრამებია. სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელის მოადგილის სოსო ბრეგვაძის ცნობით, სახელმწიფო აღნიშნულ პროგრამებს მიმდინარე წელს ჯერჯერობით სისტემატურად აფინანსებს.

სამთავრობო პროგრამის მიხედვით, მიმდინარე წლის ბოლოსთვის სოციალურ სფეროში არსებული დავალიანების გარკვეული ნაწილი უნდა დაიფაროს - საპენსიო დავალიანება - 38 მილიონი ლარით, საბიუჯეტო ორგანიზაციების სახელფასო დავალიანებები - 18 მილიონი ლარით, ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების დავალიანებები - რვა მილიონი ლარით. ლტოლვილთა შემწეობების დავალიანებები კი სრულად უნდა დაფინანსდეს. როგორც ფინანსთა მინისტრი ვასიკო გიგოლაშვილი განმარტავს, დავალიანებების ამ ოდენობით გასტუმრებას 2004 წლის ბიუჯეტიც ითვალისიწინებს. **"წლევანდელი ბიუჯეტი - ორი თვის საპენსიო დავალიანების (37 მილიონი ლარი), ლტოლვილთა შემწეობის ორი თვის დავალიანებისა და ჯანდაცვის პროგრამების 8 მილიონი ლარით დაფარვას ითვალიწინებს. ბიუჯეტში საბიუჯეტო ორგანიზაციების ერთი თვის სახელფასო დავალიანება კი იანვარში უკვე დაიფარა,"** – აცხადებს გიგოლაშვილი.

ფინანსთა სამინისტროს გათვლებით, სოციალურ სფეროში არსებული მთლიანი დავალიანების ოთხ წელიწადში დაფარვა სრულიად რეალურია. სამინისტროს ვარაუდით, 2008 წლამდე სახელმწიფო ბიუჯეტის ოდენობა ნელნელა გაიზრდება, 2008 წელს კი ბიუჯეტი 3 500 მილიონამდეა ნავარაუდევი. **"3 500-მილიონიან ბიუჯეტიდან სოციალური ხარჯებისთვის მილიარდი ლარის გამოყოფა და, შესაბამისად, დავალიანებების დაფარვა უკვე შესაძლებელი იქნება. ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი ისედაც სოციალურ სფეროზეა ორიენტირებული. მაგალითად, მომავალი წლის ბიუჯეტი, სავარაუდოდ, 2 100 მილიონი უნდა იყოს და აქედან სოციალური ხარჯებისთვის 840 მილიონი ლარია ნავარაუდევი,"** – აცხადებს ფინანსთა მინისტრის მოადგილე.

დამოუკიდებელი ექსპერტი, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წარმომადგენელი, თემურ მიმინოშვილი მთავრობის აღნიშნულ პროგრამას, დღევანდელი გადასახედიდან, ცოტა ზედმეტად ოპტიმისტურად მიიჩნევს, თუმცა არ გამორიცხავს, რომ მისი განხორციელება რეალურია. **"პროგრამით გათვალისწინებული გეგმები ქვეყნის ეკონომიკის ზრდისკენ გადადგმული სწორი ნაბიჯია, ოღონდ დღევანდელი გადასახედიდან უფრო ოპტიმისტური ჩანს, ვიდრე რეალური. ეს პროგრამა ზოგადია. მას ცალკეული სამინისტროების მხრიდან უფრო კონკრეტული დოკუმენტები უნდა მოჰყვეს. ამ დოკუმენტებში სამთავრობო პროგრამით გათვალისწინებული გეგმების განსახორციელებლად საჭირო რეფორმები უნდა იყოს გათვალისწინებული. უპირველესად, გადასახადების ადმინისტრირება უნდა გაუმჯობესდეს. დღეს გადასახადებს უკვე იხდიან, მაგრამ შიშის სინდრომი ეფექტს დიდხანს არ მოგვცემს. სამთავრობო პროგრამაში გაწერილი თანხების რეალურობაზე ლაპარაკი 2004 წლის ბოლოს უკვე შესაძლებელი გახდება. ერთ წელიწადში უნდა გამოჩნდეს, რამდენად სწორ ნაბიჯებს გადადგამს ხელისუფლება,"** – აცხადებს მიმინოშვილი.

აღმასრულებელმა უწყებებმა პირველი ნაბიჯი უკვე გადადგეს - ფინანსთა სამინისტრო მუშაობს საბაჟო და საგადასახადო კოდექსებზე, რომლებშიც მთავარი აქცენტი სწორედ გადასახადების ადმინისტრირების გაუმჯობესებაზე კეთდება.

ფრანგული ენა საქართველოში

საქართველოში დამთავრდა ფრანგული ენისა და კულტურის კვირეული. ამ კვირეულის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დავრწმუნდებით, თუ როგორ ცდილობს საფრანგეთის საელჩო საქართველოში ფრანგული ენისა და კულტურის პოპულარიზაციას.
განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა ფრანგული ენის მხარდაჭერას საქართველოს სკოლებში.

თამარ ჯაჯანიძე

განათლების სამინისტროს მონაცემებით, 2003-2004 სასწავლო წლისათვის ფრანგულს სწავლობს 343 ზოგად საგანმანათლებლო სკოლის 51 352 მოსწავლე. აქედან 145 სკოლა ქალაქში, 198 – სოფლად. გაძლიერებულად ფრანგულ ენას სწავლობენ 30 სკოლაში. ამას გარდა, ფრანგულს ასწავლიან თბილისის კერძო სკოლებში და საქართველოს სხვა რაიონებში. საქართველოში არსებობს ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი, რომელიც მოიცავს ბიბლიოთეკას, მედიათეკას – საინფორმაციო ცენტრს თანამედროვე საფრანგეთის შესახებ. საფრანგეთის საელჩო და დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი რეგულარულად ატარებენ კონკურსებს ფრანგულენოვან სკოლებს შორის.

საფრანგეთის საელჩოს ატაშემ ფრანგული ენის თანამშრომლობის დარგში ქალბატონმა ვირჯინი კონსტანმა, რომელიც პედაგოგიური დირექტორაა დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრში, განაცხადა: **"საფრანგეთის საელჩო საქართველოში სამი მიმართულებით მუშაობს: პირველი მიმართულებაა საქართველოს განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობა ფრანგული ენის პროგრამების განახლებასთან დაკავშირებით. ამ რეფორმის ჯგუფის წევრები, უკვე სამი წელია, რეგულარულად მიემგზავრებიან საფრანგეთში და, ფრანგ ექსპერტებთან თანამშრომლობით, ცვლიან და ათანამედროვებენ ფრანგული ენის პროგრამებს. მეორე მიმართულება არის ფრანგული ენის სახელმძღვანელოებზე მუშაობა. რამდენიმე წელია, ავტორთა ჯგუფი ამზადებს ფრანგული ენის სახელმძღვანელოს მე-5-დან მე-11 კლასის ჩათვლით ანუ მოიცავს სწავლების მთელ კურსს. სახელმძღვანელოს სახელწოდებაა Bien joue. ფრანგული ენის ყველა მასწავლებელს უფასოდ ურიგდება ეს სახელმძღვანელო მას შემდეგ, რაც გაივლიან საელჩოს მიერ ორგანიზებულ სემინარებს თბილისსა და რეგიონებში. მესამე მიმართულებით ახლა ვიწყებთ მუშაობას. ეს არის მასწავლებელთა მომზადება-გადამზადების პროგრამა. ამორჩეული გვყავს ის ექსპერტები, რომლებიც მოამზადებენ პედაგოგებს. მასწავლებლები სამი წლის განმავლობაში გაივლიან მომზადებას და პერიოდულად გაემგზავრებიან სტაჟირებებზე."**

საფრანგეთის საელჩოს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებს შორის ფრანკოფონიის კვირეული ყოველთვის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. კიდევ ერთი კვირეულია დაგეგმილი ივლისის თვეში, რომელიც საფრანგეთის ეროვნულ დღესასწაულს - ბასტილიის აღების დღეს მიეძღვნება.

გამოხმაურება

პირადი ამბიცია თუ ქართველი ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვა

პასუხი სტატიაზე "საქართველო - ტოქსინების ნაგავსაყრელი"

"ველედას" პრეპარატ "ჰაილზალბეს" წინააღმდეგ აგორებული კამპანია, რომელიც ორი წლის წინ დაიწყო, შორს მიმავალ მიზანს ემსახურება, კერძოდ - ამ ფირმის დისკრედიტაციას და მისთვის საქართველოს ბაზრის დახშობას, რასაც, ერთი მხრივ, კიდევ რამდენიმე უცხოელი ინვესტორის იმედგაცრუება და საქართველოსთვის ზურგის შექცევა მოჰყვება, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს მოსახლეობას ეკოლოგიურად სუფთა, მაღალი ხარისხის ბუნებრივი ველედა-წამლები და კოსმეტიკა მოაკლდება.

არადა ბავშვის და ორსული ქალის მოსავლელი ველედა-პროდუქტები, სწორედ უსაფრთხოების, ეფექტურობის და კარგი ამტანობის გამო, გერმანიაში ნომერ პირველ მედიკამენტებადაა აღიარებული მეანების 70 პროცენტის მიერ..

ფარმაცევტული ფირმა „ველედა“ 1921 წ. დაარსდა შვეიცარიაში და დღემდე წამყვანი პოზიცია უკავია ბუნებრივი სუბსტანციებიდან წამლებისა და სხეულის მოსავლელი საშუალებების დამამზადებლებს შორის. მისი პროდუქცია ხარისხის საზომს წარმოადგენს ევროპაში. ის ევროკავშირის სახელმძღვანელო GMP სტანდარტებს შეესაბამება. 2000 წელს სერთიფიცირებულია ISO 14001-ით, რაც გარემოს მიმართ მეგობრულად განწყობილ საწარმოს ნიშნავს, ხოლო 2003 წელს დასახელებულია გერმანიის საუკეთესო საწარმოების რიცხვში, რომლებიც შემოწმდნენ TOP JOB კვლევის ფარგლებში.

ველედას საწარმოები და წარმომადგენლობები მსოფლიოს 40-მდე ქვეყანაში ფუნქციონირებს. მათ შორის - გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, ესპანეთში, იტალიაში, ავსტრიაში, ჰოლანდიაში, შვეიცარიაში, ფინეთში, ისრაელში, აშშ-ში, კანადაში, ბრაზილიაში, არგენტინაში...

რაც შეეხება პრეპარატ „ჰაილზალბეს“ (გერმანულად - განმკურნებელი მალამო), ის წარმატებით გამოიყენება ევროპის 14 ქვეყანაში სწორედ იმ ანოტაციით, რომელიც დავის საგანი გახდა საქართველოში.

გაკვირვებას იწვევს არა ოპონენტის, ქალბატონ თინათინ თოფურიას, არამედ მასმედიის მიერ გადაუმოწმებელი ინფორმაციის გამოქვეყნება და აშკარა ცალმხრივობა. ის ფაქტი, რომ თინათინ თოფურია არ შეიძლება იყოს საქართველოს ჰომეოპათიის აკადემიის (შპს თინა-ჰომეოპათიის აკადემია) რექტორი და არც ევროპარლამენტის ჰომეოპათიური კომიტეტის (ევროპელ ჰომეოპათთა ასოციაცია) ექსპერტი, რადგან ბუნებაში ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს, თავად მეტყველებს ჩვენი ოპონენტის ამბიციურობაზე.

პრეპარატის სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი საბუთებიდან ერთ-ერთში (პრეპარატ „ჰაილზალბეს“ ფარმაკოლოგიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, დამოუკიდებელი ექსპერტი ი. იანცი) აღნიშნულია, რომ **პრეპარატი 50 წელზე მეტი ხანია, რაც გამოიყენება და უცვლელი სახით 1978 წლიდან არსებობს ევროპის ბაზარზე. ის გერმანიის ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამის უწყებაში რეგისტრირებულია, როგორც ურეცეპტოდ გასაცემი წამალი და ჩვენებაში მითითებულია, რომ ეს არის ზედაპირული ჭრილობების სამკურნალო საშუალება, მათ შორის - მეძუძური დედების ძუძუს კერტებზე ნახეთქების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის. მისი დოზირებაა დღეში 1-2-ჯერ, ადგილობრივად, თხელ ფენად. და რომ ეს დანიშნულება წარმოადგენს პრეპარატის ხანგრძლივი გამოცდილების შედეგს.** აქვე მითითებულია, რომ 90-იან წლებში, გერმანიაში ჩატარებული გამოკვლევის საფუძველზე (C კომისიის ფარგლებში) დადგინდა, **რომ 1989-1999 წწ. რეალიზებულ ნახევარ მილიონზე მეტ ცალ „ჰაილზალბეზე“ არც ერთი გამოხმაურება არ დაფიქსირებულა მისი არასასურველი მოქმედების შესახებ. ამასთანავე რაიმე განსაკუთრებულ რისკს არ უკავშირდება მისი გარეგანად გამოყენება ორსულობისა და მეძუძურობის პერიოდებში. ანუ ამ პრეპარატის ტოქსიკოლოგიურ ექსპერტიზებში ხაზგასმით აღნიშნულია მასში შემავალი სტიბიუმის უსაფრთხოება.**

სტიბიუმის მეტალური პრეპარატი პრაქტიკულად უხსნადია წყალსა და მარილჟავაში და, აქედან გამომდინარე, არ შეიძლება განიცდიდეს შეწოვას და, მით უმეტეს, კუმულაციას.

გარდა ამისა, კიდევ ერთი დამოუკიდებელი გერმანელი ექსპერტის მიერ დაწერილ სტიბიუმის შემცველი ჰომეოპათიური პრეპარატების ტოქსიკოლოგიურ შეფასებაში (ელიზაბედ ბოსჰარდი, 1990 წ.) მითითებულია, რომ **"სტიბიუმის მეტალის დოზა-ეფექტი (Effect Level) პერორალური მიღებისას არის 1 მგ/კგ, ხოლო გარეგანი გამოყენებისას – 10 მგ/კგ. "**

ბერნის უნივერსიტეტის დოცენტის, დოქტორ ჰოიზერის დასკვნიდან კი ირკვევა, რომ "ჩვეულებრივ, საკვებიდან ჩვენს ორგანიზმში 3 - 29 მკგ/დღ სტიბიუმი ხვდება. აქედან 5-15 პროცენტი შეიწოვება, ხოლო 80 პროცენტზე მეტი უცვლელად გამოიყოფა. სისხლში სტიბიუმის ნორმალური კონცენტრაციაა 3 მკგ/ლ; რაც შეეხება დედის ნორმალურ რძეს, ავსტრიაში დაფიქსირებულია 0,4 – 1,6 მკგ/კგ სტიბიუმი,

შვედეთში – 3 მკგ/ლ და იტალიაში - 0,05 – 12,9 მკგ/კგ.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სტანდარტით, დედის რძეში დაშვებულია 1-4 მკგ/ლ სტიბიუმის შემცველობა.

თუ ჩვილი წოვს დღიურად 500-1000 მლ რძეს (ასაკის შესაბამისად), მაშინ ეს მონაცემი საშუალოდ ტოლი იქნება 0,5-4 მკგ სტიბიუმისა დღეში. ხოლო ზოგ ქვეყანაში (იტალია) შეიძლება 12,9 მკგ-საც აღწევდეს. ამას ემატება ბუნებრივად გარემოში არსებული სტიბიუმი, რაც საშუალოდ შეადგენს 13 მკგ/ გრ. იმ შემთხვევაში, თუ ჩვილის ორგანიზმში 100 მგ მტვერი მოხვდება დღეში, ის მიიღებს 1,3 მკგ სტიბიუმს. ამგვარად, ჩვეულებრივ გარემოში, ჩვილი ყოველდღიურად 1,8 – 5,3 მკგ სტიბიუმს ღებულობს, რაც ზოგ შემთხვევაში შეიძლება 100-ჯერ მეტიც იყოს.

ამრიგად სტიბიუმის ის მაქსიმალური დღიური დოზა - 1-14 მკგ, რომელიც, შესაძლოა, მალამოდან მოხვდეს ჩვილის ორგანიზმში, ნორმის ფარგლებშია. ტოქსიკოლოგიური შეფასებით კი ეს რაოდენობა 70 - 1000-ჯერ ნაკლებია დოზა-ეფექტზე."

სადავო საკითხი დადგენილი დოზით სტიბიუმის ტოქსიკურობა არ გეგონოთ. ყველა წამალი რაღაც დოზით ტოქსიკურია! სადავო შეიძლება იყოს მიდი დოზირებისა და გამოყენების საკითხი. აქვე გასათვალისწინებელია მკურნალობის ხანგრძლივობა, რაც 1-დან 7 დღემდე გრძელდება.

ეს პრეპარატი საქართველოში 1997 წლიდანაა რეგისტრირებული, ხოლო 2002 წლის ივნისში, თინათინ თოფურიას მიერ ატეხილი განგაშის შემდეგ, გენპროკურორის დავალებით, შესაბამისმა განყოფილებამ, აგრეთვე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის დავალებით, ამავე სამინისტროს წამლისა და ფარმსაქმიანობის დეპარტამენტის საბჭომ, და ბოლოს, ბიო-ეთიკურმა კომისიებმა პრეპარატი დამატებით შეისწავლეს და განიხილეს. შედეგად შსს-მ ფირმა "ველედა" დაზარალებულად მიიჩნია; საბჭომ, სამედიცინო თვალსაზრისით, არაარგუმენტირებულად და არაეთიკურად ჩათვალა საქართველოს მთავარ ჰომეოპათ თინათინ თოფურიას შეფასებები პრეპარატ "ჰაილზალბეს" მიმართ, ხოლო ბიო-ეთიკურმა კომისიამ მალამო "ჰაილზალბე", დამტკიცებული ჩვენებით, დატოვა მიმოქცევაში.

ქართველი ექიმები და მათი გერმანელი კოლეგები აღშფოთებას, განცვიფრებას და გულისტკივილს ვერ მალავენ "ჰაილზალბეს" წინააღმდეგ წამოწყებულ ყოვლად უსაფუძვლო კამპანიასთან დაკავშირებით. გაგაცნობთ მათ რამდენიმე მოსაზრებას:

"არაკომპეტენტურად, უმეცრად და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ხორციელდება დევნა იმ მედიკამენტისა, რომელიც შესაძლებელია ერთ-ერთი საუკეთესოც კი იყოს დღეს საქართველოში წარმოდგენილ ფარმაკოლოგიურ საშუალებათა სპექტრში.

ინტერესს იწვევს ის, თუ რაში სჭირდება სკანდალური ინფორმაციების დამკვეთს პატრიოტისა და "ხალხის ინტერესებისთვის" მებრძოლის როლში თავის წარმოჩენა? იქნებ იმისთვის, რომ ახალ ხელისუფლებას თავი ამგვარად გააცნოს? ანდა იქნებ იმიტომ, რომ დაჩრდილოს მისი რეალური საქმიანობის სფერო და ინტერესები? " (ექიმი-პედიატრი თამარ ვაშაკიძე, "თერაპიის სახლი", თბილისი).

"ჰაილზალბესთან დაკავშირებით გამოქვეყნებული სტატიის შესახებ მოწოდებულმა ინფორმაციამ ჩემი დიდი აღშფოთება გამოიწვია. წარმოუდგენელია, თუ რაოდენ დესტრუქციულ და, ამავე დროს, აბსურდულ ქმედებამდე შეიძლება მივიდეს ადამიანი, თუ ის მოწინააღმდეგედ მოგიაზრებს. მასთან ხომ შეუძლებელი ხდება ნაყოფიერი საუბარი თუ დისკუსია!" (მედიცინის დოქტორი ქრისტოფ ტაუცი, ჰერდეკეს საზოგადოებრივი ბავშვთა კლინიკის მთავარი ექიმი).

"თითქმის თავზარი დამცა გაზეთ ქრონიკაში ჟურნალისტ ქირიას მიერ გამოქვეყნებულმა სტატიამ ფირმა ველედას წამლის შესახებ.

სტატიაში მოყვანილი საყვედურები უფრო აბსურდულია და არსობრივად უხეშად მცდარი. ჩემზე, როგორც ექიმზე, რომელიც სამოქალაქო ომის შემდეგ რეგულარულად ჩამოდის საქართველოში ექიმთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, აღნიშნულმა პოლემიკამ და ფაქტების უხეშმა გაყალბებამ ძალზე იმოქმედა. ამგვარი არაობიექტური, პოლემიკური და შინაარსობრივად მცდარი სტატია არც გაზეთისათვის და არც თქვენთვის არ არის სასარგებლო და, შესაბამისად, ობიექტურად უნდა იქნას შეფასებული". (ბერნარდ ულრიხი, მთავარი პედიატრი; ანესთეზიოლოგი; გერმანიის წითელი ჯვრის კლინიკა, ზაარბრიუკენი).

"ფილდერკლინიკის გახსნის დღიდან (1975 წლის შემოდგომა), ჩვენს სამშობიაროში 27 000-ზე მეტი ბავშვი დაიბადა, რომელთა ჭიპის მოსაშუშებლად სტანდარტულად ველედას ვეცეზინის ფხვნილი გამოიყენება. ფილდერკლინიკაში, იუნისეფის პროგრამის შესაბამისად, ბავშვის ბუნებრივ კვებას ეწევა რეკომენდაცია, ამიტომ მასტიტების შემთხვევაში ბუნებრივი კვება არ წყდება და, ლოკალურად ხაჭოს საფენების გვერდით, "ველედას ჰაილზალბე" გამოიყენება. გამოცდილებამ უჩვენა მისი ეფექტურობა და უსაფრთხოება. აღნიშნულ პერიოდში მათი არანაირი ტოქსიკური გვერდითი ზემოქმედება არც დედაზე და არც ჩვილზე არ გამოვლენილა, მსგავსი იმისა, რაც საქართველოს პრესაში დაიწერა." (მედიცინის დოქტორი მიხაელ ლამერდინი, ფილდერკლინიკის საზოგადოებრივი საავადმყოფოს გინეკოლოგიური განყოფილების მთავარი ექიმი).

როგორც თქვენ თვითონ დარწმუნდით, სახეზეა თინათინ თოფურიას უსაფუძვლო ეჭვი და ის მასმედიით ეწევა საზოგადოებისთვის, მართლაც, საშიშ ფსიქოლოგიურ ტერორს. ამის მაგალითად გამოდგება თუნდაც ის ფაქტი, რომ "ჰაილზალბეზე" ერთ-ერთი საგაზეთო სტატიის გამოქვეყნების შემდეგ ორსულ ქალს, რომელიც "ველედას" სულ სხვა მედიკამენტს იყენებდა, გინეკოლოგმა ნაყოფის მოცილება ურჩია. ეს ქალბატონი სრულიად შემთხვევით გადაურჩა საკუთარი შვილის მიმართ სასიკვდილო განაჩენის აღსრულებას.

რა ვუყოთ იმ მშობლებს, რომლებსაც ამ კამპანიის შედეგად მრავალწლიანი უსაფუძვლო სადარდებელი გაუჩნდათ? ნუთუ მიზანი ამართლებს ყველა საშუალებას?

ანი ბაზირაშვილი
შპს ნატურაფარმის დირექტორი

მაღალჩინოსნებს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდეს

ორი მაღალჩინოსანი – ფინანსთა სამინისტროს აქციზური მარკების სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი ბერიშვილი და საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ლევან კალანდაძე გუშინ მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოდან გაძლიერებული ბადრაგით მეხუთე საპყრობილეში გადაიყვანეს. სამი დღის წინ დაკავებულ გიორგი ბერიშვილს და ლევან კალანდაძეს მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ გუშინ რამდენიმესაათიანი განხილვის შემდეგ წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

ლევან კალანდაძეს და გიორგი ბერიშვილს თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდება წარუდგინეს.

ხათუნა ჭანგირაშვილი

სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენება - ეს ის ბრალდებებია, რომლებიც ორივე მაღალჩინოსანს წარუდგინეს. მათ მიმართ გენერალურ პროკურატურაში აღძრული სისხლის სამართლის საქმე აქციზურ მარკებს უკავშირდება. გამოძიების მონაცემებით, გაცემულია უკანონო აქციზური მარკები. საქმე 900 ათასი ლარს ეხება.

პროკურატურის მტკიცებით, 2002 წლიდან 2003 წლამდე საბაჟო და საგადასახადო სამსახურების თანამდებობის პირების ხელშეწყობით, უკანონო და უსაქონლო ოპერაციებით, აქტივების სახით, შპს "იმედის" ანგარიშზე 900 ათასი ლარი დაირიცხა და შემდეგ ეს აქტივები ადგილობრივი წარმოების სიგარეტის აქციზის მისაღებად გამოიყენეს. ამ საქმესთან დაკავშირებით, სამართალდამცველებმა უკვე ძებნილად გამოაცხადეს საგადასახადო დეპარტამენტის ყოფილი უფროსი იასე ზაუტაშვილი, რომელიც გამოძიებას თავს არიდებს. მისი ადგილ-სამყოფელი ჯერჯერობით უცნობია. როგორც სამართალდამცველები ამბობენ, იასე ზაუტაშვილის ბინის ჩხრეკისას ორი ცეცხლსასროლი იარაღი იპოვეს. აქციზური მარკების საქმესთან დაკავშირებით, ძებნილად გამოცხადდა შპს "იმედის" დირექტორი ზაურ კეჟერაშვილი. შეგახსენებთ, რომ ამავე საქმეზე ეჭვმიტანილის სტატუსით გენერალურმა პროკურატურამ უკვე დაკითხა საბაჟოს ახლანდელი უფროსი ლევან ქისტაური, რომელიც 2002-2003 წლებში აქციზური მარკების სამსახურის უფროსი იყო. ლევან ქისტაური დაკითხვიდან მეორე დღეს სამსახურში გამოცხადდა. გენერალურ პროკურატურაში აცხადებენ, რომ საბაჟოს უფროსის დაპატიმრების საკითხი დღის წესრიგში არ დგას, ვინაიდან გამოძიება დარწმუნებულია, რომ საბაჟო დეპარტამენტის უფროსი მათ საქმის გამოძიებაში დაეხმარება.

"ეს გახლავთ უსაფუძვლო და უსამართლო გადაწყვეტილება", - ასეთი შეფასება მისცა გუშინ სასამართლო დარბაზში, მისთვის შეფარდებულ წინასწარ სამთვიან პატიმრობას აქციზური მარკების სამსახურის უფროსის მოადგილემ გიორგი ბერუზაშვილმა.

ბერუზაშვილის ადვოკატის, შალვა შავგულიძის თქმით: "გადაწყვეტილება მართლაც უსაფუძვლოა, რადგან სასამართლოს არ გააჩნდა იმის მტკიცების საფუძველი, რომ ბერუზაშვილი გამოძიებას დაემალებოდა. დღეისათვის სამართალწარმოება იწყება პირდაპირ დაკავებიდან, რაც კანონის უხეში დარღვევაა. ბრალდების არსებობის შემთხვევაში, ჯერ პირისგან უნდა მიიღო ახსნა-განმარტება, შემდგომ მოწმის სტატუსით დაკითხო და თუ ბრალდების მხარე მის უდანაშაულობაში ვერ დარწმუნდება, მაშინ შესაძლებელია პირის დაკავება. ბერუზაშვილი სამსახურში იმყოფებოდა და იგი ყოველგვარი უწყების გარეშე დააკავეს. ყოველივე ამის შემდგომ, როცა გამოძიებას ამ პიროვნებასთან თავისუფლების პერიოდში შეხება არც კი ჰქონდა, როგორ შეიძლება ვარაუდი გამოითქვას, რომ იგი გამოძიებას დაემალება," – ასეთი გახლავთ ბერუზაშვილის ინტერესების დამცველის პოზიცია.

ასეთივე პოზიცია აქვს ბერუზაშვილთან ერთად დაკავებულ საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილ მოადგილეს ლევან კალანდაძეს. ის თავს დამნაშავედ არ ცნობს.

ორივე მაღალჩინოსანი წინასწარი სამთვიანი პატიმრობის გასაჩივრებას საოლქო სასამართლოში აპირებს.

ქუთაისის საკრებულოში მომხდარი ინციდენტი

სამი პოზიცია

პირველი გვერდიდან

საქმე აღიძრა მხოლოდ ფაქტზე, რადგან, როგორც ცნობილია, ინციდენტის მომწყობები დეპუტატები არიან და მათ იმუნიტეტი იცავს. საქმეს საოლქო პროკურატურა იძიებს.

- ბატონო გელა, თუ მოგეპოვებათ ინფორმაცია დავით ბენიძის ადგილსამყოფელის შესახებ?

- ინფორმაცია მოგვეპოვება და ამჟამად იმ ორი საცხოვრებელი სახლის კონტროლი მიმდინარეობს, სადაც, ჩვენი მონაცემებით, ბენიძე უნდა იმყოფებოდეს. იმედი გვაქვს, რომ მისი დაკავება უახლოეს მომავალში მოხდება.

პარასკევს, საღამოს, ქუთაისის საკრებულოში მომხდარ ინციდენტს "ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერი დავით საგანელიძე პოლიტიკურ შოუს უწოდებს.

- ბატონო დავით, ქუთაისის პროკურატურამ საკრებულოში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით საქმე აღძრა - პოლიციისა და საგამოძიებო მუშაობისთვის წინააღმდეგობის გაწევის ფაქტზე, საუბარია, დავით გამყრელიძისა და თქვენს მიერ კარის შემტვრევაზე.

- ეს ყველაფერი დადგმული სპექტაკლია. დავით ბენიძის მისაღებში 40 წუთის მანძილზე ვიმყოფებოდით. საგამოძიებო მუშაობას ატარებდნენ და შენობის გარეთ და შენობაშიც, გარდა სამუშაო კაბინეტისა, ერთი სამართალდამცველიც კი არ იმყოფებოდა. მთელი 40 წუთის მანძილზე ვცდილობდით, მიგვეღო ინფორმაცია, რა ხდებოდა. დავუკავშირდით სამხარეო პროკურორს, რომელმაც არაფერი იცოდა; შემდეგ - ქუთაისის პროკურატურის წარმომადგენლებს, დავრეკეთ პოლიციაშიც, მაგრამ ვერაფერი გავარკვიეთ. კაბინეტიდან გვესმოდა ხმები, თუ როგორ ეხვეწებოდა მათ ბენიძე, ნარკოტიკს ნუ ჩამიდებთ და რაც გინდათ, ის დამაბრალეთო. ბოლოს ოთახში საშინელი ხმაური და წივილ-კივილი ატყდა, კარს მივაწექით და გაიღო, ეს ნაჩვენებ სიუჟეტებშიც ჩანდა.

- ოთახში თქვენი შესვლის შემდეგ ბენიძემ შენობიდან გასვლა მოახერხა, გაქცევის ხელშეწყობასაც თქვენ გაბრალებენ.

- ძალიან სასაცილოა! კაბინეტში რომ შევედით, ბენიძე ფანჯარაზე იდგა და თვითმკვლელობის მიზნით გადახტომას აპირებდა, ჩვენს დანახვაზე პოლიციელებმა ატეხეს მთელი ამბავი, შემოგვესიენ ჩვენ, გვეჭიდავებოდნენ და გვიყვიროდნენ, გაეთრიეთ აქედანო. როცა ჩვენთან ჭიდაობას მორჩნენ, მოგვიანებით, ბენიძე გაახსენდათ და აღმოჩნდა, რომ იქ აღარ იყო. ოთახი სავსე იყო პოლიციელებით და მე და დავით გამყრელიძემ გავაპარეთ ბენიძე? ორი კაცი შევიჭერით ოთახში, 15 პოლიციელი ვცემეთ და ბენიძე გავაქციეთ - მაგარი სიუჟეტია, არა? ეს ყველაფერი თუ მართლაც მოხდა, ის პოლიციელები, რომლებიც ოთახში იყვნენ, სამსახურიდან უნდა დაითხოვონ. საერთოდ კი, ჯობია ამ სამარცხვინო პოლიტიკურ შოუებს თავი დაანებონ.

- ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე, რომელიც თქვენი პარტიის წევრია და რომლის გამოც აჟიოტაჟი ატყდა, თანხების მითვისებაშია ბრალდებული.

- თუ დავით ბენიძე მართლაც რამეშია დამნაშავე, წყნარად შეისწავლონ საქმე. მაგრამ საქმე ისაა, რომ რაც მოხდა, ეს იყო პოლიტიკური აქტი, რომელიც ჩვენს პარტიაზე პოლიტიკური ზეწოლის მიზნით განხორციელდა. მისი სახლისა და კაბინეტის ჩხრეკა ქუთაისში ჩვენს საარჩევნო კამპანიას დაამთხვიეს. საერთოდ, ბენიძეს, კარგა ხანია, ხელისუფლება ებრძვის, მისი ადგილი უნდათ და იმიტომ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი არჩევითია, მას ვერ მოხსნიდნენ და ამიტომაც შეუკერეს საქმე. იმ ჩხრეკას, რომელიც კანონის დარღვევით ჩატარდა, პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა.

- თუ დაეკონტაქტეთ ბენიძეს გაქცევის შემდეგ?

- არა, და ნამდვილად არ ვიცი, სად იმყოფება ის. თუმცა, მინდა, მოვუწოდო, რომ დაბრუნდეს, აიყვანოს ადვოკატი, შევიდეს თავის კაბინეტში და გააგრძელოს მუშაობა, მას დასამალი არაფერი აქვს.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენელი თინათინ ხიდაშელი მიიჩნევს, რომ მომხდარ ინციდენტს აუცილებლად უნდა მიეცეს სამართლებრივი შეფასება.

- როგორ შეფასებას მისცემდით ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის ოთახში მომხდარ ფაქტს?

- სამართლებრივი კუთხით ცოტა გამიჭირდება იმის შეფასება, თუ რამდენად სამართლიანად ჩატარდა საკრებულოს თავმჯდომარის ოთახში ჩხრეკა, რადგან არ ვიცი, ჰქონდათ თუ არა სამართალდამცველებს ჩხრეკის თაობაზე მოსამართლის ბრძანება, სხვა სამართლებრივი დეტალების შესახებაც არ გამაჩნია ინფორმაცია. შემიძლია შევაფასო მხოლოდ ის, რაც ტელეეკრანზე ვნახე.

- საკრებულოში მომხდარ ინციდენტზე საქმე აღიძრა. საუბარია კაბინეტში "ახალი მემარჯვენეების" ლიდერთა შეჭრაზე, რამაც, პროკურატურის მტკიცებით, საგამოძიებო საქმიანობის ჩაშლა გამოიწვია.

- ცალსახად შემიძლია თქმა, რომ ის, რაც ქუთაისის საკრებულოს შენობაში მოხდა, არის დეპუტატის მხრიდან აშკარა გადამეტება და ეს ფაქტი გამოძიებისთვის ხელის შეშლად კვალიფიცირდება. კაბინეტში შეჭრამ გამოიწვია სკანდალი, რომელიც საკრებულოს თავმჯდომარის გაქცევის საბაბი გახდა.

- თუ ჰქონდათ დეპუტატებს საგამოძიებო მოქმედებაზე დასწრების უფლება? თავად აცხადებენ, რომ მათ, როგორც დეპუტატებს, ეს პრივილეგია გააჩნიათ.

- არავითარ შემთხვევაში, დეპუტატობა მათ პრივილეგირებულ მდგომარეობაში არ აყენებს. ერთადერთი შემთხვევა, როცა მათ ჩხრეკაზე დასწრება შეეძლოთ, ესაა დამსწრის სტატუსი. იმ მომენტში, როცა ჩხრეკა იწყებოდა, თუ ისინი იქ იქნებოდნენ, შეეძლოთ ამ პროცედურას დასწრებოდნენ, მაგრამ მათ არავითარ შემთხვევაში არ ჰქონდათ უფლება, ჩაეშალათ ეს მოქმედება. მით უმეტეს, რომ მათ ქმედებას შედეგად ბენიძის გაქცევა მოჰყვა. ამიტომაც, ამ ფაქტს სამართლებრივი შეფასება აუცილებლად უნდა მიეცეს.

- როგორ ფიქრობთ, ბენიძის გაქცევის გამო პოლიციელთა პასუხისმგებლობის საკითხი არ უნდა დადგეს?

- რა თქმა უნდა. ვერანაირი სკანდალი მათ უმოქმედობას ვერ ამართლებს. ეს, უბრალოდ, არაპროფესიონალიზმის ბრალია. ვერ გეტყვით, სამართალდამცველებს ბენიძე უნდა დაეკავებინათ თუ არა, მაგრამ, თუ მათ სანქცია ჰქონდათ და ის სამართალდამცველთა გულგრილობის შედეგად გაიქცა, რასაკვირველია, პასუხისმგებლობა საგამოძიებო პროცედურის ჩამტარებლებსაც ეკისრებათ.

მკალავიშვილი და მისი მხარდამჭერები იზოლატორში რჩებიან

გუშინ, დილიდან ხალხმრავლობა იყო ორთაჭალის მეხუთე საპყრობილესთან. ორთაჭალის ციხეში საოლქო სასამართლოს კოლეგია დახურულ სასამართლო პროცესს ატარებდა და რამდენიმე დღის წინ დაკავებული ბასილ მკალავიშვილისა და მისი შვიდი მხარდამჭერის, სპეცოპერაციის შემდეგ მკალავიშვილთან ერთად იზოლატორში მოხვედრილებისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდება-არშეფარდების საკითხს განიხილავდა.

ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ მათ დაკავების დღესვე შეუფარდა სამთვიანი წინასწარი პატიმრობა, თუმცა რაიონული სასამართლოს ეს გადაწყვეტილება დაკავებულთა ადვოკატებმა საოლქო სასამართლოში გაასაჩივრეს და მისი გაუქმება მოითხოვეს. სწორედ ამიტომ სტუმრობდნენ საოლქო სასამართლოს მოსამართლეები გუშინ მეხუთე საპყრობილეს. საპყრობილეში, დაკავების საკნებში სასამართლო პროცესის გამართვის მიზეზად უსაფრთხოება დასახელდა, რასაც დაკავებულთა მხარდამჭერები საპყრობილის კედლებს გარეთ აპროტესტებდნენ. დაკავებულების ინტერესების დამცველებმა ჯერ კიდევ გუშინწინ ჩაატარეს ღია ცის ქვეშ პრესკონფერენცია და მოსალოდნელი სასამართლო პროცესის ჩატარების ფორმა გააპროტესტეს.

მკალავიშვილის მხარდამჭერებს, რომლებსაც აქამდე თითქმის ყველა ინსტანციის სასამართლოსთან საპროტესტო აქციის გამართვის კარგი გამოცდილება ჰქონდათ, გუშინ ციხესთან მოუწიათ მკალავიშვილის დაცვა.

საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ადვოკატების საჩივარი მკალავიშვილისა და მისი მხარდამჭერებისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის გაუქმების შესახებ და ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ბასილ მკალავიშვილი და მასთან ერთად დაკავებულები მართლმსაჯულებამ პატიმრობაში, მეხუთე საპყრობილეში დატოვა. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

გუშინდელ აქციაზე შეკრებილები იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის". არასამთავრობოების განცხადებით, "სასამართლო პროცესის იზოლატორში ჩატარება არის საჯაროობის პრინციპისა და ადამიანთა უფლებების დარღვევა".

24 საათი

შესაბამისობის ჯგუფის ადმინისტრატორი

ბრითიშ პეტროლეუმის მილსადენების პროექტებისთვის, "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ზედამხედველობით, IRA Ltd ეძებს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირს, შესაბამისობის ჯგუფის ადმინისტრატორის თანამდებობის დასაკავებლად. იგი იქნება მესამე მხარის კონტრაქტორი "ბი-პი"-ს მილსადენის პროექტისთვის საქართველოში, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ზედამხედველობით.

სამუშაოს აღწერა:

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საოპერაციო შესაბამისობის ჯგუფის ადმინისტრატორი ანგარიშვალდებულია გარემოს დაცვის დარგში უფროსი კონსულტანტის მიმართ. მისი როლი შეიცვლება, პროექტის წინსვლასთან ერთად და შესაბამის პირს შეექმნება კარიერის განვითარების შესაძლებლობები. როლი შეიძლება შეიცვალოს წინასაექსპლუატაციო ეტაპიდან საექსპლუატაციო ეტაპზე გადასვლის დროს.

შესაბამისობის ჯგუფის ადმინისტრატორი პასუხისმგებელი იქნება:

- ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის (HSE) შესახებ ყველა ჩანაწერების წარმოებაზე, მათ შოის ანგარიშებზე, ანგარიშებზე ინციდენტების შესახებ, უსაფრთხოების სფეროში ტრენინგების პროგრამებზე (STOP) და გაძლიერებული უსაფრთხოების შემოწმებაზე (ASA), აგრეთვე ინციდენტების სტატისტიკაზე, HSE-ს მონიტორინგის მონაცემებზე და ა. შ.
- მონაცემთა ბაზის შექმნასა და შენარჩუნებაზე, ზემოთ აღნიშნული ანგარიშებიდან გამომდინარე ყველა ღონისძიების თვალის მიდევნებისათვის.

როლები და პასუხისმგებლობები:

ძირითადი როლები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

- სტანდარტული შიდა და გარე ანგარიშების მომზადება აზერბაიჯან-საქართველო-თურქეთის ოპერაციებისთვის, შეთანხმებული განრიგის შესაბამისად
- სტანდარტული ანგარიშების მომზადება, რომლებიც საჭიროა გარემოს და ჯანმრთელობის დაცვის და უსაფრთხოების სერტიფიცირების სტანდარტებისთვის
- ყველა იმ საჭირო მონაცემების შენახვა, რომლებსაც მოითხოვენ აზერბაიჯანის/საქართველოს/თურქეთის ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მარეგულირებელი ორგანოები
- AGT HSE-ს მონაცემთა ბაზის შენარჩუნება, ყველა შემავალი და გამავალი ანგარიშებისთვის, ინციდენტების შესახებ ანგარიშების და სტატისტიკური მონაცემებისთვის, განდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მონიტორინგის პროგრამიდან
- ASA-ს და STOP-ის პროგრამის მონაცემებისა და თვალის მიდევნების მონაცემთა ბაზის შენახვა
- HSE-ს მონაცემების ანალიზი, ტენდენციების განსაზღვრისათვის, რათა გაუწიოს რეკომენდაცია კონცენტრირებული მენეჯმენტის ღონისძიების თაობაზე
- "ბი-პი"-ს, დარგისა და იურიდიული ინფორმაციის და სტანდარტების HSE-ს ბიბლიოთეკის შენახვა, ბრითიშ პეტროლეუმის საინფორმაციო ვებსაიტის შევსებისთვის

კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:

- უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების სფეროში მუშაობის გამოცდილება (იდეალურია 2 წლის გამოცდილება ამ სფეროში)
- ჰქონდეს ურთიერთობის კარგი უნარი
- კარგად შეეძლოს კომპიუტერზე მუშაობა (Microsoft office)
- შეეძლოს მუშაობა, როგორც ჯგუფის წევრს
- სასურველია განათლება გარემოს ტექნიკურ სფეროში
- კარგად ფლობდეს ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებს.
- საჭიროა საქართველოს მოქალაქეობა

როგორ შეიტანოთ განაცხადი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ გაქვთ სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება ამ როლის შესრულებისთვის, გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი ბიოგრაფია (CV) და შეავსით შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელიც შეგიძლიათ მიიღოთ ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე. განცხადებების მიღების ბოლო ვადაა სამშაბათი, 13 აპრილი, 2004 წ.

საქართველოს მოქალაქეობა აუცილებელია.

განხილული იქნება ყველა განაცხადი, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ყველა კანდიდატს მიიწვევენ გასაუბრებაზე და შესთავაზებენ სამუშაოს.

საზოგადოებასთან ურთერთობის დეპარტამენტი
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია
BP Georgia
საბურთალოს ქ. N38
თბილისი, საქართველო.

კრიმინალებს ოქრუაშვილთან ელიან

პრეზიდენტის გამოსვლა

მიხეილ სააკაშვილი სიტყვის წარმოთქმისას.

მაია ნადირაძე ხელს აწერს დეკლარაციას.

ინტერპრესნიუსის ფოტო

დღეს ჩვენ ძალზე მნიშვნელოვანი ღონისძიება გვაქვს.

იცით, რომ "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატები" პარლამენტში კონკრეტული პროგრამით მიდის, მაგრამ თავიდანვე მსურს, ნათლად გავარკვიო ჩვენი საარჩევნო სიის თითოეული წევრი: თუ ჩვენ გავიმარჯვებთ და პარლამენტში იმდენ ადგილს მოვიპოვებთ, რაც საკმარისი იქნება კონსტიტუციის შესაცვლელად, პარლამენტი ვეღარ გახდება კრიმინალების თავშესაფარი.

როდესაც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში შევიტანე საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი, პარლამენტმა თითქმის ერთხმად დაუჭირა მხარი ყველა ცვლილებას, გარდა ერთისა - ეს ერთი ეხებოდა პარლამენტარის იმუნიტეტს.

დღევანდელ პარლამენტში არის რამდენიმე წევრი, რომლებსაც თავის დროზე ბრალი ედებოდა სისხლის სამართლის დანაშაულში, მათ შორის, მკვლელობაში და ადამიანთა გატაცებაში; აღარ ვლაპარაკობ ისეთ "წვრილმანებზე", როგორიცაა 30-40 მილიონი დოლარის მიტაცება და სხვა. ეს ხალხი 4 წლის განმავლობაში არის ხელშეუხებელი მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი პარლამენტის წევრები არიან. აღარაფერს ვამბობ იმ სამარცხვინო მოწერილი იქნება და პირველსავე სხდომაზე ის შემდეგი ფორმულირებით გავა - პარლამენტის წევრი, ისევე, როგორც საქართველოს თითოეული მოქალაქე, აგებს პასუხს მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე და პარლამენტის ნებისმიერი წევრისგან სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისთვის იმუნიტეტი და ყოველგვარი გამონაკლისი აბსოლუტურად გამორიცხულია.

ინციდენტებზე, როგორიც, მაგალითად, გუშინ ქუთაისში მოხდა. დასაკავებელ პირს, ადგილობრივი საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელსაც კონკრეტულ დანაშაულში ედება ბრალი, გამოესარჩლნენ პარლამენტის იმუნიტეტით "შეიარაღებული" ჩვენი "სახელოვანი" დეპუტატები.

მსურს, საზოგადოებას ვკითხო: თქვენ ეს ხალხი გინდათ, პარლამენტში ხელახლა აირჩიოთ? ისინი, ვინც კანონიერი ქურდების მეთოდებით აპირებენ საზოგადოების მართვას?

აქედან გამომდინარე, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, თუმცა კი არც ერთ ჩვენგანში ეჭვი არ მეპარება, ახლავე მოვაწერთ ხელს ამ დეკლარაციას და პარლამენტის პირველსავე სხდომაზე, თავმჯდომარის არჩევის შემდეგ, კონსტიტუციაში პრეზიდენტის მიერ შეტანილი ნორმა გავიდეს, რომელიც პარლამენტის წევრთათვის სისხლის სამართლებრივ იმუნიტეტს გამორიცხავს.

ვფიქრობ, რომ განცხადება ხელისუფლების გაზრდასაც ვიწყებთ და შემდეგი ეტაპი საბიუჯეტო ორგანიზაციების მუშაკთათვის ხელფასების მომატება და შემოსავლების გაზრდა იქნება.

ამავდროულად, მოგახსენებთ, რომ ამჟამად ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს საგადასახადო კოდექსის დასახვეწად და რასაც საზოგადოებას დავპირდით, რასაც აქამდე განუხრელად ვასრულებდით, შესრულდება არჩევნების შემდეგაც.

ეს ნებისმიერი ჩვენგანისთვის ცალკე საუბრის თემაა.

დღევანდელი განცხადება თითოეული ამომრჩევლისთვის არის ცნობა იმის შესახებ, რომ ახალი პარლამენტის შეკრებისთანავე ძველი პარლამენტის კრიმინალებსაც მოევლებათ და ახალსაც, თუ ასეთები აღმოჩნდებიან. მათ ყველას გენერალურ პროკურორთან, ირაკლი ოქრუაშვილთან ელოდებიან.

პარლამენტარებს ექნებათ ზუსტად ისეთივე იმუნიტეტი, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრებს - მათ კი იმუნიტეტი არ აქვთ. ამერიკაში ცხოვრობს 200 მილიონზე მეტი ადამიანი, საქართველოში კი 5 მილიონზე ნაკლები. თუმცა, რატომღაც, გვყავს დიდი რაოდენობით ხალხი, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ისინი საზოგადოებაზე მაღლა დგანან.

თუ მოსახლეობა მხარს დაგვიჭერს, ამას ერთხელ და სამუდამოდ მოეღება ბოლო.

სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური

დეკლარაცია საპარლამენტო იმუნიტეტის წინააღმდეგ

"კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს მტკიცე ნებას და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ახალი მოწვევის საქართველოს პარლამენტის პირველსავე სხდომაზე მხარს დავუჭერთ საკონსტიტუციო ცვლილებას, რომლის მიხედვითაც შეიზღუდება პარლამენტის წევრის იმუნიტეტი და, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში, პარლამენტის წევრი, ისევე, როგორც ნებისმიერი მოქალაქე, მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში."

20 მარტს საარჩევნო ბლოკის - "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატები" - პარლამენტის წევრობის კანდიდატებმა საქართველოს პრეზიდენტის თანდასწრებით ასეთი განცხადება გააკეთეს და შესაბამის დეკლარაციას მოაწერეს ხელი.

მანამადე კი სიტყვა საქართველოს პრეზიდენტმა წარმოთქვა და აღნიშნა, რომ ამ საკონსტიტუციო ცვლილების შეტანას ახალი საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის პირველსავე დღეს აპირებს (პრეზიდენტის გამოსვლას ქვემოთ გთავაზობთ).

პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით კი, ეს ნაბიჯი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ხელისუფლება ასრულებს ამომრჩევლისთვის ჯერ კიდევ 2 ნოემბრის არჩევნებამდე მიცემულ დაპირებას. "ჩვენი სიტყვა და საქმე განუყოფელია," - აღნიშნა მან.

მოულოდნელი რაკურსი

სამოქალაქო საზოგადოების მეორედ მოსვლა

დავით ზურაბიშვილი

ნებისმიერი რევოლუცია არა მარტო მმართველობის ცვლაა, არამედ მთლიანად ცვლის საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩვეულ წესს. რევოლუციას ავტომატურად არ მოაქვს ახალი წესები - ყველა რევოლუცია, თავისი არსით, დესტრუქციულია - მაგრამ ათავისუფლებს სივრცეს ახლებური ურთიერთობებისთვის.

ვარდების რევოლუციაც სწორედ ამიტომ იყო მართლა რევოლუცია. დღეს საქართველოში ყველაფერი თავიდან იწყება და თავიდან ეწყობა. როდის და როგორ დასრულდება ეს პროცესი, რა სისტემური ურთიერთობები აიგება იმ გამოთავისუფლებულ სივრცეში, რომელსაც ქართული სახელმწიფო ჰქვია, ცალკე საკითხია. ამჯერად მხოლოდ ერთ მომენტს მივაპყრობთ ყურადღებას: თუნდაც ყველაზე "სიმპათიური" რევოლუცია მარტო "ცუდს" არ ანგრევს, ის საფუძველს აცლის იმასაც, რაც ძველი სისტემის პირობებში პროგრესულად ითვლებოდა...

თავის დროზე, ედუარდ შევარდნაძეს გულწრფელად სწამდა, რომ თავისუფალი მედია და სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში მისი მოწყალე ნებით იშვა და ძალიან წყინდა, როცა ამ ამაგს არ უფასებდნენ. გარკვეულწილად მართალიც იყო: ყველა სახელმწიფოში დემოკრატიის დამკვიდრება ხომ ხელისუფლების ნების შედეგად ხდება, მაგრამ ეს სულაც არ გულისხმობს, რომ დემოკრატიული ინსტიტუტები, მადლობის ნიშნად, ხელისუფლების ნებას უნდა გამოხატავდნენ.

ერთი რამ კი ფაქტია: იმ წარმონაქმნის ჩამოყალიბება საქართველოში, რასაც სამოქალაქო საზოგადოებას თუ არასამთავრობო სექტორს ეძახდნენ, შევარდნაძის სისტემაში მოხდა. მისი საქმიანობის წესიც მთლიანად ამ სისტემაზე გახლდათ აწყობილი, მაგრამ ის, რომ არასამთავრობო სექტორმა გარკვეული გავლენა მოიპოვა, ნამდვილად არ იყო შევარდნაძის დამსახურება.

აქ არ ვგულისხმობთ ტიპურ გრანტიჭამიებს, რომლებიც მხოლოდ საპროექტო თანხების ათვისებით იყვნენ დაკავებულები და რეალურად არანაირ სამოქალაქო აქტივობაში არ მონაწილეობდნენ. ლაპარაკია მხოლოდ არასამთავრობო სექტორის საზოგადოებრივად აქტიურ ნაწილზე. ამ ჯგუფების მთავარი ძალა არც უცხოური ფონდებიდან მიღებული დაფინანსება იყო და არც "ენჯიო-აქტივისტების" განსაკუთრებული ტალანტები. უპირველესი მიზეზი, რაც განაპირობებდა სამოქალაქო საზოგადოების გავლენიანობას, ეს იყო ხელისუფლების მესვეურთა უმეცრება და გაუნათლებლობა. საქართველოს მართავდნენ ადამიანები, რომელთაც დასავლური დემოკრატიის არაფერი გაეგებოდათ, თან სერიოზულად სჯეროდათ მასონური შეთქმულებებისა და დალესის ვერაგული გეგმის არსებობა. ისინი მთელ სამოქალაქო საზოგადოებას ამერიკული იმპერიალიზმის აგენტურად აღიქვამდნენ, აგენტურად, რომელიც არ უყვარდათ, მაგრამ სერიოზულ ანგარიშს უწევდნენ, როგორც ძალას.

საქართველოში ათასობით არასამთავრობო ორგანიზაციაა დარეგისტრირებული, მაგრამ შევარდნაძის დროს ყველაზე გავლენიანები ისინი იყვნენ, რომლებიც ყველაზე მეტად მოიაზრებოდნენ დასავლეთის (განსაკუთრებით აშშ-ს) ნების გამომხატველად. იმავდროულად, ეს ორგანიზაციები მკვეთრად უპირისპირდებოდნენ ხელისუფლებას, რაც მმართველ წრეებში ერთგვარი შეშფოთებითაც კი აღიქმებოდა, როგორც "კრიტიკა დასავლეთიდან." ის, რომ ამ ხალხს შეიძლებოდა საკუთარი შეხედულებებით ემოქმედა, ხელისუფლებში აზრადაც არ მოსდიოდათ. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ შევარდნაძის ხელისუფლების "კომპეტენტური ორგანოები" ალალად ცდილობდნენ, დაედგინათ არასამთავრობო სექტორის ფარულ ხელმძღვანელთა მისამართები და როცა ვერაფერს პოულობდნენ, უფრო მეტად უმტკიცდებოდათ რწმენა, რომ ქართველი "ენჯეოშნიკები" ძალიან გასაიდუმლოებულ და მაღალ დონეზე იყვნენ გასულები...

ახალ ხელისუფლებას მსგავსი ილუზიები არა აქვს: მათთვის არასამთავრობო სექტორი არც უცხო ხილია, არც იმპერიალიზმის აგენტურა და, აქედან გამომდინარე, არც დიდად ანგარიშგასაწევი ძალა. ამ ხელისუფლებაში ძალიან კარგად იციან უცხო ენა და არა მარტო პირდაპირი მნიშვნელობით. მათ იციან, როგორ ელაპარაკონ ამერიკელ სენატორებს თუ საერთაშორისო ორგანიზაციების ემისრებს, რა აქცენტები დასვან, რა ფორმულირებები შეარჩიონ. მოცემულ მომენტში მათ არ ეშინიათ არც "საზღვარგარეთ დაბეზღების", რადგან ძალიან კარგად ესმით, რომ სანამ დასავლური ბიუროკრატია ახალ ლიანდაგზე გადაეწყობა, მინიმუმ წელიწადნახევარი მაინც გავა, თუ უფრო მეტი არა. გავიხსენოთ, რამდენი წელი დასჭირდათ დასავლეთში იმის შესაგნებად, რომ შევარდნაძე არ იყო დემოკრატიის მამა და რამდენი ხნის შემდეგ დარწმუნდნენ საბოლოოდ მისი მთავრობის გამოუსწორებელ კორუმპირებულობაში..

ვარდების რევოლუციის შემდეგ სამოქალაქო საზოგადოება ვერანაირად ვერ იქნება ისეთი, როგორიც იყო. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ის, რასაც სამოქალაქო საზოგადოებას ვეძახდით, საერთოდ აღარ იქნება. არასამთავრობო აქტივისტებს არავინ ჩათვლის ამერიკის ხმად და ამ მოტივით მათ აღარავინ მოუსმენს. არადა აქამდე სამოქალაქო აქტივობების დიდი ნაწილი სწორედ ამდაგვარ ბლეფზე იყო დაფუძნებული. ეს იყო მართლაც ტიპური ბლეფი, რომელმაც გაამართლა უხეიროთამაშესთან, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ გაამართლებს იმათთან, ვინც თავად არანაკლებ ფლობს ბლეფის ხელოვნებას.

მართლაც და, შევარდნაძის და მისი გარემოცვის მიერ ამჟამინდელი ხელისუფლებაც ხომ ისევე აღიქმებოდა მასონურ-კოსმოპოლიტურ-იმპერიალისტურ აგენტურად, როგორც არასამთავრობო სექტორი. ამ სექტორის წარმომადგენელთა ყოველი მცდელობა, ეთანამშრომლათ შევარდნაძის ხელისუფლებასთან, კრახით მთავრდებოდა (გავიხსენოთ თუნდაც ანტიკორუფციული შვიდკაცას ისტორია). შევარდნაძეს და მის გარემოცვას თანამშრომლობა არ აინტერესებდა. ისინი "აგენტების" გადაბირებაზე ჩალიჩობდნენ და ვერაფრით ვერ გაეგოთ, რატომ არ ამართლებდა მათი ჩვეული მეთოდები. ალბათ ფიქრობდნენ, ძალიან ბევრს უხდიანო... ჟვანია-სააკაშვილად წოდებული ოპოზიციისა და სამოქალაქო აქტივისტების ინტერესები კი არა მარტო ხშირად ემთხვეოდა ერთმანეთს, არამედ, ისინი, ფაქტობრივადაც, ერთ საზოგადოებრივ ფლანგს - ქართული საზოგადოების დემოკრატიულ რესურსს - წარმოადგენდნენ. ეს სულაც არ ნიშნავდა ერთ გუნდს, როგორც უვიც ხელისუფლებს ეგონათ, მაგრამ მათ შორის არ იყო მსოფლმხედველობრივი უფსკრული. ამიტომაც აღმოჩნენ ისინი რევოლუციის ჟამს ბარიკადების ერთ მხარეს...

თუმცა, ეს იყო მაშინ, ძველ, ცუდ დროში. დღეს თვისობრივად სხვა ვითარებაა. სამოქალაქო სექტორი სრულიად ახალი გამოწვევების წინაშე დგას. აქ იმაზე კი არაა ლაპარაკი, თუ რა უნდა აკეთოს სამოქალაქო საზოგადოებამ - ამ შემთხვევაში ველოსიპედის გამოგონება საჭირო არ არის - არამედ იმაზე, თუ როგორ და რა ხერხებით მოახდინო გავლენა მიმდინარე პროცესებზე, როგორ აიძულო ხელისუფლება, რომ ანგარიში გაგიწიოს?

ეს კითხვა არც მთლად რიტორიკულია, რადგან სამოქალაქო საზოგადოება, თავისი არსით, ოპოზიციურია. მისი მოვალეობაა, "არ აცალოს" ხელისუფლებას: თუ შესაძლებელია, ითანამშრომლოს და თუ საჭიროა, აკრიტიკოს. სამოქალაქო საზოგადოება შეუძლებელია იყოს თუნდაც ყველაზე კარგი ხელისუფლების უპირობო მხარდამჭერი და აპოლოგეტი, მაგრამ სამოქალაქო საზოგადოება აბსტრაქტული ცნება არ არის. მას განასახიერებენ კონკრეტული ადამიანები. ადამიანები, რომლებიც წლების მანძილზე იმ ოპოზიციის იდეური მოკავშირეები იყვნენ, დღეს რომ ხელისუფლებაში არიან. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა არა მარტო ინსტიტუციონალური, არამედ პიროვნული ურთიერთობებიც, რომლის გადახაზვა და გადასინჯვა არც ისე იოლია. დღევანდელი ოპოზიცია, ანუ, გუშინდელი ხელისუფლების ნარჩენები სამოქალაქო საზოგადოებისთვის პრინციპულად მიუღებელია.

ცალკე საკითხია ტრიბუნა. დღეს, როგორც არასდროს, ისე დგება დამოუკიდებელი მედიის საჭიროება, რის გარეშეც სამოქალაქო საზოგადოების ხმა სამზარეულოში ჭორაობას ვერ გასცდება. აქაც იგივე პრობლემებია, რაც არასამთავრობო სექტორში. ყველაფერი, რაც ზემოთ სამოქალაქო სექტორზე ითქვა, თავისუფალ მედიაზეც შეიძლება ითქვას. ასე, რომ საქმე გაცილებით სერიოზულადაა, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. შევარდნაძის მმართველობის აღსასრული აპოკალიფსის ტოლფასი გამოდგა იმ სამოქალაქო სექტორისთვისაც, რომელმაც ეს აღსასრული მოამზადა. ისევე, როგორც ქართულ სახელმწიფოში, სამოქალაქო საზოგადოებაშიც დღეს ყველაფერი თავიდანაა დასაწყები და ასაწყობი. ამას კი დრო დასჭირდება. როდის შედგება საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების მეორედ მოსვლა, ერთ წელიწადში, ორ წელიწადში, უფრო ადრე თუ უფრო გვიან, ძნელი სათქმელია. დარწმუნებით მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ეს საზოგადოება უკვე სხვანაირი იქნება: იქნება ნამდვილი და არა სიმულაციური, დაფუძნებული რეალობაზე და არა ბლეფზე და ასეთი სამოქალაქო საზოგადოების მოსვლა ისეთივე გარდაუვალია, როგორც ძველის წასვლა.

www.24hours.ge 24 B

ნოდარ ლადარია

სიხარულით ვასკვნი, რომ გასული კვირის განმავლობაში ჩვენმა გაზეთმა წარმატებით გაუძლო მონოთემატურობის მკაცრ გამოცდას: ხუთი დღის განმავლობაში გაზეთის ყველა რუბრიკა მოვლენათა ერთი კომპლექსის გაშუქებას ემსახურებოდა. რა თქმა უნდა, მხედველობაში მაქვს აჭარის თემა, რომელსაც ძალიან ძნელია მოუნახო ერთიანი სახელი...

ბავშვობაში, ჟიულ ვერნის კითხვისას ერთმა ფრაზამ მიიპყრო ჩემი ყურადღება: ხომ გახსოვთ, როცა წყალქვეშა ხომალდს გიგანტური რვაფეხები შემოეხვევიან, კაპიტანი ნემო, მისი ეკიპაჟი და "ნაუტილუსის" სტუმრები ცულებით შეიარაღებულნი გამოვლენ ურჩხულების წინააღმდეგ საბრძოლველად — სწორედ ამ ეპიზოდის აღწერისას ითქვა, რომ პნევმატური თოფები უსარგებლოა, რადგან ელექტრული ტყვიები წინააღმდეგობას ვერ აწყდებიან რვაფეხას რბილ სხეულში. მართლაც, იარაღის შერჩევა ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია. აქ კი როგორ უნდა შეარჩიო იარაღი, როცა მოწინააღმდეგე განსაზღვრასაც არ ექვემდებარება. დიდხანს ვფიქრობდი და არსებული განსაზღვრებებიდან არც ერთი არ მომეწონა. *ცენტრსა და ავტონომიას შორის კონფლიქტი* — არ ვარგა, რადგან აჭარის ადმინისტრაციული ავტონომია, როგორც ასეთი, კონფლიქტის მხოლოდ ფორმალური პირობაა და მის არსს არ გამოხატავს; *ასლან აბაშიძის დიქტატორული რეჟიმი* — მაგრამ განა ეს უდღეური და უნიჭო რეალობა ასეთ ხმამაღალ სახელს იმსახურებს? *აბაშიძის მაფიოზური კლანი* — ეს კი, პირიქით, ძალიან რბილი და ზოგადი გამონათქვამია... ერთი სიტყვით, ზუსტი სიტყვიერი განსაზღვრა ჯერჯერობით ვერ ხერხდება, მაგრამ იქნებ სწორედ ასე ჯობია: სრულიად აღმოიფხვრას ამ უთავბოლო სინამდვილის მიზეზები და მისი განსაზღვრის პრობლემაც არ იარსებებს.

და მაინც, გასული კვირის განმავლობაში, როგორც უკვე ვთქვი, "24 საათის" მთელი ძალები — *ამბები, თვალსაზრისი, სამართალი, საზოგადოება, ეკონომიკა, კულტურა, უცხოეთი* — ერთსა და იმავე თემას დასტრიალებდა და მრავალი მხრიდან ცდილობდა მის არსში შეღწევას. ეს ჩოლოქის ბლოკპოსტის გარღვევაზე არანაკლებ ძნელი აღმოჩნდა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ვითარება სრულიად ეთანხმებოდა ჩვენს საზოგადოებაში არსებულ გულისთქმასა და წუხილს. ყოველმა ჩვენგანმა, ვისაც კი ამა სოფლის შვილი ჰქვია და მშობლისა ესმის, თვალნათლივ იხილა, რომ საქართველოს საზოგადოება მართლაც ერთიანად შეშფოთდა და ერთი მხურვალე ინტერესი იგრძნო.

მეორე მხრივ, ბოლო ათწლეულის განმავლობაში პირველად ვიხილეთ, რომ სიძნელეების პირისპირ აღმოჩნილმა საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილებები, რომლებსაც სრული მნიშვნელობით შეიძლება ეწოდოს პოლიტიკური. ეს კი ბოლო დროის ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარია. უფრო მეტიც, გადაწყვეტილების პოლიტიკური ხასიათი ამ ეტაპზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია მის უახლოეს და კონკრეტულ შედეგზე. გასული კვირის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ცხოვრებამ თვისებრივი გარდატეხა განიცადა და გასული თორმეტი წლის განმავლობაში ჩვენ პირველად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცუდი თუ კარგი, საქართველოს მთავრობა ჰყავს.

ვერა და ვერ შევუდექი ამჯერად ჩემი პირდაპირი მოვალეობის შესრულებას, მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ იანვრიდან მოყოლებული, ელექტრონული ფოსტით ხშირად ვღებულობ შეტყობინებებს ადამიანებისგან, რომლებიც, როგორც ვვარაუდობ, აჭარაში ცხოვრობენ ან ასე თუ ისე დაკავშირებულნი არიან აჭარასთან. ყოველი შეტყობინება შეიცავს ავტორის ანონიმურობის დაცვის თხოვნასა და შეკითხვას, რატომ არაფერს ვწერ ასლან აბაშიძეზე. შეკითხვაზე პასუხი მარტივია: ასლან აბაშიძის ფენომენი იმდენად რბილი და ლორწოვანია, რომ ჩემს ხელთ არსებული იარაღი მასში წინააღმდეგობას ვერ პოულობს. ყოველთვის მეზიზღებოდა ღია კარის მტვრევა, მაგრამ ახლა ვგრძნობ, რომ არსებობს მომენტები, როცა საზოგადოებრივი მოთხოვნილება გაცილებით მნიშვნელოვანია ერთი ადამიანის გემოვნებაზე.

გასული მონოთემატური კვირა რაღაცის თქმას მეც მაიძულებს.

დავიწყებ **ნიკა იმნაიშვილის** სტატიით *"ასლანიზმის"* დასასრული (15 მარტი). სტატია ძალიან გრძელია და მკითხველისაგან ინტელექტუალური ძალების დიდ დაძაბვას მოითხოვს. გაკვირვებას იწვევს ავტორის ოპერატიულობა. აღბათ ამ ოპერატიულობასა და წერის ლამის სავალდებულო რეჟიმს უნდა მივაწეროთ მშვენიერ ანალიზში გაპარული მცირეოდენი ტერმინოლოგიური უზუსტობები, მაგრამ მათზე არ გავამახვილებთ ყურადღებას: სწორედ ოპერატიულობისა და ღრმა ანალიზური მუხტის წყალობით, სტატია ყველა საფუძველს იძლევა, კვირის საკვანძო პუბლიკაციად მივიჩნიოთ ის. ტექსტის ყველაზე მნიშვნელოვანი მხარე ისაა, რომ საკუთრივ "ასლანიზმის" დასასრულად აქ სამი, ერთმანეთთან თითქოსდა დაუკავშირებელი ფენომენის დასასრული განიხილება. ეს ფენომენებია: რეალური და ფორმალური ძალაუფლების არაადეკვატურობა, პროფანულისა და საკრალურის აღრევა, მმართველ ელიტაში სიუზერენ-ვასალური დამოკიდებულება. მივყვეთ თანმიმდევრულად.

1. რეალური და ფორმალური ძალაუფლების არაადეკვატურობა. ჯერ კიდევ 14 მარტს, საღამოს ნიკა იმნაიშვილი წერს: "**ძალის გამოყენება გამორიცხულია, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ აჭარის მმართველ დაჯგუფებას უნდა აგრძნობინოს, რომ ახალ ხელისუფლებასთან ურთიერთობა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ახალი სისტემით, რომლის საფუძველი უნდა შექმნას კანონმა "ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილებათა და კომპეტენციათა გამიჯვნის შესახებ"... რითაც თბილისი აღიდგენს ბუნებრივ პრიორიტეტს ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებში, ხოლო აჭარა იქცევა ნამდვილ ავტონომიად და არა ფაქტობრივად "მეზობელ სახელმწიფოდ", სადაც საქართველოს სუვერენიტეტი ხელყოფილია ისეთ სფეროებში, რომელთა რეგიონისათვის დელეგირება სახელმწიფოს დაშლას ნიშნავს**". როგორც ვხედავთ, გამწვავების დასაწყისში ნიკა იმნაიშვილი ხედავს იმას, რასაც ვერ ხედავს **ვასილ მაღლაფერიძე** გამწვავების მოხსნის შემდეგაც. ვნახოთ ამ უკანასკნელის სტატია ხმამაღალი სათაურით *ჩოლოქის ინციდენტის ანატომია* (19 მარტი): "**ედუარდ შევარდნაძემ პრობლემის გადაჭრა აბაშიძის ხან ბნელ ძალად და მოღალატედ შერაცხვით სცადა, ხან — დიდ ეროვნულ მოღვაწედ გამოცხადებით, მაგრამ ამაოდ დაშვრა, ვერაფრით გამოიყვანა აჭარა საქართველოს კონსტიტუციის სივრცეში**". ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ შევარდნაძე სწორედ ამისთვის "დაშვრა". ნიკა იმნაიშვილის მიერ შემჩნეული ფორმალური სტატუსისა და რეალური ძალაუფლების შეუსაბამობა არა მარტო თბილისსა და ბათუმს შორის შეინიშნებოდა, არამედ თვით აჭარის ფარგლებშიც. რა ვითარებაში შეიძლება წარმოიშვას, თანაც ორგზის(!) ჭორი იმის შესახებ, რომ ბათუმის მერმა აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრი გალახა? — მხოლოდ იქ, სადაც ფორმალური იერარქია მხოლოდ საფარველია რეალური იერარქიული პირამიდისა. სწორედ ამგვარი ვითარება იყო შევარდნაძის საქართველოში მთლიანად და მის ყოველ ცალკე აღებულ სტრუქტურაში. მახსოვს, თსუ-ში გავრცელებული გამოთქმა: "კარისკაცის დონეზე გადაწყდა". იგულისხმებოდა კარისკაცი, რომელიც რექტორის დავალებით სხდომაზე მომავალ დიდი საბჭოს წევრებს ყურში წინასწარ უჩურჩულებს მისაღებ გადაწყვეტილებას. შესაძლოა, ესეც ჭორია, მაგრამ მის არსებობასა და დამაჯერებლობას იგივე მენტალური მექანიზმი, რეალობაში გამეფებული იგივე ურთიერთობის წესები, ფორმალური კანონებისადმი იგივე დამოკიდებულება უზრუნველყოფს.

საქართველოს დამსახურებულმა მაფიოლოგმა და კლანონომიის მაგისტრმა, **გივი თარგამაძემაც** (16 მარტი, **თამარ ხორბალაძე**, *ასლან აბაშიძის კრიმინალური კლანი*) თვალნათლივ დაგვანახა, რომ რეალური და ფორმალური ხელისუფლების პირამიდები აჭარაში მხოლოდ ერთ-წერტილში — თვით ასლან აბაშიძეში იკვეთება. სინამდვილეში კი ავტონომიას უხილავი (ახლა უკვე ნაწილობრივ უხილავი) ძალა მართავს, რომელსაც მე ასეთ განსაზღვრებას მივცემდი: **ბაბუ და მისი ბაბუინები**.

მაგრამ ბაბუინების დღეები დათვლილია და საფრთხის წინაშე დამდგარი სახელმწიფოს პრეზიდენტს საშუალება მიეცა, განეცხადებინა: "**ჩვენ საკმარისად გავიზარდეთ და საკმარისი სიბრძნე დავაგროვეთ**" (16 მარტი, **ვერიკო თევზაძე**, *საქართველო სახელმწიფოა — აცხადებს პრეზიდენტი*).

2. პროფანულისა და საკრალურის აღრევა. ნიკა იმნაიშვილი განიხილავს მოვლენას, რომელსაც "მამა ბასილის სინდრომს" უწოდებს. რატომ დაუკავშირდა "ასლანიზმი" და "მამა ბასილის სინდრომი" ერთმანეთს? არა, აქ განკვეთილი მღვდლისა და "ბაბუინების" პირდაპირი კავშირის ვულგარულ ვარაუდთან არა გვაქვს საქმე (თუმცა ვარაუდის ვულგარულობა არ გამორიცხავს მის სისწორეს). ავტორი გაცილებით უფრო ღრმად უყურებს პრობლემას: "**გვესმის გაუთავებელი აპელირება "ორი ტომარა ფქვილით მორწმუნეთა მოსყიდვის" შესახებ, ბოლოს და ბოლოს "ორი ტომარა ფქვილით" მართლაც შეიძლება ადამიანი მოისყიდო, ნამდვილად შეიძლება ზოგიერთს თვით "ეშმაკისეული საქმეც" გააკეთებინო, მაგრამ შეუძლებელია "ორი ტომარა ფქვილით" იყიდო რწმენა!**". დიახ, საპატრიარქო, რომელიც გაუთავებლად წუწუნებს, რომ იეღოვას მოწმეებმა ფქვილისა და შაქრის გამოყენებით წაართვეს მრევლი, არაფრით განსხვავდება ასლან აბაშიძისაგან, რომელიც ხან სისხლისღვრის საშიშროებით და ხან აფხაზეთის გამეორებით გვაშანტაჟებს.

ყველა ჩვენგანი გრძნობს, რაოდენ დიდი ძალა აქვს ჯერჯერობით სიმბოლურ კაპიტალს, იქნება ეს ჩვენი "ოცსაუკუნოვანი მართლმადიდებლობა" თუ "ეროვნული ერთიანობა". აი, **გიგა ბოკერიამაც** მიმართა ამ ხერხს (19 მარტი, **მაია ჭალაგანიძე**, *კალენდრით, აჭარაში ნოემბერია*): "**ალქსნისისა და მისნაირების გამოჩენა სიმბოლურადაც და პრაქტიკულადაც იმას გვიჩვენებს, რომ აჭარაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გრძელდება**". მაინც იგრძნობა პატიოსანი კაცი: სიმბოლურადო, — არ დავიწყებია აღნიშვნა. დიახ, ჯერაც დიდი ცდუნებაა ჩვენში ძველი სიმბოლოების გამოყენებისა, ჯერაც არ აუთვისებია ჩვენს ხალხს პრაგმატიზმის სული.

სააკაშვილიც ვერ ერევა ხანდახან ამ ცდუნებას, მაგრამ საკმარისია რეალური საშიშროება გაჩნდეს, მაშინვე იჩენს თავს რეალისტისა და პრაგმატიკოსის ჭეშმარიტი ბუნება. უფრო მეტიც, ამ შემთხვევაში იგი სიმბოლურ ნაბიჯებსაც მთავარი მიზნის სამსახურში აყენებს: ასეთ იყო 18 მარტს აჭარაში სწორედ ჩოლოქიდან შესვლა. მაგრამ სხვა შემთხვევებშიც სიმბოლურ ქმედებებს პრეზიდენტი მხოლოდ პრაგმატული მიზნებით მიმართავს: აუხსნეს ალბათ, ქართველებზე ეს მოქმედებსო. და მაინც, შეიძლება ვიფიქროთ, რომ კიდევ რამდენიმე რეალური წარმატება და არც მაგიდაზე კაკუნი დასჭირდება და არც სულებთან გასაუბრება.

ჯანსაღი პრაგმატიზმისა და რეალიზმის სულისკვეთება ისმის **ალექსანდრე მუჯირის** სტატიაში *შეხვედრა წარსულთან; ერთი საგანმანათლებლო ნოვაციისა გამო* (20 მარტი). აქ სწორედ საღი აზრის პოზიციებიდანაა განხილული ორშაბათობით სახელმწიფო დროშის აღმართვის რიტუალი, რომლის დანერგვა სურს ხელისუფლებას საშუალო სკოლებში.

აი, აბაშიძე კი სიმბოლურ კაპიტალს უფრო ფართოდ ფლანგავს. ერთ-ერთი ასეთი სიმბოლური სფერო ჩვენში "კულტურა და ხელოვნებაა". ბათუმის საოპერო თეატრის თანამშრომლებისაგან ვიცი, რომ დადგმებისათვის საჭირო სახსრები ბათუმის ბაზარზე მოვაჭრეებს ჰქონდათ "შეწერილი".

დიახ, სიმბოლურ სიკეთეებს ყოველთვის დახეული და უგვანო სარჩული აქვთ. სახელმწიფოს არსებობას კი სულ სხვა რამე სჭირდება, აი, ის, რასაც თუნდაც გიგა ბოკერია გვეუბნება: "**არ მიყვარს პათეტიზმი, მაგრამ პატიოსნება საუკეთესო პოლიტიკაა**". პატიოსნება კი იმას მოითხოვს, რომ სიმბოლური და რეალური, საკრალური და პროფანული, წმინდა და სადაგი ერთმანეთისგან მკვეთრად იყოს გამიჯნული. სწორედ ამ პატიოსნების გამო ასრულებს გიგა ბოკერია თავის ინტერვიუს შემდეგი სიტყვებით: "**ვერავინ დაგვაშანტაჟებს იმით, რომ ძალიან ცუდია და თუ თავს არ დავანებებთ, კიდევ უფრო ცუდად მოიქცევა... საქართველოს სახელმწიფო და ქართული საზოგადოება არასდროს არავის ხელში აღარ იქნება მძევალი**".

ჩემი მხრიდან კი ის მინდა აღვნიშნო, რომ ეს სიტყვები სწორედ პრაგმატიზმია და არა სისასტიკე, სწორედ იმ ტიპის უმაღლესი პატიოსნებაა, რომელმაც **ნიკოლო მაკიაველის** დააწერინა ოდესღაც: "*არავინ უნდა წაახალისოს უწესრიგობა ომის თავიდან აცილების საბაბით, რადგან ვერც ომს აირიდებს და უპირატესობასაც დაკარგავს*".

3. მმართველ ელიტაში სიუზერენ-ვასალური დამოკიდებულება. ეს ფენომენი ყველასათვის ცნობილია — აჭარაში მისი გავრცელება კი მართლაც კატასტროფულია. ნიკა იმნაიშვილი საქართველოს პრეზიდენტსა და პრემიერმინისტრს შორის ახლებური ურთიერთობით აჩვენებს მანკიერი ტრადიციის რღვევას: "**პრეზიდენტიც და პრემიერიც დღეს ცდილობენ, ხაზი გაუსვან, რომ არანაირი დისბალანსი აქ არ იქნება და ასლან აბაშიძეს ტყუილად აქვს იმედი (ასეთი ილუზია კი აშკარად ჰქონდა), რომ ითამაშებს "ინტერესთა კონფლიქტზე" სახელისუფლებო სისტემის შიგნით**". ეს ძალიან მნიშვნელოვანია: აბაშიძე გუშინდელით ცხოვრობს და ისეთივე უხერხულ მდგომარეობაში ვარდება, როგორც **ერეკლე მეორე**, როცა გეორგიევსკის ტრაქტატში ერთ-ერთ პირობად აღნიშნავს უფლისწულების მძევლებად გაგზავნას რუსეთის იმპერატორის კარზე. **ეკატერინემ**, რომელიც ვოლტერთან მიმოწერით ამაყობდა, ეს მუხლი, რა თქმა უნდა, ამოაღებინა.

ბოლოს კი ის აღვნიშნოთ, რომ სამივე ფენომენი, რომელსაც ნიკა იმნაიშვილი ერთი სახელით, "ასლანიზმად" მოიხსენიებს, დამახასიათებელია ერთი ისტორიული პერიოდისთვის: მკითხველი უკვე მიხვდებოდა, რომ შუასაუკუნეებს ვგულისხმობ...

ახლა კი ერთ ნამდვილ ამბავს მოგითხრობთ: 1992 წელს თბილისის სასულიერო აკადემიის რამდენიმე სტუდენტმა კათოლიკოს-პატრიარქს მიმართა წერილით, სადაც უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს ადანაშაულებდნენ მუსლიმების მიმართ ზედმეტ ლოიალობაში და უმტკიცებდნენ, ქრისტიანი არა ხარო. ნაწილი ამ სტუდენტებისა, ბუნებრივია, გაირიცხა, ნაწილი კი მოწყალედ დატოვეს აკადემიაში. ამ უკანასკნელთა შორის იყო **კახა ჟღენტი**, რომელმაც არ მოიშალა ძველი ჩვევა და ახლა ჩემს სახელზე გამოაცხო მრავალშვილიანი *მარგინალი მამის ღია წერილი* (19 მარტი). ეს სუბიექტი თავის ტექსტში ყოველგვარი მოტივირების გარეშე საოცრად უდიერად იხსენიებს დასავლეთ ევროპის ეპარქიის მღვდელთმთავარს, მიტროპოლიტ **აბრაამს**, თუმცა სწორედ მაღალყოვლადუსამღვდელოესი აბრაამი იყო სასულიერო აკადემიის რექტორი, რომელმაც შეიბრალა კახა ჟღენტი და არ გარიცხა. შეწყალებულმა მაინც ვერ შეძლო დიპლომის აღება...

კახა ჟღენტს ჩემთან "რინგზე ორთაბრძოლა" სწადია. მე ამ გამონვევას ვერ მივიღებ. არ შემიძლია ვეკამათო ადამიანს, რომელიც ერთმანეთისგან ვერ ასხვავებს კათოლიკურ ეკლესიასა და ვატიკანის სახელმწიფოს, ერთი და იგივე რამ ჰგონია მღვდელთმთავრის მეგობრული ვიზიტი და ეკლესიის მონაწილეობა საერთაშორისო ორგანიზაციებში, დაუსაბუთებელ შეურაცხყოფას აყენებს იმ ეკლესიის სასულიერო პირებს, რომლის წევრადაც მიიჩნევს თავს, და რომლის სახელსაც ვერ წარმოთქვამს სწორად, რადგან მას **საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია** უნდა ვუწოდოთ და არა "ქართული მართლმადიდებლური". მე არ შემიძლია იმის ახსნა დავიწყო "24 საათის" ფურცლებზე, რაც ისედაც ცხადად წერია გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში, მე არ შემიძლია ვაქციო ყოველდღიური გაზეთი მოზრდილთა კატეხიზაციის ინსტრუმენტად, ანუ ვაკეთო ის საქმე, რასაც ვერ აუდის საქართველოს საპატრიარქოს ლოცვა-კურთხევით გამოსული ათობით ჟურნალი თუ გაზეთი, რომლებიც რაღაც კვაზირელიგიური იგავ-არაკებითაა სავსე.

მაგრამ ერთი რამ მაინც მაინტერესებს: რატომ არის "მართლმადიდებლური გიმნაზიის" დირექტორი და საღვთო სჯულის პედაგოგი პიროვნება, რომელსაც არა აქვს შესაბამისი დიპლომი? და კიდევ: "ღია წერილიდან" ძალიან ბევრი საინტერესო რამ გავიგე ჩემს შესახებ (თურმე ფსიქოლოგიც ვყოფილვარ!). ამავე დროს, წერილის ავტორი გვარწმუნებს, რომ ცდილობს იყოს მართლმადიდებელი, ეკლესიური ქრისტიანი, რომლის ხედვა ეთანხმება წმინდა წერილს (ქართველები ყოველთვის საღვთო წერილიო, ამბობდნენ), წმინდა გადმოცემას, მოციქულთა კანონებს, მსოფლიო შვიდი საეკლესიო კრების გადაწყვეტილებებს, სჯულის კანონში შემავალ წმინდა მამათა კანონებს და ზოგადად წმინდა მამათა კრებების მიერ დადასტურებულ სწავლებებს, რუის-ურბნისის კანონებს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კრებების დადგენილებებსა და ტრადიციებს. მთელ ამ სიბრძნეს, თუ მთელ "პატროლოგია გრეკასაც" ვიგულისხმებთ, ერთი კარადა ვერ დაიტევს — მართალია, ვერავინ შეამოწმებს, მაგრამ საკუთარი თავის წინაშე მაინც რომ იყო მართალი, ამ ყველაფერს ხომ უნდა შესწავლა! და თან ჩვენი ავტორი სტატიის განმავლობაში სამჯერ მაინც გვახსენებს, შვიდი შვილი მყავს და მერვესაც ველოდებიო — ამათაც ხომ უნდათ მოვლა-პატრონობა! სად მოიცალა ჩემს შესახებ ამდენი ინფორმაციის შესაგროვებლად? ჩვენს მოკრივეს, ნამდვილად, მწვრთნელი ჰყავს, ან მწვრთნელები. ნეტა, რატომ არ ასახელებს? ან ისინი რატომ ვერ ხვდებიან, რომ დრო მოვიდა, პირსახოცი დააგდონ?

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ
შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს
ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

საჩუქრის ახალი ფორმა!
ბსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიმღირთ არჩევანის გაკეთება?
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991
საჩუქრის სერტიფიკატი
სან-სეტი
ხარისხიანი თეთრეული ყველასათვის

საკონცერტო დარბაზები

სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი
ჩიმაროზა "ფარული ქორწინება"
დას: 19:00 სთ

თავისუფალი თეატრი
"ყვითელი ანგელოზი"
დასაწყისი: 19.00 სთ

გამოფენა

კოპალა
უცნობი გუდიაშვილი

New Art
"ნიუ არტისა" და კოდაკ "ფოტოსამყაროს" ფოტოსკოლის კურსდამთავრებულების ნამუშევართა ერთობლივი გამოფენა

"ქარვასლა"
ალექსანდრე როინიშვილის ფოტონამუშევრების გამოფენა

სურათების ეროვნული გალერეა
საქართველოს მხატვართა ნამუშევრების საგაზაფხულო გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება)

"ჰობი"
თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების (ფერწერა, გრაფიკა) გამოფენა

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

ხუთშაბათს, 25 მარტს 17 საათზე ზაალ სამადაშვილის ციკლი "ახალი განზომილება", სტუმარი ლაშა ბუღაძე, თემა: "ლაშა ბუღაძე დრამატურგიის შესახებ".

პარასკევს, 26 მარტს 17 საათზე პაატა ამონაშვილის წიგნის "სხივთა კონა" პრეზენტაცია.

მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50

ამერიკული გამოცდილება - ქართულ თეატრებს

თბილისის კინომსახიობთა, თავისუფალი, სარდაფისა და ოპერის თეატრების დირექტორებმა აშშ-ში თეატრის მენეჯმენტის კურსი გაიარეს.

როგორც ოპერის თეატრის დირექტორმა ზურაბ ლომიძემ განაცხადა, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტი საგანგებოდ საქართველოსთვის შეიქმნა.

მენეჯმენტის კურსის გაცნობა ითვალისწინებდა თეატრებისა და სპექტაკლების დადგმისთვის სახსრების მოძიებასა და ფინანსების სწორად გამოყენებას. ქართველი თეატრალები აშშ-ს რამდენიმე ქალაქს ეწვივნენ და ამერიკული თეატრები მოინახულეს. შეხვედრები გაიმართა სხვადასხვა ფონდებთან და ორგანიზაციებთან. ზურაბ ლომიძის თქმით, ისინი ამერიკულ გამოცდილებას გაეცნენ, თუმცა გასარკვევია, რამდენად მოერგება ის ქართულ სინამდვილეს.

მედია-ნიუსი

ყველაზე მაღალი

Burj Dubai – 40 ათას მაცხოვრებელზე გათვლილი არარსებული შენობა უკვე მთელ მსოფლიოში ყველაზე მაღალ ნაგებობად აღიარეს. მისი აშენება 2008 წლისთვის არაბეთის გაერთიანებულ ემირატებშია დაგეგმილი. 2 მილიარდ ამერიკულ დოლარამდე შეფასებული პროექტის ავტორია კომპანია EMAAR Properties. შენობის სიმაღლე, დაახლოებით, 600 მეტრი იქნება.

სპენსერ ტანიკი: შიშველი შიდსის წინააღმდეგ

ტანიკი შიდსს ებრძვის

ვესტ ვილიჯის ფრანგულ რესტორანში შეკრებილ ამ ას ადამიანს ერთი რამ აქვს საერთო: ყოველი მათგანი შიდსითაა დაავადებული. სპენსერ ტანიკმა, ცნობილმა ფოტოგრაფმა, ასი შიშველი სხეულის გადაღება ჟურნალ POZ-ის მეათე იუბილეს დაამთხვია. ეს ჟურნალი შიდსით დაავადებულთათვის გამოდის.

ვალტერ არმსტრონგი, ჟურნალის მთავარი რედაქტორი, იმედოვნებს, რომ "ეს ნამუშევარი ყველასთვის ნუგეში იქნება, ვინც შიდსითაა დაავადებული. მათ უნდა იცოდნენ, რომ მხოლოდ ისინი არ არიან ასეთ განსაცდელში".

დრო და შედევრები

თეონა ჯაფარიძე

პრეზიდენტის ცოლ-შვილი უცნობ გუდიაშვილზე

გალერეა "კოპალაში" ლადო გუდიაშვილის ახლად გამოჩენილი ილუსტრაციების სანახავად მისულმა ორი საინტერესო (არა მხატვრობასთან დაკავშირებული) მომენტი შევნიშნე: პირველი ის, რომ, შესაძლოა, კომუნისტური ეპოქიდან შემორჩენილი "მეშჩანური" მენტალიტეტი საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს და მალე სრულიად გაქრეს კიდეც: რა ეშველება საშუალო ასაკის თაობას, რომლის თვალწინაც დაიმსხვრა ბრილიანტებასხმული, ჩასუქებული პარტიულ-სამთავრობო ელიტის ცოლების სასურველი ხატება. ზემოთ აღნიშნული თაობა დაბნეულია, აღარ იცის, რა გზას დაადგეს - ფასეულობები შეცვლილია. მეორე საინტერესო ნიუანსი კი ის არის, რომ გამოფენაზე მისულებმა თავი, რაღაცნაირად, დაცულებად ვიგრძენით - აი, ისე, ხვალინდელი დღის რომ არ გეშინია და გრძნობ, რომ შვეიცარიის ან ლუქსემბურგის მსგავს სახელმწიფოში ცხოვრობ: გამოფენაზე, ჯერ იყო და, ყოველგვარი პომპეზურობის, დაცვისა და დამთვალიერებელთა ზედმეტი შეწუხების გარეშე, პარლამენტის თავმჯდომარემ შემოიარა, შემდეგ კი ქალბატონი სანდრა რულოვსი გამოჩნდა შვილთან ერთად, რომლებმაც, ყოველგვარი ხმურისა და აჟიოტაჟის გარეშე, ქართველი კლასიკოსის ნამუშევრები დაათვალიერეს და იქვე გალერეაში გამოფენილ საიუველირო ნივთებთან შეჩერდნენ. შეძენით კი პირველმა ლედიმ ერთი უბრალო გულსაბნევი შეიძინა - იაფფასიანი, მაგრამ დახვეწილი, ნემსიყლაპიას გამოსახულებით. სულ ეს არის, მეტი არაფერი, მაგრამ გამოფენაზე მისვლასაც ხომ თავისი კულტურა აქვს...მოკლედ ეს უკვე ჩვენი ეპოქაა. აი, ნამუშევრები კი, რომლის სანახავადაც ზემოთ ნახსენები პერსონები და დამთვალიერებლები მივიდნენ, ერთ შეხედვით, არც ისე ძველ წარსულში, მაგრამ მაინც წარსულშია შექმნილი:

"კოპალაში" გამოფენილმა გუდიაშვილისეულმა ათმა ილუსტრაციამ, ალბათ, ბევრი ჩააფიქრა: საქმე ის გახლავთ, რომ ეს ნამუშევრები გალერეაში მისმა მეპატრონემ – გარდაცვლილი პოეტის, ბერდია ბერიაშვილის შვილმა მიიტანა, სათანადო სერთიფიკატის თანხლებით. გუდიაშვილის ავტორობა ნამუშევრების ნახვის შემდეგ მისმა შვილიშვილმა, ხელოვნებათმცოდნე ანანო მელივამაც დაადასტურა. ილუსტრაციები მხატვარს პოეტის მომავალი კრებულისათვის შეუქმნია. საილუსტრაციოდ ლადო გუდიაშვილს თავად შეურჩევია ათი ლექსი. ნამუშევრები აკვარელშია შესრულებული. კრებული ვერ გამოვიდა, მაგრამ პოეტის გრაფიკულად შესრულებულ პორტრეტს მხატვრის ხელით შესრულებული მინაწერი აქვს დართული: "ბრწყინვალე ქართველ პოეტსა და მოქალაქეს ბერდია ბერიაშვილს; კეთილი სურვილებით ლადო გუდიაშვილი." მინაწერი 1972 წლით თარიღდება. "ლადოს უამრავი ილუსტრაცია ჰქონდა შექმნილი. როგორც კი წიგნი დაიბეჭდებოდა, ნამუშევრებიც მაშინვე ქრებოდა. დროდადრო ისევ გამოჩნდება ხოლმე. ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ ამგვარად "გამოჩენილი" ნამუშევარი ოჯახს ხელახლა შეგვიძენია. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება, როცა ნახატი ლადოს შემოქმედების რომელიმე ეტაპის დამახასიათებელია," – მეუბნება მხატვრის ქალიშვილი, ქალბატონი ჩუქურთმა გუდიაშვილი.

"კოპალაში" გუდიაშვილი სხვა პრიზმითაც არის წარმოდგენილი. ეს ესკიზებია გუდიაშვილისათვის დამახასიათებელი აღმოსავლური ხელწერით, რომელიც მხატვარს ცნობილი არქიტექტორის სოსო ზაალიშვილის დაკვეთით შეუქმნია წყალტუბოს აბანოს კომპლექსისათვის. მხატვრისა და არქიტექტორის ეს საინტერესო ტანდემი ვერ განხორციელებულა. როგორც შევიტყვე, გალერეაში გამოფენილი ესკიზებიდან მხოლოდ ერთი - "შვილი და ხოხობის" თეთრ ქვაზე ამოტვიფრული გამოსახულება ამშვენებს, თურმე, წყალტუბოში ერთ-ერთ სტელას. ეს ნამუშევარი და ესკიზები 50-იანი წლების ბოლოს შეუქმნია მხატვარს. დღეს გალერეაში გამოფენილი ილუსტრაციებიცა და ესკიზებიც დიდი მხატვრის საინტერესო ცხოვრების პატარ-პატარა პერიოდების ამსახველია. თანაც, თუ იმაზეც დავფიქრდებით, რომ შედევრები იცვლიან სახლებს, კოლექციებს, გალერეებსა და ხელიდან ხელში გადადიან ან გარკვეული დროის შემდეგ უცებ სადმე გამოჩნდებიან, მაშინ "კოპალაში" წარმოდგენილ გამოფენას უდავოდ თავისი ხიბლი აქვს, იმიტომ, რომ მათი დროში მოგზაურობის უშუალო მოწმეები ვხდებით; თანაც, 18 მარტს დიდი მხატვრის დაბადებიდან 108 წელი შესრულდა.

მხიარულად მძიმე თემებზე

24 მარტს, ტუბერკულოზთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს ყველგან სხვადასხვანაირად აღნიშნავენ. სამედიცინო თემიდან გამომდინარე, ღონისძიებებიც შესაბამისი შინაარსის იმართება. ასე იქნება წელსაც. ზოგან სწორედ ამ დღეს დაამთხვევენ საავადმყოფოებისა თუ სამკურნალო-სამედიცინო დაწესებულებათა გახსნას. თბილისში ტუბერკულოზთან ბრძოლის დღეს ვარაზისხევში მდებარე ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის მოხატული კედელი შეგვახსენებს.

ტუბერკულოზს დავამარცხებთ

მართალია, საქართველო, საბედნიეროდ, არ შედის იმ ქვეყანათა ოცეულში, სადაც ტუბერკულოზით დაავადებულთა რაოდენობა საგანგაშოა, მაგრამ ამ საერთაშორისო დღეს ჩვენთანაც გამოეხმაურებიან. სწორედ ეს მისია უნდა შეასრულოს ვარაზისხევში, 24 მარტს დაგეგმილმა, კედლის პრეზენტაციამ. საცხოვრებელი სახლის კედელი, თბილისში მოძრავი ტროლეიბუსებიც და სხვადასხვა შენობაც, ახალგაზრდა მხატვრებმა გააფერადეს. სწორედ მათ - კედლის მხატვრობაში გამოცდილ ექვს ახალგაზრდა მხატვარს, გია ბუღაძესთან ერთად, მიანდეს საქართველოში ტუბერკულოზთან ბრძოლის აღნიშვნის ორგანიზატორებმა ("ტეპ" - ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამა და usaid) ეს საქმე.

ავთანდილ გურგენიძე, ბესა ქართლელიშვილი, ლაშა წინიკაშვილი, მარი დავითაშვილი, ვატო მაჭარაძე, გიგლა ხუტაშვილი - ის ჯგუფია, რომელიც დიდი ენთუზიაზმით აფერადებს თბილისურ შენობებს. მხატვრები ცდილობენ, ყოველი ნამუშევარი კონკრეტულ სოციალურ მოვლენას დაუკავშირონ; ან, უბრალოდ, ასე გამოხატონ სხვადასხვა საკითხისადმი თავიანთი სამოქალაქო დამოკიდებულება.

ამჯერად ახალგაზრდა მხატვრების მისია ოდნავ სხვაგვარი იყო – მათ შედარებით მხიარული ფორმით უნდა მოეხერხებინათ საზოგადოების ყურადღების სერიოზულ პრობლემებზე გადატანა. "ერთად დავამარცხოთ ტუბერკულოზი"; "ჯერ უნდა ჩაისუნთქო...", - ასეთია მოხატული კედლის დომინანტი ფრაზები. "შევეცადეთ, ამ ნახატით გვეთქვა ტუბერკულოზით დაავადებულთათვის, რომ ეს არაა განუკურნებელი სენი", - ამბობენ ახალგაზრდა მხატვრები. რამდენად ზუსტად გამოხატავს სათქმელს შესრულებული ნამუშევარი, ამის შესამოწმებლად რიგით თბილისელებს დიდი ძალისხმევა არ დასჭირდებათ – კედლის მხატვრობის ამ კონკრეტული ნიმუშის ნახვა უკვე ყველას შეუძლია. 24-ში კი კედლის ოფიციალური პრეზენტაციაა დაგეგმილი.

სტრიპტიზორობიდან მხატვრობამდე

ნინო ჟანიშვილი

სტელა ვაიანის დაიანა

ბრიტანეთის პოლიცია ცდილობს, შუამავლის როლი შეასრულოს ხელოვნების მაგნატის ჩარლზ საათჩისა და 4 წლის წინ დაღუპული გოგონას - რეიჩელის მშობლებს შორის. საქმე ისაა, რომ 24 მარტს საათჩის გალერეა ხსნის გამოფენას "ცოცხალი სისხლი". გალერეის მესვეურები აპირებენ, გამოფენაში ჩართონ რეიჩელის პორტრეტიც, რომელიც მეცენატმა ჩარლზ საათჩიმ ცოტა ხნის წინ შეიძინა. ამ სურათზე მხიარულ რეიჩელს, რომელიც, სავარაუდოდ, ნარკოტიკის ჭარბი დოზისგან მოკვდა, პირიდან სისხლი მოსდის. გოგონას პორტრეტის ხილვამ მისი მშობლები შოკში ჩააგდო.

რეიჩელი გარდაცვალების შემდეგ პოპულარულ გოგონად იქცა. 21 წლის რეიჩელი 2000 წელს მკვდარი იპოვეს ეკსმაუფში. მას პირიდან სისხლი მოსდიოდა. თავიდან ვარაუდობდნენ, რომ რეიჩელი ზედმეტი დოზისგან დაიღუპა, მაგრამ შემდგომმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ჰეროინის დოზა სისხლში საკმარისი არ იყო. 23 მარტს, რეიჩელის სიკვდილიდან 4 წლის შემდეგ ელოდებიან ექსპერტიზის საბოლოო მონაცემებს. ამის შემდეგ გოგონას სხეულს კრემაციას ჩაუტარებენ.

მკვდარი გოგონას პორტრეტის ავტორი 35 წლის სტელა ვაინია - ყოფილი სტრიპტიზიორი, ამჟამად კი მარტოხელა დედა. პორტრეტთან დაკავშირებით კი ამბობს, რომ ამ ხნის განმავლობაში იგი ვერაფრით ივიწყებდა გარდაცვლილი რეიჩელის სახეს.

რეკლამის მაგნატი, მეცენატი და კოლექციონერი, ჩარლზ საათჩი ახალი სახელების აღმოჩენის დიდოსტატია. მას შეუძლია, სრულიად უცნობი მხატვრები უცებ აქციოს პოპულარულებად. საათჩის წყალობით, მკვდარი ცხოველების მოყვარული დემიენ ჰირსტი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულ მხატვრად იქცა. საათჩის "გაქაჩულები" არიან ძმები კეიტ და დინოს ჩეპმენებიც, რომლებიც პლასტმასისგან გაკეთებულ ბავშვებს, ცხვირის ნაცვლად, მოზრდილი ადამიანების გენიტალიებს უმაგრებენ. საათჩის აღმოჩენაა მარკ ქუინიც, რომელიც საკუთარ ქანდაკებას საკუთარივე სისხლისგან ამზადებს. მთელი ამ ხმაურიანი კამპანიის მიმდინარეობის სახელწოდებაა "ბრიტ არტი".

ამ მიმდინარეობაში ჩაეწერება საათჩის მორიგი აღმოჩენაც - სტელა ვაინი. მისი ბიოგრაფია კონკიას ისტორიის პერეფრაზირებაა. სტელა ვაინი 35 წლამდე პროფესიონალი სტრიპტიზიორი იყო და ამ ხელობით ირჩენდა თავს. სტრიპტიზ სანახაობის მოყვარულებს სულ ცოტა ხნის წინათაც შეეძლოთ სტელას მგზნებარე ცეკვების ნახვა ლონდონის კლუბ "ქარის წისქვილში". სტელას თავის ცხოვრებაში არასდროს გაუყიდია საკუთარი სურათები, ვიდრე ერთხელაც, მშვენიერი პრინცის სახით, უმდიდრესი ჩარლზ საათჩი არ ეწვია. საათჩიმ სტელასაგან პრინცესა დაიანას პორტრეტი 600 ფუნტ სტერლინგად იყიდა. ამ სურათზე დაიანასაც, რეჩელის მსგავსად, სისხლი სდის პირიდან. დაიანას პორტრეტიც საათჩის გალერეის ახალ ექსპოზიციაში "ცოცხალ სისხლში" იქნება ჩართული.

სტელა ვაინს, ბრიტანული არტ სცენის "ამომავალ ვარსკვლავს", ახლაც უწევს დროდადრო "ბოძთან დგომა"; როგორც ამბობს, მხოლოდ იმისათვის, რომ ფუნჯის, საღებავებისა და ტილოს ფული იშოვოს.

ლინკოლნი, რომლის სახელიც ლეგიონია

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

შეერთებულ შტატებში უამრავი ავრაამ ლინკოლნია.

დასახლება სანტა კლაუსში, რომელიც ფოსტისგან, პატარა მოტელ "ლოჯისგან" და სურსათის მაღაზია "ფუდ ლაიონისგან" შედგება, ლინკოლნს ყველა იცნობს. საქმე ისაა, რომ სანტა კლაუსი საგრაფო სპენსერის შუაგულში მდებარეობს, სადაც დიადი ემანსიპატორი თავიანთ ნათესავებთან ერთად 21 წლამდე ცხოვრობდა.

აი, რატომაა, რომ აქ ყოველწლიურად იმართება კონგრესი "ადამიანები, რომლებიც ლინკოლნს გვანან". წარმოიდგინეთ, რომ სადღაც ინდიანას შტატის სამხერთში მიკარგულ მოტელში შედიხართ და ხვდებით კაცს, რომელიც ზუსტად დიდი ამერიკელი პრეზიდენტივითაა ჩაცმული. აუცილებლად დაიბნევით. ახლა კი წარმოიდგინეთ, რომ ამავე მოტელში შესული უამრავ ავრაამ ლინკოლნის წრეში ამოჰყოფთ თავს.

აქ გამართული კონგრესის ამბავი რომ არ მცოდნოდა, ვიფიქრებდი, რომ საგიჟეთში ამოვყავი თავი, რომლის მკვიდრნიც აქ, ასე ვთქვათ, ლინკოლნის სპეციალიზაციით იმყოფებიან, როგორც ფრანგი გიჟები არიან ხოლმე ნაპოლეონობით შეპყრობილი. მაგრამ, მე უკვე ვიცოდი, სადაც და რაზეც მივდიოდი. მოტელში შესვლამდეც გამაფრთხილეს, რომ ლინკოლნებთან მომიწევდა შეხვედრა – მათ სასტუმროს წინ ჰყავდათ მანქანები დაყენებული. ჩვეულებრივი ნომრების ნაცვლად მათ წარწერები ამშვენებდათ, როგორებიცაა "ლინკოლნი და მე", "ლინკოლნის თაყვანისმცემელი", "მე მიყვარს ლინკოლნი", "მოგვესალმეთ ლინკოლნს და მე" და სხვ.

მოტელის მისაღებში კონგრესის მონაწილეთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა. ეს ლინკოლნისებრთა რიგით მეცხრე თავყრილობა იყო. მისი დევიზია: "ჩემი მიზანია, თქვენს სულებში ლინკოლნი ავაღორძინო!" ეს სიტყვები ვეიჩელ ლინდსეის, სახელგანთქმული "პრერიის პოეტის" ლექსიდანაა ამოღებული.

კონგრესის თავმჯდომარე, დენ ბესაკი ჰყვება:

- ჩვენი მიზანი ავრაამ და მერი ლინკოლნების აღორძინებაა, რომ მათ ჩვენი ხალხი შთააგონონ. ჩვენს ერს ახლა, როგორც არასდროს, ავრაამ ლინკოლნისთანა პრეზიდენტი სჭირდება. ოდესღაც სხვა დევიზი გვქონდა – "ჩვენ მზად ვართ ლინკოლნი გავხდეთ". კიდევ უფრო ადრე ჩვენი პირველი დევიზი იყო "ახლა ის ჩვენ გვეკუთვნის". მაგრამ, მე და ჩემს კოლეგებს მიგვაჩნია, რომ ახალი დევიზი დროს საუკეთესოდ შეესაბამება.

დღეს ორგანიზაცია 50-იდან 35 შტატში 250 წევრს ითვლის. მათ შორის 150 ავრაამია და 40 მერი ტოდი, პრეზიდენტის მეუღლე, პირველი ლედი. დანარჩენებს "პატრონებს" უწოდებენ. ეს ხალხი "აზრს იზიარებს", მაგრამ ლინკოლნს გარეგნულად არ ბაძავს.

არ გეგონოთ, რომ კონგრესის მონაწილენი დიად სულისჩამდგმელს მართლა ჰგვანან. ეს ასე არაა. თავად დოქტორ ბესაკი ავიღოთ. ის პატარა ტანისაა და მელოტი, ანუ მაღალი და ჭარბად თმიანი ორიგინალისგან სრულიად განსხვავდება. მაგრამ დოქტორ ბესაკს, პროფესიონალ მიმბაძველს, ასეთი შეუსაბამობა სულ არ აღელვებს. ის ლინკოლნი შემთხვევით გახდა.



ნამდვილი ლინკოლნი

- ყველაფერი წვერით დაიწყო, - ამბობს ის. – წვერი მოვუშვი და ლინკოლნურად გავიკრიჭე. უბრალოდ, ეს ფასონი მომწონდა. და უცებ ხალხმა ეიბად მომნათლა (აბრაამის შემოკლებული ფორმა – მ.ს.). წვერს სხვა ნაკვთებიც მიჰყვა, მერე კი აბრაამ ლინკოლნის თამაში ჩემი ცხოვრების აზრად იქცა.

დოტორის – პრეზიდენტად, ბესაკის – ლინკოლნად გადაქცევის ამბავი ორგანიზაციის სხვა წევრებისთვისაც ნაცნობია. ყველაფერი, როგორც წესი, წვერით იწყება. კაცი წვერს უშვებს, მერე ვიღაცა ლინკოლნს ადარებს, და ის მსგავსების სენით ავადდება. ლინკოლნებზე ვიზუალურმა დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ მათი უმრავლესობა ლინკოლნს ისევე ჰგავს, როგორც მე ვგავარ ჩინეთის იმპერატორს. მრავალი მათგანი ტანმორჩილი, ღიპიანი კაცია. მათ სახეებს ლინკოლნის ღირსშესანიშნავი რომაული ცხვირის ნაცვლად პაჭუა ცხვირი ამშვენებს, რომელიც დიკენსის მისტერ პიკვიკს უფრო დამშვენდებოდა. მაგრამ წარმოსახვის ძალა ყველა ამ ფიზიკურ შეუსაბამობაზე ძლიერია. ისინი სიგარეტს ლინკოლნისეული ჩიბუხით ანაცვლებენ და თავზე ეიბის ცილინდრს იმხობენ. მერე ვინმე რამე დღესასწაულთან დაკავშირებით კარნავალსა თუ აღლუმში მონაწილეობის მისაღებად პატიჟებთ, და სულ მალე მოყვარულები პროფესიონალები ხდებიან.

სტატისტიკის თანახმად, "ლინკოლნების" ერთი მესამედი ამ საქმეს მუდმივად მისდევს და ლუკმაპურს ამით შოულობს. სხვები მხოლოდ დროდადრო "ლინკოლნობენ", რითაც ნაწილობრივ თავიანთ ოჯახურ ბიუჯეტსაც ავსებენ. სანტა კლაუსში ერთი მებაღე-ლინკოლნი ვნახე, ორი მენაგვე-ლინკოლნი, პრესვიტერიანული ეკლესიის მღვდელი ლინკოლნი, ავტობუსის მძღოლი ლინკოლნი, რამდენიმე მასწავლებელი ლინკოლნი და ერთი ფანჯრების მწმენდავი ლინკოლნიც კი. ეს სრულიად არაექსკლუზიური პროფესიების მქონე ადამიანების ექსკლუზიური კლუბია. ისინი ერთმანეთს სათანადოდაც ესალმებიან. ყველაზე გავრცელებული ხუმრობა ასე ჟღერს: "ჰელო, შესანიშნავად გამოიყურები, ვერავინ წარმოიდგენს, რომ 140-ზე მეტი წლისა ხარ!" საუზმის დროს ერთმა ლინკოლნმა იანგლა: "ჩვეულებრივ, ამ ადგილს თავს ვარიდებ ხოლმე. არ მინდა, რომ ბუტმა ისევ მიმახვრიტოს" (ბუტი ის მსახიობია, რომელმაც ლინკოლნი მოკლა – მ.ს.). კიდევ ერთმა ლინკოლნმა თავის პირველ ლედის მიმართა: "იცი, ყველგან გამოგყვები, ორონდ გთხოვ, თეატრში ნუღარ დამპატიჟებ!" (ლინკოლნი თეატრში მოკლეს – მ.ს.).

ლინკოლნისებრთა კლუბის ექსკლუზიურობა ფრიად თავისებურია. ნუ იფიქრებთ, რომ მათი ცხოვრება მხოლოდ ზეიმია – აღლუმები, მსვლელობები, წარმოდგენები. ეს მძიმე შრომაა, თან ცუდად ანაზღაურებადი. მიუხედავად ამისა, ისინი ერთმანეთს მხარში უდგანან. იშვიათი შეხვედრები მათთვის დიდი შვებაა. გარდა ამისა, ცხადია, ლინკოლნიც მათთანაა. ისინი თვლიან, რომ ლინკოლნი მათთვის უფრო ახლობელია, ვიდრე ვიღაც იღბლიანებისთვის. როგორი ნეტარებაა, ლინკოლნივით რომ გამოეწყობი და შენნაირებს შეხვდები! მათი თანაგრძნობა ნუდისტების თანამეგობრობას ჰგავს. გარეშე პირები ნუდისტების სოლიდარობას ვერ ხვდებიან, მით უმეტეს – "ლინკოლნისტების" სოლიდარობას. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ტანსაცმელია – ან უტანსაცმლობა.

ვითომ ლინკოლნი

სანტა კლაუსის კონგრესზე მშვენივრად გვიმასპინძლდებოდნენ, მაგრამ სასმელი არ ყოფილა. ავრაამ ლინკოლნი არ სვამდა, და ყველა ორგანიზაციის წევრიც არამსმელია, ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ – მე არ შემიმოწმებია.

კონგრესი მონაწილეთა რეგისტრაციით დაიწყო. რეგისტრაციის შემდეგ მოტელის სამეჯლისო დარბაზში, რომელიც გადახურულ გომურს უფრო ჰგავდა, ბანკეტი გაიმართა. ბანკეტის დროს პროფესორმა, დოქტორმა ბესაკმა, წაიკითხა ლექცია თემაზე "ლინკოლნის ნათესავები ანუ მეორე სამოქალაქო ომი". შემდეგ გასული წლის ყველაზე წარმატებული ლინკოლნების დაჯილდოება გაიმართა. ჯილდო სამი იყო: "საუკეთესო ლინკოლნი", "საუკეთესო მერი" და "საუკეთესო ლინკოლნი და მერი". უკანასკნელი პრემია ოჯახურ წყვილს, ბობ და დოროთი მაკლერენს გადასცეს. აღელვებული ბობი თავის მეუღლეს გულმხურვალედ უხდიდა მადლობას:

- ასჯერ ნახა, როგორ მკლავდნენ, და ასჯერ ჩავარდა ისტერიკაში! გმადლობ, ძვირფასო!

ლინკოლნები სულ უფრო ხშირად გამოდიან წყვილებად – მეუღლეებთან ერთად. მეტსაც მოგახსენებთ, ისინი სხვა ისტორიულ პერსონაჟებსაც იძენენ – თანამებრძოლებს და ავრაამ ლინკოლნის მოწინააღმდეგეებსაც.

ისევე, როგორც ყველა სხვა კონგრესზე, პლენარული სხდომების გარდა აქ ცალკეული სემინარებიც იმართებოდა. მათზე კონგრესმენები ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებდნენ – როგორ შეიძლება ლინკოლნის უკეთ "შესრულება". მაგალითად, ერთ სემინარზე დიდი პრეზიდენტის ცილინდრებსა და შლაპებს იხილავდნენ – რამსიმაღლე უნდა იყოს? დასაკეცი უნდა იყოს ცილინდრი თუ არა? და ა.შ. ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ ზოგიერთი მისი მიმბაძველი დიდი აღნაგობით არ გამოირჩევა. ამიტომ ტანმორჩილებს ერთსულოვნად მიაჩნდათ, რომ ცილინდრები და შლაპები მაქსიმალურად მაღალი უნდა იყოს, ისევე, როგორც ჩექმებისა და ფეხსაცმლის ქუსლები.

- ეს ჩვენი არასაკმარისი სიმაღლის კომპენსაციისთვის როდია აუცილებელი. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ ყველა ადამიანმა, მთელმა ნაციამ შეძლოს ეიბის დანახვა! – ამტკიცებდა დოქტორი ბესაკი.

კონგრესის მონაწილეთა სემინარები ალიონზე იწყებოდა. ესეც ავრაამ ლინკოლნის ცხოვრების წესის დამსახურებაა – ცნობილია, რომ ის, ჩვეულებრივ, გარიჟრაჟზე დგებოდა. მაგრამ თუ ლინკოლნი თეთრ სახლში ცხოვრობდა, მისი მიმდევრები, როგორც წესი, მანქანებში ცხოვრობენ. ისინი მთელს ამერიკას უვლიან გარს – ატლანტიკიდან წყნარ ოკეანემდე. ისინი მათ ეძებენ, ვისაც დიდი პრეზიდენტი სჭირდებათ, ანუ სამსახურის ძებნაში არიან. მართალია, ისინი ყველგან არ არიან საჭირო. მათი მთავარი ობიექტები სკოლებია. მაგრამ ახალგაზრდების წინაშე გაუფრთხილებლად წარდგომას ლინკოლნები მაინც ერიდებიან – შეიძლება გიჟებად მიიჩნიონ და გააგდონ, ან სულაც სამართალდამცავებს გადასცენ. ამიტომ ქალაქიდან ქალაქში გადაბარგებისას ლინკოლნები, პირველ რიგში, ცდილობენ მოსწავლეთა წინაშე გამოსვლის ნებართვა მოიპოვონ.

კონგრესზე განხილულთაგან ყველაზე საორჭოფო საკითხი ანაზღაურების მოცულობა იყო. როცა თავმჯდომარე ამ საკითხს პირველად შეეხო, დარბაზში უხერხული დუმილის განსამუხტად დოქტორმა ბესაკმა თქვა:

- აქ სამარცხვინო არაფერია. როცა ლინკოლნს ვასახიერებთ, ანაზღაურების ღირსნიც ვართ. ეს ჩვენი საარსებო წყაროა. ცხადია, გონიერება გვმართებს, არარეალური ჰონორარები არ უნდა მოვითხოვოთ. ჩვენი პროფესია ხომ მხოლოდ ფული არაა. ჩვენ ბავშვებისა და მოზრდილების ისტორიულ ცოდნას ვამდიდრებთ. ამიტომაც გვპატიჟებენ. ჩემო ძვირფასო კოლეგებო, ამერიკელებს ჯამბაზობა ყელში აქვთ ამოსული, ყველანაირი ჭუჭყიანი შოუ, სტრიპტიზი, დისკ-ჟოკეები და მსგავსი უწმინდურება. ჩვენ მათ კარგ პროდუქციას ვაწვდით. ამიტომ არც ფულის აღება უნდა გვრცხვენოდეს!

დარბაზი ახმაურდა. დოქტორ ბესაკმა განაგრძო:

- ვფიქრობ, ჩვენი გამოსვლების საბაზო ჰონორარი 200 დოლარს უნდა შეადგენდეს. ვეცადოთ, ეს ფასი არ დავწიოთ!

მაგრამ ორატორის მიერ დასახელებული მტკიცე ფასი სინამდვილეში არ არსებობს. კონგრესის მონაწილეებმა მითხრეს, რომ ერთ გამოსვლაში 50 დოლარის მიღებაც ახარებთ. "მეტის მოთხოვნა არარეალურია. ისიც კარგია, თუ თავის გატანა მოვახერხეთ. ისე, არც პატიოსანი ეიბი ყოფილა მილიონერი, - მითხრა ერთ-ერთმა ლინკოლნმა.

კონგრესზე ერთმა ლინკოლნმა კოლეგებს ცოდვა გაუმხილა, რომ ზოგჯერ ჯვრისწერის ცერემონიებში მონაწილეობს და ახალგაზრდებს აუღლებს. მაგრამ მთავარი ფული არაა, მთავარია ის, რომ ამ ადამიანებს ლინკოლნობის ვნება ამოძრავებთ.

- აბრაამ ლინკოლნი, ალბათ, ყველაზე ახლოს იდგა ადამიანის იდეალთან, - ამბობს ბესაკი. – აი, რა არის ჩვენი მამოძრავებელი ძალა. ლინკოლნობა მოწოდებაა და არა პროფესია. ჩვენი ქვეყანა თავის ისტორიას უგულებელყოფს. ამერიკელები მხოლოდ წინ იყურებიან. ისინი ტრადიციებს პატივს არ სცემენ. ამიტომ საკუთარ თავში გვიწევს შთაგონების წყაროს, სულიერების ძებნა, და შემდეგ მისი გავრცელება და აუდიტორაში ენთუზიაზმის გაღვივება...

კონგრესის დასრულების შემდეგ მისი მონაწილეები თავიანთ შელანძღულ მანქანებში ჩასხდნენ, ჩამწკრივდნენ და ლინკოლნის ბავშვობისადმი მიძღვნილი ეროვნული მემორიალისკენ გაეშურნენ. მემორიალთან ტურისტები სეირნობდნენ, და მათ დანახვაზე საბრალო დოქტორის სიტყვები გამახსენდა: ტურისტები მათ თავს დატეხილ ლინკოლნებზე ბევრად ნაკლებნი იყვნენ.

მათ ეიბების გამოცხადება აშკარად გაუკვირდათ. ვერც მშობლები, ვერც ბავშვები ვერ მიხვდნენ, ამდენი ლინკოლნის დანახვაზე როგორ უნდა მოქცეულიყვნენ.

- გიჟები არიან? – ჰკითხა გოგონამ მამას.

- არა, შვილიკო, არა, უბრალოდ, ლინკოლნობა უნდათ.

- რატომ? – არ ეშვებოდა გოგონა.

- არ ვიცი, შვილო, - უპასუხა მამამ.

ო, უმეცარო ამერიკა!

გენიოსები და პიონერები კედლებზე

თამარ ბაბუაძე

ლოს ანჯელესი ერთ-ერთი იმ ქალაქთაგანი ნამდვილად არ არის, სადაც მოულოდნელად შეიძლება მოხვდე, ან გზად შეიარო. თუმცა, თუ ფოტოგრაფია გიყვართ, 25 ივლისამდეც როგორღაც გაგიმართლათ და ლოს ანჯელესში აღმოჩნდით, პოლ გეტის მუზეუმის გარეშე ქალაქი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დატოვოთ. სანტა მონიკას გორაკებში ჩაკარგული გეტის კომპლექსი – მუზეუმით, ინსტიტუტითა და კვლევითი ცენტრით – ამერიკაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ ფოტოკოლექციას ფლობს. 16 მარტიდან 25 ივლისამდე კი იქ გრანდიოზული გამოფენა მიმდინარეობს – "გენიოსი ფოტოგრაფები გეტიში".

ნავთობმაგნატ პოლ გეტის მილიონებით შექმნილ ცენტრში უნიკალური ფოტოების შეგროვება 1984 წლიდან დაიწყეს, თავიდან ერთბაშად შეიძინეს 9 კერძო კოლექცია სულ 18 ათასი ექსპონატით. შემდეგ, დროთა განმავლობაში, ქრონიკული ძიების შედეგად 100 ათასამდე ძვირფასი ფოტოს შესყიდვაც შეძლეს. ე.ი. წელს მუზეუმში ამ მასშტაბური კოლექციის 20 წლისთავს აღნიშნავენ და გამოფენაც ამ იუბილეს უკავშირდება.

მენ რეი, ედვარდ ვესტონი, ალფრედ შტიგლიცი, უოლკერ ევანსი, დაიან არბუსი – გამოფენა სულ 38 ფოტოგრაფის შემოქმედებას გვთავაზობს.

გამოფენის კურატორი და ორგანიზატორი ვესტონ ნაეფი ფოტოების და მათი ავტორების შერჩევის კრიტერიუმებს ასე გვიხსნის: "ამ ოსტატებმა დაარღვიეს ნორმები, გადალახეს დროის მიერ დაწესებული საზღვრები და ფოტოგრაფიის შემდგომ განვითარებას შეუწყვეს ხელი. ისინი დღემდე ასაზრდოებენ თანამედროვე ფოტოგრაფებს და დიდი გავლენა იქონიეს შემდეგი თაობების განვითარებაზეც".

ერთი სიტყვით, გამოფენა 150 წელს მოიცავს. იწყება ადრეული 1800-იანი წლებით და მთავრდება 1900-იანი წლების შუა ხანებით. 1830-იანი წლების ინგლისსა და საფრანგეთში გადაღებულ კადრებს 1960-იანი წლების ამერიკული ფოტოები ენაცვლება და გალერეის სტუმრებიც ფეხდაფეხ, ფოტოდან ფოტოზე გადასვლით ხვდებიან, როგორ იცვლებოდა სტილი, როგორ იხვეწებოდა იდეა, გამოსახულება, ფერი, რაკურსი, თემატიკა, ანუ როგორ იწერებოდა ფოტოგრაფიის ისტორია.

"გეტიში" წარმოდგენილია უძველესი ციანოტიპებიდან რამდენიმეც, რომლებიც ფრანგ ფოტოგრაფს იპოლიტ ბაიარდს ეკუთვნის. დაახლოებით, 1842 წელს ის შუქმგრძნობიარე ქაღალდზე ათავსებდა ბუმბულს, ფოთოლს, ყვავილს, ქსოვილის ნაჭერს და ფოტოკომპოზიციებს ამგვარად ქმნიდა.

წარმოდგენილია ასევე ძველი ოსტატის ჟოზეფ ფილიბერ ჟირო დე პრანგის დაგეროტიპებიც, რომლებიც საერთოდ პირველად იფინება. მათგან განსაკუთრებით ძვირფასია 1842-43 წლებში, საბერძნეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში გადაღებული ანტიკური მონუმენტების ფოტოები.

გეტიში გამოფენილ დანარჩენ გენიოსებსა და ფოტონოვატორებს კი კურატორი ასე გვიხასიათებს:

მენ რეი – მხატვარი და ფოტოგრაფი, რომლის შემოქმედებაც დადაიზმსა და სიურეალიზმს მოიცავს;

ანრი კარტიე-ბრესონი – ფოტოჟურნალისტიკის ნათლია;

ლუის ჰაინი – ის საუკუნის დასაწყისში ქარხნებსა და მაღაროში მომუშავე ბავშვების ფოტოებს იღებდა და შეგვახსენებდა, თუ როგორ უმოწყალოდ ეწევიან პატარების ექსპლუატაციას. შეიძლება ითქვას, რომ ჰაინი სოციალურ-დოკუმენტური ფოტოგრაფიის პიონერია. მან შთაგონება ბევრ სხვა ფოტოგრაფსაც მისცა. მათგან გეტიში უოლკერ ევანსისა და დოროთეა ლანგის ნამუშევრებია გამოფენილი. ეს უკანასკნელი ფირზე აღბეჭდავდა დეპრესიის ეპოქის ემიგრანტებსა და გამყიდველებს და მწვავედ სწევდა წინ სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებს;

ალფრედ შტიგლიცი – ამ ხელოვანის დამსახურებას ლაკონურად ასე აყალიბებენ ხოლმე: მხატვარ ჯორჯია ო`კიფის პორტრეტებისა და მისი სხვა ნამუშევრების წყალობით ფოტოგრაფია ხელოვნებად ცნეს;

აუგუსტ სანდერი – ეს გერმანელი ფოტოგრაფი ფაშისტებისგან დევნილი ებრაელების ჩვეულებრივ საპასპორტო სურათებს მგრძნობიარე, გამომსახველ ფოტოებად აქცევდა. მის უზარმაზარ პროექტს, რომლის განხორციელებასაც მთელი ცხოვრება მოანდომა ასე ერქვა – "მეოცე საუკუნის ადამიანი". ასე რომ, მას აინტერესებდა ზოგადად ადამიანი და მისი გარეგნობა, რადგან, როგორც თვითონ ამბობდა: "ადამიანს გარეგნობაზე

დოროთეა ლანგი - მექსიკელი მუშები

ეტყობა, რას აკეთებს და რას არა. მის სახეზე შეგვიძლია ამოვიკითხოთ ყველაფერი, ისიც, ბედნიერია თუ არა ის". თუმცა, 30-იან წლებში სანდერს ადამიანებზე დაკვირვება აეკრძალა – მისი ფოტოები არ ჯდებოდა ჰიტლერის მიერ გამოცხადებული "არიული ტიპის" ჰარმონიულ იდეალებში.

ედვარდ ვესტონი – პირველი ფოტოგრაფი, რომელსაც 1937 წელს გუგენჰაიმის ფონდის ხელოვანებზე გათვლილი პრიზი გადაეცა. ანსელ ადამსთან ერთად ვესტონი გახლდათ "ჯგუფ f/64"-ის დამფუძნებელი – ისინი, ყველანი ერთად, არამანიპულირებული, მკვეთრი ფოკუსის ფოტოგრაფიის პროპაგანდას ეწეოდნენ.

ერთი სიტყვით, გეტის მუზეუმში შეკრიბეს ყველა პიონერი – ფოტოჟურნალისტიკის, სოციალური ფოტოგრაფიის, პორტრეტის... და თანამედროვე ფოტომოყვარულებს შესანიშნავი ვიზუალური მასალით გაფორმებული ფოტოისტორია უამბეს.

თუმცა, ცხადია, ამ ისტორიის "მოსმენა" თვითონ მუზეუმში ჯობს (www.getty.edu). და თუ ამ ინტერნეტ საიტზე, მართლაც, შეივლით, გამოფენაზეც მეტ ვიზუალურ წარმოდგენას შეიქმნით და ორიოდე საინტერესო გამოცემასაც წააწყდებით. გეტის მუზეუმის წიგნების მაღაზიაში ექსპოზიციის კურატორის ვესტონ ნაეფის ავტორობით, ორი ძვირფასი წიგნი იყიდება. ერთს იგივე სათაური აქვს, რაც თვითონ გამოფენას. ის რბილი ყდით 35 დოლარი ღირს და 144 ფოტოს შეიცავს, ავტორისვე კომენტარებით. მეორე – "გეტის მუზეუმის ფოტოკოლექციის სახელმძღვანელო" კი გეტის უნიკალური კოლექციიდან 200 ყველაზე დიდ შედევრს გვთავაზობს. მათ თან ნაეფის ძალიან საინტერესო კომენტარებიც აქვს დართული. ეს სიამოვნება 15.95 დოლარი დაგიჯდებათ. ასე რომ, თუ ლოს ანჯელესის არა, გეტის ცენტრის ვებ-გვერდის მონახულება ნამდვილად ღირს.

ᲙᲠᲘᲕᲘ

ძმა ძმისთვისაო... უკრაინულად

ᲒᲘᲒᲐ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ

შეიძლება ითქვას, რომ უკრაინელმა გიგანტებმა, ძმებმა კლიჩკოებმა მეტოქეებზე რევანშისთვის როქი გაითამაშეს. ვიტალის უმცროსი ძმის, ვლადიმირის გამლახველ, სამხრეთაფრიკელ კორი სანდერსზე შურისძიების შანსი მიეცა და, ალბათ, ხელიდან არც გაუშვებს. რევანშის წყურვილიც რომ არა, საქმე საკუთარ პრესტიჟსაც ეხება. ახლა, როგორც არასდროს ვიტალის ჩემპიონობის შანსი აქვს და თუ ასეთ შესაძლებლობას ქარს გაატანს, მაშინ უკრაინელის ამბიციას წყალი შეუდგება. ალმაცერად დაუწყებენ ყურებას ის გულშემატკივრებიც, რომელთა გულის მოგებასაც რა ხანია, უფროსი ძმა ლამობდა. საუბარია ამერიკულ აუდიტორიაზე, რომელმაც მოწყალების თვალით მას შემდეგ გადახედა ვიტალის, რაც ამ უკანასკნელმა ბრიტანელ ლენოქს ლუისს ლოს ანჯელესში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა. მართალია, ის ბრძოლა ტექნიკური ნოკაუტით წააგო, მაგრამ შარშანდელი 21 ივნისის დაპირისპირებამ ვიტალი კლიჩკო საბალხო ჩემპიონად აქცია.

ერთი სიტყვით, გარდა იმისა, რომ სასწორზე დევს ოჯახური ღირსების აღდგენის საკითხი, დასაუფლებელია ფედერაციათა შორის ყველაზე წონიანი - კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) უმთავრესი ტიტული. ტიტულისთვის ბრძოლა კი 24 აპრილს სწორედ სამხრეთაფრიკელთან უწევს.

მას შემდეგ, რაც საბჭოს მსოფლიო ჩემპიონი ლენოქს ლუისი რინგიდან წავიდა, საბჭოს მოხელეებმა უპატრონოდ დარჩენილი საჩემპიონო ტახტისთვის პრეტენდენტებს უხმეს. მართალია, ტახტზე აბრძანების მსურველთა ნუსხა საკმაოდ დიდია, მაგრამ ღირსეული რამდენიმე. რაკი ვიტალი კლიჩკო საბჭოს რეიტინგში პირველი ნომერია, საბჭოს მესვეურებს უკრაინელისთვის გზის გადაღობვა არც უფიქრიათ. ძნელი არც ვიტალისა და, შესაბამისად, საჩემპიონო ქამრის მოცილის პოვნა იყო - WBC-ს რეიტინგის მეორე ნომერი კორი სანდერსი. ამასთან, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უმთავრესი ტიტულისთვის ჩხუბი სწორედ შესაბამისი იერარქიის მქონე მიკრივეებს ევალებათ. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ჩემპიონი ტიტულის დაცვაზე უარს აცხადებს ან საერთოდ კრივიდან მიდის. მართალია, ამგვარი წეს-კანონები ხშირად დარღვეულა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა რეიტინგში რამდენიმე თანაბარძალოვანი მოკრივეა. გარეშე ფაქტორებიდან დიდ როლს ასრულებს ისიც, თუ რომელი ბანაკი მეტ თანხას გამოძებნის ორთაბრძოლისთვის, ამ შემთხვევაში რომელიმე კონკრეტულ მოკრივესთან შესარკინებლად. წინდაწინვე ნათელი იყო, რომ კლიჩკოსა და სანდერსის შემთხვევაში საქმე აქამდე არ მივიდოდა, რადგან ორივე მათგანმა საკმაო ხანია, ყველა შეაგუა იმ აზრს, რომ WBC-ს ქამრის პრეტენზია მხოლოდ მათ შეიძლება ჰქონდეთ. ასე რომ, 24 აპრილს ლუისის მიერ გამოთავისუფლებული ჩემპიონის სავარძელს ახალი მეპატრონე გამოუჩნდება. ბრძოლა, რომელსაც ლოს ანჯელესი უმსპინძლებს, ბუნებრივია, ჰყავს თავისი აუტსაიდერი და ფავორიტიც. ფავორიტად ვიტალი კლიჩკოა შერაცხული და არცაა გასაკვირი. აუტსაიდერი სანდერსი კი დიდ გულზეა. უფრო სწორად, თავს ინუგეშებს: როდესაც ვიტალის უმცროს ძმას კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) ტიტულს უნდა შევცილებოდი, ყველა აუტსაიდერად მთვლიდა, მაგრამ ხომ მოვუგეო (ვლადიმირისა და კორის ორთაბრძოლა შარშან, 8 მარტს შედგა და, ყველასთვის მოულოდნელად, მეორე რაუნდში უკრაინელის ნოკაუტით დამთავრდა.-რედ.). აქედან გამომდინარე, მაშინდელი ჩხუბის გათვალისწინებით, ვიტალი რინგზე ფსიქოლოგიურად გატეხილი გამოვა და მეც არ დავახანებ, ისე მოვუღებ ბოლოსო. "ასე რომ, რატომ ვერ უნდა შევძლო იგივე გავაკეთო უფროს ძმასთან?" – კითხულობს სანდერსი.

საინტერესოა სამხრეთაფრიკელის კიდევ ერთი განცხადებაც. კორი სანდერსი უმცროს ძმასთან განმეორებით ჩხუბზე იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუ ვიტალისაც იგივე დღეში ჩააგდებს, ანუ დაამარცხებს.

რაც შეეხება უმცროს ძმას, მასაც, ისევე როგორც უფროსს, ვაკანტურად გამოცხადებული ორგანიზაციის უმთავრესი ტიტულისთვის უწევს ბრძოლა. ის ტიტული კი კორი სანდერსმა დათმო. თუმცა, დაკარგული შანსის ასანაზღაურებლად ვლადიმირს ძმაზე ორი კვირით ადრე მოუწევს მატჩი. ვლადიმირის მეტოქე ლეიმონ ბრიუსტერია.

თავში ვთქვით, ძმებმა როქი გაითამაშესო. საქმე ისაა, რომ ვლადიმირმა 2000 წლის 14 ოქტომბერს ძმისთვის ორგანიზაციის ტიტულის წამრთმევზე, კრის ბერდზე იძია შური. კრის ბერდს კი ვიტალი რამდენიმე თვით ადრე, 1 აპრილს შემოელახა, როდესაც უფროს ძმას ორგანიზაციის ქამარი წაართვა. ასე რომ, ახლა უფროსი ძმის ჯერია...



შარშან სანდერსი უმცროს კლიჩკოს შეხვდა

TV-ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ. 22 ᲛᲐᲠᲢᲘ

НТВ+ ФУТБОЛ
09:00 NBA TV. ოვერტაიმი: პატ რაილი
09:30 NBA TV – NBA შიგნიდან
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
02:10 02:10-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. ოვერტაიმი: მეჯიკ ჯონსონი
04:30 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 2000. პირველი წრე. "INDIANA PACERS" - "MILWAUKEE BUCKS". მე-5 თამაში
06:30 NBA TV. დღიური

НТВ-ПЛЮС СПОРТ
11:00, 14:10, 17:00, 19:30 პრესცენტრი
11:15, 19:45 "ოლიმპის შვილები"
11:20 "ჰარმონიის ფორმულა"
11:40 ჭადრაკი. "საჭადრაკო მიმოხილვა"
12:10 ფიგურული სრიალი. კატარინა ვიტის შოუ
13:10 "ბორის მაიოროვის არქივი"
13:40 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
14:25 "ჰარმონიის ფორმულა"
14:45 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "TORONTO MAPLE LEAFS" - "COLORADO AVALANCHE"
17:15 ჩოგბურთი. "Masters Series" ინდიანა-უელსი (აშშ). ფინალი. შესვენებისას (18:00) – "NHL - პლუსი"
19:50 სახვალიო ტელეპროგრამა
20:00 სამბო. რუსეთის ჩემპიონატი
21:30 "ორშაბათამდე მივატანთ"
22:00 "დიდი რინგი". პროგრამა პროფესიულ კრივზე
00:00 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
00:45 "NHL - პლუსი"
01:00 ახალი ამბები
01:15 "კეგლის დროა"

EUROSPORT
11:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
12:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
13:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
15:30 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
17:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა
18:00 სნუკერი. საერთაშორისო შეჯიბრება
20:00 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი უნგრეთში
21:00 მულტისპორტი
21:30 ფეხბურთი. ევროგოლები
22:30 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
01:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
01:45 ფეხბურთი. ევროგოლები
02:45 ახალი ამბები
03:00 მულტისპორტი. კვირის სტუმარი
03:15 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი საფრანგეთში
03:45 მულტისპორტი.
04:15 ახალი ამბები

ᲠᲐᲒᲑᲘ

ჩეხები ეროვნულზე ჩაჩეხეს

ფოტოები ბესიკის

ᲰᲐᲐᲢᲐ ᲗᲝᲗᲐᲫᲔ

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲔᲠᲗᲐ ᲗᲐᲡᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ – ᲩᲔᲮᲔᲗᲘ 23:7

საქართველო: *მთიულიშვილი (კუთარაშვილი), დადუნაშვილი, ჭავჭავაძე (ესაკია), ზედგინიძე (ჟღენტი), გორგოძე, ზ. მაისურაძე, უდესიანი, ჩხაიძე, კვირიკაშვილი (სამხარაძე), კვინიხიძე, შკინინი, ფირფილაშვილი (ანდღულაძე), ზიბზიბაძე, გუგავა (პინჩუკოვი), ბარკალაია*
2 ლელო – *ზედგინიძე, გორგოძე*
2 გარდასახვა და 3 საჯარიმო – *კვინიხიძე*

ჩეხეთი: *შუსტრი, რაპანტი, შტრასტნი, ნემეჩეკი, ვოვესი, პეკაჩეკი, ვონდრაშეკი, მაჰაჩეკი, სიროვი, კრეიჩი, იაგრი, ბრაბეკი, პეკაერიკი, ჟაკი, როჰლიკი*
1 ლელო – *როჰლიკი*
1 გარდასახვა – *კრეიჩი*

ერთა თასის პირველ ორ ტურში უფერული თამაშის და წარუმატებლობის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა ტურნირზე ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა. გულშემატკივარმა ეს მოგება რატომღაც ისე ვერ აღიქვა, როგორც რუსეთთან გამარჯვება. ამის მიზეზი უმთავრესად ჩვენსა და რუსებს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობაა. რაც შეეხება სპორტულ თვალსაზრისს, მართალია, რუსეთი ჩეხეთზე ძლიერი გუნდია და მასთან გამარჯვებაც ამდენად უფრო დასაფასებელია, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ შაბათს მოედანზე ძირითადად ქართულ კლუბებში მოთამაშე მორაგბეები იყვენენ. რამდენიმე მათგანისთვის კი ეს პირველი თამაში იყო ნაკრების შემადგენლობაში.

სწორედ გამოუცდელობის ბრალი იყო ჩეხების ლელო. ბოლო მომენტში სტუმრებს რიცხობრივი უპირატესობა შეექმნათ, რაც გამოიყენეს კიდეც. ამას გარდა, ქართველთა თამაშში იყო არაერთი შეცდომა მარტივ სიტუაციებში, რამაც გამოიწვია ის, რომ თამაშმა ჩვენს ნახევარზე გადმოინაცვლა. ხან ბურთი მეტოქის ნახევარზე ვერ გადაჰქონდათ, თუ გადაჰქონდათ, არაზუსტად. ერთ-ორ ეპიზოდში შერკინების მიერ მოპოვებული უპირატესობის შემდეგ ხაზი დროულად ვერ ჩაერთო შეტევაში. მატჩის შემდგომ ბორჯღალოსანთა მწვრთნელმა სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, მთელი მატჩის განმავლობაში ერთი არაორდინარულის გაკეთებას ჯობს, ელემენტარული აკეთო თუნდაც ასჯერ. გამარჯვება ამ ელემენტარულს მოაქვს და არა ერთხელ გაკეთებულ არაორდინარულს. ამ მარტივი შეცდომების გათვალისწინებითაც ბორჯღალოსნებს ცუდად არ უთამაშიათ. ბუნებრივია, მთავარი შედეგია, რომელიც შაბათს ქართველებმა თავისთვის სასარგებლო მიიღეს, მაგრამ ამით დამშვიდება არ ივარგებს – უფრო ძლიერ მეტოქესთან ამგვარი შეცდომები, შესაძლოა, ძვირად დაგვიჯდეს.

ჩვენი უპირატესობა ფიზიკურ ძალაშიც გამოიხატა. აუტებშიც დავჯაბნეთ მეტოქე – ერთხელ წაგებული აუტის სანაცვლოდ ჩეხებისა ოთხი მოვიგეთ. მატჩის შემდგომ ჩეხების კაპიტანი ქართველთა ფიზიკურ სიძლიერეზე ამახვილებდა ყურადღებას და, მასაც რომ არ ეთქვა, მოედანზე ყველაფერი ნათლად ჩანდა. გორგოძის ლელოც ამის დასტურია – ქართველმა მეორეხაზელმა სამი ჩეხი ათრია და ზედ კიდესთან დაამიწა ბურთი. პირველი ლელო კი, ბუნებრივია, ავტორისა და მერაბ კვირიკაშვილის დამსახურებაა, რომელმაც მარტომ ლამის მეტოქის 22-მდე ირბინა, შემდეგ კი მისი პასით მარცხენა ფრთაზე გაგზავნილ ბურთს ზედ ხელში ჩაუდგა ზურა ჭავჭავაძე და ლამის ნახევარ მოედანზე მარტო გაიქცა. ამ ეპიზოდის შემდეგ ჩეხებს ნამდვილად აღარ ჰქონდათ ძალა, რომ ქართველებისთვის ხელი შეეშალათ.

შაბათს კრასნოდარში გაიმართა რუსეთ-რუმინეთის მატჩი. ევროპის მეშვიდე გუნდად წოდებული რუმინელები რუსებთან დამარცხდნენ 24:33. ძნელი სათქმელია, რამ გამოიწვია "სტეჟარების" მარცხი, მაგრამ, რუმინული რაგბის კავშირის საიტს თუ ვენდობით, მათ თანამემამულეებს ზუსტად იგივე დაემართათ, რაც გასულ წელს პორტუგალიასთან მატჩში - საკუთარ ძალებში ზედმეტად თავდაჯერებულნი იყვნენ. ასეა თუ ისე, რუმინელებისთვის პირველობის მოპოვების შანსი ერთობ შემცირდა. გუშინ პორტუგალიელებმა ესპანელები დაამარცხეს სტუმრად (35:19) და ბოლო მატჩში რუსებს მასპინძლობენ. ესპანელებმა კი პორტუგალიასთან მარცხით საბოლოოდ დაკარგეს ჯგუფში ადგილის შენარჩუნების შანსი. მომავალ წელს მათ ადგილს უკრაინელები დაიკავებენ.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ
ᲝᲠᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲯᲐᲛᲨᲘ

1. პორტუგალია	9	8	0	1	226-162	25
2. რუმინეთი	9	7	0	2	295-105	23
3. საქართველო	9	5	1	3	175-123	20
4. რუსეთი	8	3	0	5	180-156	14
5. ჩეხეთი	8	2	0	6	103-257	12
6. ესპანეთი	9	0	1	8	123-324	10

ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1

რა თქმა უნდა, ისევ "შუმი!"

ᲜᲘᲜᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

სეზონის მეორე რბოლა პირველისგან დიდად არაფრით განსხვავდებოდა: მალაიზიაშიც ზუსტად ისე აშკარა იყო "ფერარის" ჰეგემონია, როგორც ავსტრალიაში. მართლია, საბოლოოდ პოდიუმზე "ფერარის" მხოლოდ ერთი პილოტი ავიდა და არა ორივე, როგორც ეს 7 მარტს მელბურნში მოხდა, მაგრამ ამ მცირე წარუმატებლობას იტალიელები უკვე არაფრად მიიჩნევდნენ. რაც მთავარია, მიხაელ შუმახერმა კვლავ გაიმარჯვა და მთელი რვა ქულით უსწრებს ხუან პაბლო მონტოიას. "ფერარი" კი უკვე ისე შორს გაიჭრა კონსტრუქტორთა ჩათვლაში, რომ "უილიამსს", "რენოს" და "მაკლარენს" ისღა დარჩენიათ, აქედანვე მეორე ადგილისთვის ებრძოლონ ერთმანეთს. როგორც ყოველთვის, "ფერარი" და მიხაელ შუმახერი ახლაც შეუდარებლად წინ არიან ფორმულას ყველა დანარჩენ საჯინიბოსა და პილოტზე.

"ფერარის" წარმატებაში იტალიელ გულშემატკივრებს ეჭვიც არ ეპარებოდათ. შუმახერმა კლასიფიკაცია უპრობლემოდ მოიგო და რბოლაც პირველმა დაიწყო, რაც, როგორც შემდეგ გაირკვა, თურმე მაინცდამაინც სასიამოვნო არ ყოფილა მისთვის. ყველაზე წინ ვიყავი და არავისზე არ შემეძლო ორიენტაციის აღება, რის გამოც თავიდან ცოტა გამიჭირდაო, - განაცხადა უფროსმა "შუმიმ" რბოლის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე. მთელი 310 408 კილომეტრი ისე გაიარა, რომ მასზე წინ თითქმის არავინ წასულა (თუ არ ჩავთვლით მონტოიას წამიერ დაწინაურებებს) და ვინმეზე ორიენტირების საშუალება საერთოდ არ ჰქონია, მაგრამ მორიგი გამარჯვების მოპოვებაში ამ ფაქტორს სულაც არ შეუშლია ხელი. საბოლოოდ, სტარტის აღებიდან 1 საათის, 31 წუთის და 07 წამის შემდეგ ბედნიერი გამარჯვებული კვარცხლბეკზე შედგა და სახეგაბრწყინებულმა მოუსმინა თავისი ორი სამშობლოს ჰიმნს - ჯერ იოზეფ ჰაიდნის "კაიზერ კვარტეტის" ადაჯომ (რომელიც ჰაიდნის დროს ავსტრო-უნგრეთის დუნაის მონარაქიისა და მისი იმპერატორის სადიდებელი ჰიმნი იყო) ანუ ახლანდელი გერმანიის ჰიმნი გაისმა ჩვეული მედიდურობით, შემდეგ კი იტალიური "Fratelli d Italia" შესრულდა "ფერარის" და იტალიელი გულშემატკივრების პატივსაცემად. მოკლედ, რბოლის ბოლოს ყველაფერი ისე იყო, როგორც არაერთხელ ყოფილა და რასაც ფორმულას მოყვარულები უკვე დიდი ხანია მიეჩვივნენ. არც ხუან პაბლო მონტოიას მეორე ადგილი გაჰკვირვებია ვინმეს - ამბიციური კოლუმბიელი ხომ ვერაფრით ვერ გასცდა მარად მეორე პოზიციას. აი, "ბარის" ინგლისელი პილოტის, ღიმილისგან გაბადრული ჯეისონ ბატონის გამოჩენა კი სამ გამარჯვებულს შორის, მართლაც, დიდი მოულოდნელობა იყო. ახალგაზრდა ბრიტანელს აქამდე არასოდეს მიუღწევია ასეთი წარმატებისთვის.

შუმახერი კვლავ პირველია

ეს დღე ბატონს, ალბათ, მთელი ცხოვრება ემახსოვრება.

თავად რბოლა კი მეტ-ნაკლებად მაინც საინტერესო გამოდგა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე თავიდანვე ყველასთვის ნათელი იყო: მიხაელ შუმახერი აუცილებლად გაიმარჯვებდა. გასარკვევი მხოლოდ ის რჩებოდა, დანარჩენი პილოტები როგორ გაიყოფდნენ ადგილებს და ქულებს. რბოლა ჯერ წესიერად დაწყებული არც იყო, რომ კაშკაშა მზით გადახურებულ სენგაპში მოულოდნელად გაწვიმდა. ამან, ცოტა არ იყოს, ააფორიაქა პილოტები, არავინ იცოდა, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა წვიმა და ღირდა თუ არა საბურავების გამოცვლა. მეცხრე წრეზე წვიმამ გადაიღო და მიხაელ შუმახერი პირველად შევიდა ბოქსში. "ფერარის" გულშემატკივრები აღელდნენ. რატომ ასე მალე? ნუთუ ასე სწრაფად გაუთავდა ბენზინი? ეს ხომ "უილიამსს" აძლევს ხელს? თუმცა, "შუმიმ" დიდხანს არ ანერვიულა ფანები და მეცამეტე წრეზე ისევ დაიბრუნა დაკარგული პოზიცია. ის კი არა, 6,5 წამითაც გაუსწრო უახლოეს მდევარს, მონტოიას, რომელიც ამ დროს იძულებული გახდა, პირველად შესულიყო ბოქსში. ამასობაში ფერნანდო ალონსო სასწაულებს ახდენს. "რენოს" ახალგაზრდა ესპანელმა, რომელმაც კვალიფიკაცია ძალიან ცუდად გაიარა და სტარტი ბოლოდან მესამემ აიღო, იმდენი შეძლო, რომ მერვე ადგილზე გადავიდა და ახლა თავგამოდებით ებრძვის მასზე წინ მყოფ დევიდ კულჰარდს და რუბენს ბარიკელოს. "რუბინიო" ჯერჯერობით მეექვსეა, მაგრამ ჯიუტად მიიწევს წინ, ნელ-ნელა აუმჯობესებს მდგომარეობას. "რენოს" იტალიელი პილოტი იარნო ტრული, რომელიც მეოთხე მიდიოდა, იძულებული ხდება, "ფერარის" ბრაზილიელს დაუთმოს პოზიცია. ბარიკელო ახლა კიმი რაიკონენს ებრძვის.

24-ე წრეზე პირველი უსიამოვნება ხდება - "იაგუარის" ავსტრალიელი პილოტი მარკ ვებერი, რომელმაც საკვალიფიკაციო რბოლისას მეორე შედეგი აჩვენა, რამდენიმე შეცდომისა და ბოლო ადგილზე გადავარდნის შემდეგ საერთოდ ეთიშება რბოლას. 28-ე წრეზე ვებერის საზოგადოებას რალფ შუმახერიც უერთდება, რომელსაც მოულოდნელად ძრავა ჩაუქრა. სამაგიეროდ, უფროსი "შუმი" დამაჯერებლად ლიდერობს რბოლას. 33-ე წრეზე ის უკვე 5,5 წამით უსწრებს რალფის კოლეგას, ხუან პაბლო მონტოიას. ეს ხდება იმ ქვეყანაში, რომლის ტრასა სულაც არ ითვლება "ფერარის" პილოტების საყვარელ დისტანციად. შუმახერი მალაიზიაში რომ ასე სუვერენულად მიიწევს წინ, სხვაგან რას იზამს?

